

შ ს კ ე რ ზ ე

მოქმედი პირნი:

შიხვილ ივანიჩ კოსტილევი — 54 წ. თავშესაფრის პატრონი,
ვასილისა კარპოენა — მისი ცოლი, 26 წ.
ნატაშა — ამისი და, 20 წ.

შედვედვეი — ამათი ბიძა, პოლიციელი, 50 წ.
ვასკა ბეპელი — 28 წ.
კლემში ანდრეი შიტრიჩი — ზეინკალი, 40 წ.
ანა — ამისი ცოლი, 30 წ.
ნასტია — ქალიშვილი, 24 წ.
კვაშნია — პელმენებით მოვაჭრე ქალი, 40-მდე წ.
ბუბნოვი — მეჭულდე, 45 წ.
ბარონი — 33 წ.

სატინი { დაახლოებით ერთი და იმავე ასაკის, 40-მდე წლისანი.
მსახიობი }

ლუკა — მოგზაური, 60 წ.
ალიოშკა — მეჩეკმე, 20 წ.

კრივოი ზობი { შეკავენი
თათარო }

რამდენიმე უსიტყვო და უსახელო მაწანწალა.

პირველი მოქმედება

გამოქცეულის მსგავსი სარდაფი. ჰერი—სარდაფის თალი, რომელსაც ნაღესი ჩა-
ბნეული და შემკვარტლულია. სინათლე მაყურებლის მხრიდან შემოდის და აგრეთ-
ვე მარჯვნივ ზემოდან ოთხკუთხიანი ფანჯარა ანათებს. სარდაფის მარჯვენა კუ-
თხე ბეძელის პატარა ფიცრულ ოთახს უჭირავს, რომლის კართანაც ბუბნოვის
სახლი დგას. მარცხენა კუთხეში — დიდი რუსული ღუმელი; მარცხნივ
კარ კედელში — სამზარეულოს კარი; ღუმელსა და კარებს შუა დიდი საწო-
ლი რომელსაც წინ ჰუჭყიანი ჩითის ფარდა აქვს ჩამოფარებული. კედლების წინ
ტახტებია ჩამომწკრივებული. ავანსცენის მახლობლად, მარცხენა კედელთან,
კარა ადია. კუნში ტახტაკი და გრდემლია ჩასმული. ცოტა ქვევით, ამგვარ-
ად კუნთან, კლემში ზის და დაძველებულ კლიტეებს გასაღებს აზომებს.
კარა მახლობლად, ორი ბღუჯა მავთულის რგოლზე ასხმული სხვადასხვანაირი
კლიტეები, დაჭეკული თუნუქის სამოვარი, ჩაქუჩი და ქოლბები ყრია. სადგო-
მის შუა დიდი მაგიდა დგას ორი სკამით და ერთი ტაბურეტით. ყოველივე ეს
ჩაქუჩის და შეუღებავია. კვაშნია სუფრაზე დადგმულ სამოვართან დია-
ლექსობს. ბარონი შავ პურს ლოდნის. ნასტია ტაბურეტზე ზის და
სუფრაზე ნახევრად გადახრილი დაწეწილ წიგნს კითხულობს. — ფარდის უკან,
დაცხნი მწოლარე ანა ახველებს; ტახტზე მჯდომ ბუბნოვს მუსლე-
ლი ქედის ყალიბი უჭირავს და ზედ დარღვეულ ძველ შარვალს აზომებს, ვა-
ნაღესს ქუდი როგორ გამოიყვანოს. ირგვლივ ქედის შესანახი დაგლეჯილი
კლიტეების სკარტულზე კარდონი, მუშაების ნაღლეჯები და ჩგრები ყრია. ახლად
დადგმული სატინი ტახტზე წევს და იღრინება. უჩინარი მსახიო-
ბი ღუმელზე წევს, რაღაცას ცოდვილობს და ახველებს.

გაზაფხულის დასაწყისია. დილაა.

ბარონი — მერე!

კვაშნია — ა-არა-მეთქი, ვეუბნები, თავიდან მომწყდი-
ნეთქი, და ახლა ასე კიბორჩხალაც რომ მომიხრაკონ, არ გავთხოვ-
ებო!

ბუბნოვი — (სატინს). შენ რას ღრუტუნებ? (სატინი იღრინება).

კვაშნია — რომ მე, თავისუფალი ქალი, ჩემივე თავის ბა-
რონი-პატრონი ვილაც მამაკაცის მონა გავხდე და მის პასპორტში ჩა-

ვეწერო-არაა, ეს არ მოხდება! თუნდაც ამერიკელი პრინცი იყოს, ცოლად გაყოლა აზრადაც არ მომივა.

კ ლ ე შ ი — სტყუი!

კ ვ ა შ ნ ი ა — რაო?

კ ლ ე შ ი — რაო და, სტყუი. აბრამკას მისთხოვდები...

ბ ა რ ო ნ ი — (ნასტიას წიგნს ხელიდან გამოსტაცებს და სათაურს კითხულობს). „საქედისწირო სიყვარული“... (გაღიხარხარებს).

ნ ა ს ტ ი ა — (ხელს გაიწვდის). მომე... მომეცი! კარგია... ნუ მასხრობ! ბარონი კი შესცქერის მას და წიგნს აქეთ-იქით იქნევს).

კ ვ ა შ ნ ი ა — (კლემსს). შენ ეი, წითურო თხაო! ვინ სტყუის, ჰა? როგორ მიზედავ ასე კადნიერად ლაპარაკს?

ბ ა რ ო ნ ი — (ნასტიას წიგნს თავში ჩაართყვამს). ჰაი, შე სულელო...

ნ ა ს ტ ი ა — (წიგნს ხელიდან გამოსტაცებს). მომეცი-მეთქი...

კ ლ ე შ ი — დიდი ვინმე ბრძანდები... შავრამ აბრამკას მიიხსნე მისთხოვდები. იმას ელი...

კ ვ ა შ ნ ი ა — რაღა თქმა უნდა... როგორ არა... შენ არა ხარ, ცოლი სიკვდილის პირამდე რომ მიიყვანე?..

კ ლ ე შ ი — ჩუმაღ, ზებერო ძაღლო...ეგ შენ არ გეკითხება...

კ ვ ა შ ნ ი ა — აა, სიმართლე გემწარა, არა?

ბ ა რ ო ნ ი — დაიწყო! ნასტია, სადა ხარ?

ნ ა ს ტ ი ა — (თაჩაღუნული). ა? თავი გამანებე!

ა ნ ა — (ფარდის იქიდან თავს გამოჰყოფს). დღე დაიწყო. ღვთის გულისათვის... ნუ ყვირით... ნუ იღანძღებით!..

კ ლ ე შ ი — ესეც აწუწუნდა!..

ა ნ ა — ყოველ ცისმარე დღე... სიკვდილი მიიხსნე მადირსეთ მოსვენებით!

ბ უ ბ ნ ო ვ ი — ხმაურობა სიკვდილს რას უშლის?

კ ვ ა შ ნ ი ა — (ანასთან მივა). შე უბედურო, ასეთ ბოროტებით აღსავსე კაცთან რა გაცხოვრებდა?

ა ნ ა — დამეხსენ... თავი დამანებე!..

კ ვ ა შ ნ ი ა — კარგი, კარგი! ეეხ, შე წამებულო... როგორა ხარ, გულზე არ მოგეფთონა?

ბ ა რ ო ნ ი — ახლავე! (ანას) გინდა, ცხელ პელმენს გაჭმევ!

ა ნ ა — არ მიწდა... ნადლობ! აბა. რათ უხდა ვეამო?

კ ვ ა შ ნ ი ა — ჭამე. ცხელი საჭმელი შეღავათს მოგცემს... ლამაზად დაგიწყობ და დაგიტოვებ... როცა მოგინდეს, მაშინ ჭამე! წავიდეთ, ბატონო... (კლემსს). უუ, უწმინდურო... აადის სამზარეულოში.

ა ნ ა — (ახელებს). ღმერთო!..

ბ ა რ ო ნ ი — (ნასტიას ქეჩოში ოღნავ წაჰკრავს). იქით გადაავდე... სულელო!

ნ ა ს ტ ი ა — (ბუზღუნით). მომწყდი თავიდან... შენ რას გიშვებ... (ბარონი სტვენით გადის სამზარეულოში — კვანისთან).

ს ა ტ ი ნ ი — (წამოიწვევს ტახტზე). ნეტა ვინ მცემა გუშინ.

ბ უ ბ ნ ო ვ ი — განა სულ ერთი არ არის შენთვის.

ს ა ტ ი ნ ი — ეგ ეგრეთა... შავრამ რათ მცემეს?

ბ უ ბ ნ ო ვ ი — ქალაღი ითამაშე?

ს ა ტ ი ნ ი — ვითამაშე...

ბ უ ბ ნ ო ვ ი — მაშ იმეტომაც დაუბეგვიხართ.

ს ა ტ ი ნ ი — არამზადები!

მ ს ა ხ ი ო ბ ი — (ღუმელიდან თავს გაღმოჰყოფს). შენ! მე ვიცი, ერთხელაც იქნება, მოგკლავენ.

ს ა ტ ი ნ ი — ბრიყვი ხარ.

მ ს ა ხ ი ო ბ ი — რათა?

ს ა ტ ი ნ ი — იმიტომ, რომ კაცის ორჯერ მოკვლა არ შეიძლება.

მ ს ა ხ ი ო ბ ი — (სიჩუმის შემდეგ). არ მესმის, რატომ არ შეიძლება.

კ ლ ე შ ი — გირჩევნია მაქედან ჩამობრძანდე და ოთახი დააღაგო... ბევრს ნუ ინაზები.

მ ს ა ხ ი ო ბ ი — ეგ შენი საქმე არ არის.

კ ლ ე შ ი — აი, ვასილისა მოვა და ის დაგანაზებს ვისი საქმეცაა.

მ ს ა ხ ი ო ბ ი — მომწყდი თავიდან შენცა და ეგ შენი ვასილისაც... დღეს ბარონმა უნდა დააღაგოს ოთახი... იმისი ჯერია... ბარონი...

ბ ა რ ო ნ ი — (გამოდის სამზარეულოდან). მე არა მცალიან... კვანისა უნდა წავეყვე ბაზარში.

მ ს ა ხ ი ო ბ ი — ეგ ჩემი საქმე არ არის... ჯერ ოთახი დააღაგე და მერე თუ გინდა, ჯანდაბაში წადი... მე სხვების მაგიერ არ ვიმუშავებ.

ბ ა რ ო ნ ი — თავში ქვა გიხლია, თუ არ იმუშავებ... ნასტია დავგვის... შენ ეი, საბედისწირო სიყვარულო! გონს მოდი! (წიგნს წაართმევს).

ნ ა ს ტ ი ა — (წამოღება). რა გინდა ჩემგან. მომეცი-მეთქი... გიჟო, გადარეულო! (დაცინვით). ესეც ვითომ ბარონია რაღა...

ბ ა რ ო ნ ი — (წიგნს უბრუნებს). ნასტია, მოდი ჩემ მაგიერ შენ დაგავე, კარგი?

ნ ა ს ტ ი ა — (მიდის სამზარეულოსაკენ). დიახ, როგორ არა. ძალიანაც არ მენალვლება... (გადის).

კ ვ ა შ ნ ი ა — (სამზარეულოს კარებიდან — ბარონს). შენ ეი! აბა, წავიდეთ, თთახი უშენოდაც დალაგდება. (ბარონი გადის. კვანია მსახიობს). რომ გეუბნებიან, უნდა დაალაგო... წელი მოგწყდება, თუ რა?

მ ს ა ხ ი ო ბ ი — სულ... სულ... მე... არ მესმის... მწა...

ბ ა რ ო ნ ი — (სამზარეულოდან გამოაქვს წყლის სახად ხელნახე დაკიდებული კალათები. კალათებში პირმოკრული ქოთნებია). დღეს როგორღაც მძიმედ მეჩვენება.

ს ა ტ ი ნ ი — რა საჭირო იყო შენი ბარონად დაბადება...

კ ვ ა შ ნ ი ა — (მსახიობს). უსათუოდ დაგავე, ვესმის? (წინ ბარონს წაიმძღვარებს და დერეფნისაკენ მიდინ).

მ ს ა ხ ი ო ბ ი — (ლუმელიდან ჩამოდის). მტვერი მწყენს. (ამაყად). ორგანიზმი ალკოპოლით მაქვს მოწამლული. (ტახტზე ჩამოჯდება და ფეხში წავა).

ს ა ტ ი ნ ი — ორგანიზმი... ორგანონი...

ა ნ ა — ანდრეი მიტრიჩ...

კ ლ ე შ ი — რა გინდა?

ა ნ ა — კვანია იქ პელმენები დამიტოვა... წადი, ჭამე...

კ ლ ე შ ი — (მიუახლოვდება). შენ არ გინდა?

ა ნ ა — არა. ჩემთვის საჭმელი ზედმეტია... შენ მუშაობ... საჭმელი შენთვისაა საჭირო...

კ ლ ე შ ი — ნუ გეშინია... ყოჩაღად იყავი... შეიძლება ჯერ კიდევ...

ა ნ ა — წადი... ჭამე... ოჰ, რა ცუდად ვარ... როგორც ჩანს, მალე...

კ ლ ე შ ი — (ჩამოეცლება). არა გიშავს რა... ალბათ მორჩები... ხდება! (გადის სამზარეულოში).

მ ს ა ხ ი ო ბ ი — (ერთბაშად, ხმაელა, ისე თითქოს ახლა გაეღვიძაო). გუშინ სამკურნალოში ექიმმა მითხრა, ორგანიზმი ალკოპოლით გაქვთ მოწამლულიო...

ს ა ტ ი ნ ი — (ღიმილით). ორგანონი...

მ ს ა ხ ი ო ბ ი — (დაჟინებით). ორგანონი კი არა, ორ-გა-ნი-ზმი...

ს ა ტ ი ნ ი — სიკამბრ...

მ ს ა ხ ი ო ბ ი — (ხელს აუქნევს). ეგპ, სისულელეა! მართალს გეუბნები... დიახ, თუ ორგანიზმი მოწამლული მაქვს... იატაკის დაგვაც არ შემიძლია... მტვერი მაწყენს...

ს ა ტ ი ნ ი — მაკრობიოტიკა... ჰა!

ბ უ ბ ნ ო ვ ი — რას მიედ-მოედები?

ს ა ტ ი ნ ი — სიტყვებს... აი კიდევ — ტრანს — სცენდენტალურ...

ბ უ ბ ნ ო ვ ი — ეგ რაღა?

ს ა ტ ი ნ ი — არ მახსოვს... დამავიწყდა...

ბ უ ბ ნ ო ვ ი — მაშ რაღათ ამბობ?

ს ა ტ ი ნ ი — ისე... მომბეზრდა, ძმაო, ჩვეულებრივი, ადამიანური სიტყვები... ყველა ჩვენი სიტყვები, მომბეზრდა, თითოეული მათგანი, ვგონებ, ათასჯერ მაქვს გავგონილი.

მ ს ა ხ ი ო ბ ი — დრამა „ჰამლეტში“ ნათქვამია: „სიტყვები, სიტყვები, სიტყვები!“ კარგი რამ არის... მე ამ დრამაში მესაფლავებს ვთამაშობდი...

კ ლ ე შ ი — (სამზარეულოდან გამოდის). ცოცხით როდისღა ითამაშებ?

მ ს ა ხ ი ო ბ ი — ეგ შენი საქმე არ არის. (გულზე ხელს დაირტყამს). „ოჰ, ოფელია, მომიხსენიე მეც შენს ლოცვებში“. (სცენის გარედან მოისმის ყრუ ხმაურობა, ყვირილი და პოლიციელის სტენა. კლემი მიუჯდება საშუაოს და რკინას ქლიბავს).

ს ა ტ ი ნ ი — მიყვარს იშვიათი, გაუგებარი სიტყვები... პატარაობისას, როდესაც ტელეგრაფში ვმსახურობდი... ბევრს ვკითხულობდი...

ბ უ ბ ნ ო ვ ი — განა შენ ტელეგრაფისტადაც იყავი?

ს ა ტ ი ნ ი — ვიყავი... ქვეყნად ბევრი კარგი წიგნია, სადაც ადამიანი სასურველ სიტყვებს ამოიკითხავს... ერთ დროს მეც განათლებული კაცი ვიყავი... იცი?

ბ უ ბ ნ ო ვ ი — გამიგონია... ასჯერ მაინც... ჰოდა, იყავი... დიდი ამბავი! ჰო, მე კი ქურქი ვიყავი, მებეწვე... ჩემი სახელოსნო მქონდა... საღებავისაგან ხელები ყვითელი მქონდა... ბეწვს ვღებავდი. ისეთი ყვითელი, რომ... იდაყვამდე... ასე მეგონა, სიკვდილამდე ვერ მოვიშორებ და სამარეშიც, ასე ყვითელი ხელებით ჩამასვენებენ-მეთქი... აი ახლა ის ხელები... აბა დახედე... ჭუჭყიანია და სხვა არაფერი... დიახ.

ს ა ტ ი ნ ი — მერე რა?

ბ უ ბ ნ ო ვ ი — მერე — არაფერი...

ს ა ტ ი ნ ი — ეგ რაზე სოქვი?

ბ უ ბ ნ ო ვ ი — ისე... მოსაზრებისთვის... გამოდის, გარედან რაც უნდა იღებებოდე, სულ ტყუილია... გახუნდები, მაშ!

ს ა ტ ი ნ ი — ოჰ, ძვლები მტკივა!

მ ს ა ხ ი ო ბ ი — (მუხლზე ხელშეშვებული ზის). განათლება სულ ტყუილია... საქმე ნიჭია. ერთ მსახიობს ვიცნობდი, რომელიც როლს

ძლიერს კითხულობდა, მაგრამ პიესის გმირებს ისე თამაშობდა, რომ ხალხის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. საქმე — ნიჭია.

ს ა ტ ი ნ ი — ბუბნოვ, შაურთან გექნება.

ბ უ ბ ნ ო ვ ი — ორი კაპეიკის მეტი არა მაქვს.

მ ს ა ხ ი ო ბ ი — გეუბნებით, საქმე ნიჭია, ნიჭი. აი რა არის საჭირო... ნიჭი, რწმენაა, შენივე თავის რწმენა...

ს ა ტ ი ნ ი — ოლონდ ერთი შაური მომე და დავიჯერებ, რომ ნიჭიერი, გმირი, ნიანგი და კერძო ბოქაულიც ხარ... კლეში, მომე შაურთან...

კ ლ ე შ ი — მომშორდი... შენისთანა ოხრები აქ ბევრი ყრია...

ს ა ტ ი ნ ი — რას ილანძღები... განა არ ვიცი, რომ გროში კაპეიკიც არ გაგაჩნია...

ა ნ ა — ანდრეი მიტრიჩი... სული მეხუთება... ცუდად ვარ...

კ ლ ე შ ი — მერე, რა გიყო?

ბ უ ბ ნ ო ვ ი — დერეფნის კარი გამოაღე.

კ ლ ე შ ი — კმარა! შენ ტახტზე ხარ გამოქიმული, მე იატაკზე ვაგდივარ... შევცვალოთ ადგილები და მერე გავაღებ დერეფნის კარებს... ისედაც გაცივებული ვარ.

ბ უ ბ ნ ო ვ ი — (მშვიდად). მე არ მჭირდება კარის გაღება. შენი ცოლი თხოულობს.

კ ლ ე შ ი — (შეკუმხვნივით). მეც ბევრ რამეს ვთხოულობ, მაგრამ ვინ მამძღვეს!

ს ა ტ ი ნ ი — ოჰ, თავი როგორ მიბუყის... ვერ გამიგია, რათა სცემს ხალხი თავში ერთმანეთს...

ბ უ ბ ნ ო ვ ი — თავში კი არა, — მთელ სხეულს... (დგება). წავიდე ერთი ძაფი ვიყიდო... დღეს როგორღაც არა სჩანან ჩვენი სახლის პატრონები... თითქოს ვაგუდულანო... (გაღის. ანა ახველებს თავქვეშ ხელებს ამოდებული სატინი უძრავად წვეს).

მ ს ა ხ ი ო ბ ი — (აქეთ-იქით ნაღვლიანად მიმოიხედავს და ანასთან მივა). რა? ცუდად ხარ?

ა ნ ა — სული მეხუთება.

მ ს ა ხ ი ო ბ ი — ვინდა? დერეფანში გავიყვან. აბა, წამოდექი. (წველის. მხრებზე რაღაც დაგლეჯილ ტანსაცმელს წამოსახმს და დერეფნისკენ მიჰყავს). აბა, აბა! ყოჩაღად იყავი... ნუ გეშინია... აი, მეც ხომ ავადმყოფი ვარ... ალკოპოლით მოწამლული. ავადმყოფი...

კ ო ს ტ ი ლ ე ვ ი — (ყარბში). სასეირნოდ? ოჰ, რა ძლიერ უხდებით ერთმანეთს.

მ ს ა ხ ი ო ბ ი — გზა გვიტეი... ხედავ ავადმყოფები მოდიან...

კ ო ს ტ ი ლ ე ვ ი — ინებეთ... მიბრძანდით... (ცხვირში რაღაც

ღვთაებრივს დუღუნებს — მღერის. ეჭვით ათვლიერებს სადგომს, თან პეპელის ოთახისაკენ მარცხნივ თავდახარბილი ყურს რაღაცას უგდებს. კლეში გაცხარებული აჩხარუნებს ვასაღებებს. ქლიბავს და ქვეშ-ქვეშ შესცქერის კოსტილევს). აფხაკუნებ?

კ ლ ე შ ი — რაო?

კ ო ს ტ ი ლ ე ვ ი — აფხაკუნებ-მეთქი? (პაუზა). ჰმ... აა.. ისე... რა უნდა მეკითხა?... (სწრაფად და ხმადაბლა). ჩემი ცოლი აქ არ ყოფილა?..

კ ლ ე შ ი — არ მინახავს...

კ ო ს ტ ი ლ ე ვ ი — (ფეხაქრფით მიუახლოვდება პეპელის ოთახის კარებს). თვეში ორ მანეთს იხდი და რამოდენა ადგილი გიჭირავს... საწოლი... თვითონაც ზიხარ... დიან... ხუთი მანეთის ადგილს აბანდებ... ღმერთმანი... უნდა ათი შაურიც წამოგადო კისერზე.

კ ლ ე შ ი — ბარემ საბელიც მომდე და დამხარჩე. დღეს თუ არა, ხვალ ჩაძაღვლები და მაინც ათშაურთან გელანდებ...

კ ო ს ტ ი ლ ე ვ ი — რათ უნდა დავახარჩო? მაგით აბა ვის რას შევმატებ. ღმერთი გფარავიდეს. იცოცხლე, იცხოვრე და... ათ შაურს კი წამოგადებ კისერზე... ლამპარისათვის ზეთს ვიყიდო... ხატს ავუნთებ და მით შენ ცოდვებსაც შევამსუბუქებ და ჩემსასაც... შენ ცოდვებზე ხომ არასოდეს არ ზრუნავ... ეჰ, ანდრეიშა, რა ბოროტი კაცი ხარ! აი, ემაგ შენი ბოროტებით ცოლიც დააქლექე. არავის შენ არ უყვარხარ. პატივს არავინ არ გცემს... დიან... ხელობაც ცუდი გაქვს... ყველას თავს აბეზრებ... ზიხარ და მთელი დღე ფხიკ-ფხაკ! ფხიკ-ფხაკ!

კ ლ ე შ ი — (ღრიალებს). რისთვის მოხველი?... რომ მომწამლო და მომშხამო, არა? (სატინი მაგრა ხვრინავს).

კ ო ს ტ ი ლ ე ვ ი — (შემკრთალი). ოხ, ღმერთო ჩემო!

მ ს ა ხ ი ო ბ ი — (შემოღის). ავადმყოფი დერეფანში გავიყვანე და თბილად გავხვებ.

კ ო ს ტ ი ლ ე ვ ი — აი ეგ კეთილი საქმეა, ძამიავ... სამაგიეროს ღმერთი გადაგიხდის.

მ ს ა ხ ი ო ბ ი — როდის? სად?

კ ო ს ტ ი ლ ე ვ ი — საიქიოს, ჩემო ძამიავ, საიქიოს... ყოველი ჩვენი მოქმედება იქ იწერება...

მ ს ა ხ ი ო ბ ი — საიქიოს თავი დაანებე და მოდი აქვე დამაჯილდოვე...

კ ო ს ტ ი ლ ე ვ ი — აბა მე როგორ დავაჯილდოვო?

მ ს ა ხ ი ო ბ ი — ისე... ნახევარი ვალი ჩამომათაღე...

კ ო ს ტ ი ლ ე ვ ი — ხე, ხე, ხე, რა ხუმარა ხარ. ადამიანის კე-

თილი გული განა ფულთან შესადარებელია? კეთილი საქმე ყოველ დიდებას აღმატება... მაშასადამე, შენი ვალი, ვალად დარჩება... და მომცემ კიდევაც... ჩემებრ მოხუცს, უსასყიდლოდ უნდა მიუზღა სიკეთე...

მსახიობი — რა გაქნილი ხარ, ბებერო... (სამზარეულოში ვაღის კლეში წამოდგება და ღერეფანში გავა).

კოსტილევი — (სატიანს). ოჰო, ჩვენი ფხაკუნა გაიქცა... მე მაგას არ ვუყვარვარ.

სატიანი — ეშმაკის მეტს შენ არავის არ უყვარხარ...

კოსტილევი — (ჩაიციანებს). რა საძაგელი ენა გაქვს... მე კო ყველა მიყვარხართ... მე მესმის, რომ თქვენ ბედისაგან ღვენილნი, ღვთის ამარა დატოვებულნი ჩემნი ძმანი ხართ. (უცებ). ვისკა შინ არის?

სატიანი — მიდი და ნახე!

კოსტილევი — (პეპელის ოთახის კარს არახუნებს). ვასია! (მსახიობი სამზარეულოში შესასვლელ კარიდან გამოჩნდება, თან რაღაცას ლეჭავს).

პეპელი — ვინ არის?

კოსტილევი — მე ვარ... ვასია, მე.

პეპელი — რა გინდა?

კოსტილევი — (უკან დაიწევს). კარი გამიღე...

სატიანი — (კოსტილევის არ უცქერის, ისე ამბობს). ის კარს გაუღებს და ცოლი კი... (მსახიობი ფრუტუნებს).

კოსტილევი — (აღშფოთებული, დაბალი ხმით) რაო? იქ ვინ არისო? შენ... რას?

სატიანი — რა? მე მეუბნები?

კოსტილევი — რაო? რა სთქვი?

სატიანი — არაფერი... ეს ისე... ჩემთვის.

კოსტილევი — შენ ეი, ზომიერად იხუმრე, თორემ... ხომ იცი? (უფრო ძლიერად არახუნებს კარს). ვასილი!..

პეპელი — (კარს აღებს). რა იყო? რას გვაწუხებ?

კოსტილევი — (ოთახში შეიხედავს). მე... იცი...

პეპელი — ფული მოიტანე?

კოსტილევი — ისე... რა ჰქვიან... შენთან საქმე მაქვს...

პეპელი — ფული მოიტანე-მეთქი?

კოსტილევი — რა ფული... მოიცა...

პეპელი — საათის ფული... შვიდი მანეთი...

კოსტილევი — რომელი საათი?... შენ ხომ...

პეპელი — შენ ეი, მიფრთხილდი! გუშინ მოწმეების თანადსწრებით საათი მოგყიდე თუმნად... სამი მანეთის მეტი არ მოგი-

ცაა... შვიდი მანეთი კიდევ მერგება... მოიტა! რა აქეთ-იქით აცეცებ თვალებს? დაეთრევა, ხალხს აწუხებს და თავის საქმის კი ვერა გაუგია რა.

კოსტილევი — სსს... ნუ ცხარობ, ვასია... ის საათი...

სატიანი — მოპარულია...

კოსტილევი — (სატიანად). მე ნაქურდალს არაფერს არ ვიღებ... როგორ შეგიძლია...

პეპელი — (მხარზე ხელს მოჰკიდებს). რატომ არ მომასვენებ? რა გინდა ჩემგან?..

კოსტილევი — ააა... არაფერი... თუ კი შენ ეგრე... წავალ...

პეპელი — წადი და ფული მომიტანე.

კოსტილევი — (მადის). ოჰ, ღმერთო, ეს რა ტლანქი ხალხია...

მსახიობი — ეს რა კომედიაა!

სატიანი — კარგია. ეს მე მომწონს...

პეპელი — ნეტავ აქ რას დაეთრევა?

სატიანი — (იციანს) როგორ არ გესმის? ცოლს ეძებს... შენ ერთი მაგას რიგიანად დაუზილე გვერდები...

პეპელი — მეტი საქმე არა მაქვს! მაგისთანა უწმინდურისათვის სწორედ სიცოცხლეს მოვიწამლავ.

სატიანი — შენც ჭკუით მიჰყე საქმეს. ვასილისაზე ჯგვარი გადიწერე და ჩვენი სახლის პატრონიც ვახდები.

პეპელი — მადლობას მოგახსენებთ. მე ისეთი კეთილი გულის კაცი ვარ, რომ დარწმუნებული ვარ, ჩემი სახლკარიანად არაყში დამაგირავებთ. (ტახტზე ჩამოჯდება). ძილი დამიფრთხო მაგ გადამლრძვალმა ქოფაკმა... მერე სიზმარში ვიყავი, ვითომ თევზებს ვიჭერდი, ვითომ უშველებელი თევზი მოხვდა ჩანგალს... იმგვარი თევზი სიზმარში თუ მოეჩვენება ადამიანს. ვეწევი ჩემსკენ ანკესით და მეშინიან თოკი არ გაწყდეს. გავემზადე და ვფიქრობ — აი ახლა კი...

სატიანი — თევზი კი არა, ვასილისა იქნებოდა...

მსახიობი — ვასილისა დიდი ხანია რაც დაიჭირა...

პეპელი — (გულმოსული). მომშორდით. ჯანდაბამდისაც გზა გქონიათ თქვენცა და იმასაც.

კლეში — (ღერეფნიდან შემოდის). რა საშინელი სიცივეა.

მსახიობი — რატომ ანას არ შემოიყვანთ... ხომ გაიყინა...

კლეში — ნატაშამ წაიყვანა თავისთან, სამზარეულოში.

მსახიობი — ის ბებერი იქ არ დააყენებს...

კლეში — (მიუჯდება სამუშაოს). მაშინ ნატაშა მოიყვანს.

ს ა ტ ი ნ ი — ვასილი, ერთი შაური მომე.

მ ს ა ხ ი ო ბ ი — (სატინს). იიი... შაური, ვასია, ორი შაური მოგვეცი...

პ ე პ ე ლ ი — ჩქარა უნდა მივცე, სანამ მანეთი არ უთხოვიათ... აპაა!

ს ა ტ ი ნ ი — გიბრალტარო! ქურდებზე კარგი ხალხი ქვეყანაზე არავენ არის.

კ ლ ე შ ი — (შეკმუხვნილი). ფულს ადვილად მოულობენ... უმრომლად.

ს ა ტ ი ნ ი — ვისაც ფული აქვს, განა შრომით აქვს შეძენილი? ფულს ბევრი ადვილად მოულობს, ცოტაა ისეთი, რომ მას ადვილად ელეოდეს. იმუშავეო? ისე მოაწყე საქმე, რომ მუშაობა ჩემთვის სიამოვნება იყოს... და მაშინ შეიძლება ვიმუშაო... დიახ, შეიძლება. თავისუფალი შრომა სიცოცხლეა და მონური კი სიკვდილი. (მსახიობს). აბა, სარდანაპალი მივიღივართ.

მ ს ა ხ ი ო ბ ი — მივიღივარ, ნაბუქოდონოსორ, მივიღივარ. ისე დავთვრები, როგორც... ორმოცი ათასი ლოთი. (გაღიან).

პ ე პ ე ლ ი — (ამოქნარებს). რა? ცოლი როგორ გყავს?

კ ლ ე შ ი — ეპ, ეტყობა, ჩქარა... (პაუზა).

პ ე პ ე ლ ი — გიყურებ, გიყურებ და, ამოდ აფხაკუნებ მაგ კლიბს.

კ ლ ე შ ი — მაშ რა ვაკეთო?

პ ე პ ე ლ ი — არაფერი.

კ ლ ე შ ი — მაშ, როგორ ვიცხოვრო?

პ ე პ ე ლ ი — ხომ ცხოვრობს ხალხი...

კ ლ ე შ ი — ვინ ხალხი? ესენი? განა ესენი ადამიანები არიან?... მცხენიან მაგათი შეხედვის... მუშა კაცი ვარ... ბავშვობიდანვე შრომას ჩვეული... შენ გგონია, ამ უბედურებას თავს ვერ დავალწევ? წავალ... ტყავს გავიძრობ და აქაურობას კი მოვშორდები... აი, დაიცა... მოკვდება ჩემი ცოლი... ექვსი თვეა აქ ვცხოვრობ და ეს ექვსი თვე, ექვს წელიწადად მეჩვენება.

პ ე პ ე ლ ი — სცდები, შენზე ნაკლები აქ არავენ არ არის.

კ ლ ე შ ი — ცხოვრობენ უსინდისოდ, უპატიოსნოდ.

პ ე პ ე ლ ი — (ფულსივად). მერე რა საჭიროა სინდისი და პატიოსნება? განა ან ერთსა და ან მეორეს ფეხსაცმლად გამოიყენებ? სინდისი და პატიოსნება იმათთვის არის საჭირო, რომელთაც უფლება და ძალა აქვთ...

ბ უ ბ ნ ო ვ ი — (შემოდის). ვუუ-ვუ... გავიყინე.

პ ე პ ე ლ ი — ბუბნოვ, სინდისი გაქვს?

ბ უ ბ ნ ო ვ ი — რაო? სინდისიო?

პ ე პ ე ლ ი — ჰო.

ბ უ ბ ნ ო ვ ი — რათ მინდა სინდისი... მე ხომ მდიდარი არა ვარ.

პ ე პ ე ლ ი — მეც იმას ვამბობ, რომ სინდისი და პატიოსნება მდიდრებისათვის არის-მეთქი... კლეში კი ჩვენ გვლანძღავს, სინდისი არა გაქეთო.

ბ უ ბ ნ ო ვ ი — რა? უნდა ესესხნა?

პ ე პ ე ლ ი — ამას თავისიც ბევრი აქვს...

ბ უ ბ ნ ო ვ ი — მაშ ალბათ ჰყიდი, არა, ჩემო ძმაო, აქ მაგის მუშტარს ვერ იშოვი... აი, დამტვრეული კარდონის ნაჭრები რომ გქონოდა, იმას კი ვიყიდდი... ოღონდ ნისიად.

პ ე პ ე ლ ი — (დარიგებით). სულელი ხარ, ჩემო ანდრიუშა... აბა სატინს და ბარონს მოელაპარაკე სინდისის შესახებ და ნახე რას გეტყვიან.

კ ლ ე შ ი — მე მათთან სალაპარაკო არაფერი მაქვს.

პ ე პ ე ლ ი — მართალია, ისინი ლოთები არიან... მაგრამ შენზე მეტი ჰკუა მაინც აქვთ.

ბ უ ბ ნ ო ვ ი — ვინც ლოთობს და ჰკუას პატრონობს, ის ორ საქმეზე ბატონობს.

პ ე პ ე ლ ი — სატინი ამბობს, ყოველი კაცი სინდისიერ მეზობელს ეძებს, მაგრამ ამოდ, სინდისი ყველას მეტ ბარგად მიანიწიაო. მართლაც ასეა. (შემოდინ ნატაშა და ლუკა. ლუკას ხელში ჯოხი უჭირავს, მხრებზე გულა წამოუდგია და ქამარზე ჩაიდანი და პატარა ქვაბი ჰყიდა).

ლ უ კ ა — ჩემი სალაში პატიოსან ხალხს.

პ ე პ ე ლ ი — (ულვაშების გრებით). ოჰო, ნატაშა!

ბ უ ბ ნ ო ვ ი — (ლუკას). პატიოსნება შარშანწინ გაზაფხულზე შემომაცვდა.

ნ ა ტ ა შ ა — აი, ახალი მდგმური მოგიყვანეთ.

ლ უ კ ა — ჩემთვის სულერთია... მე გაიძვერა, ავაზაკი ხალხიც მიყვარს... ჩემი აზრით, ყველა რწყილი ერთნაირია... ყველა შავია და დახტის... დიახ, ასეა... აბა, ჩემო კარგო, სად უნდა მოვთავსდე?..

ნ ა ტ ა შ ა — (მიუთითებს სამზარეულოში გასვალ კარებზე). იქით მიდი, ბაბუა...

ლ უ კ ა — მადლობ, ქალიშვილო. იქ იყოს. მოხუცის ბინა იქ არის, სადაც თბილა... (გადის).

პ ე პ ე ლ ი — ნატაშა, ასეთი კარგი მოხუცი სად გიპოვნია?

ნატაშა — თქვენ კი გჯობიათ და... ანდრეი, შენი ცოლი ჩვენთანაა სამზარეულოში... ცოტა ხანს შეძლებ შემოიარე და წაიყვანე.

კლეშჩი — კარგი, მოვალ...

ნატაშა — ახლა მაინც მოეჭეცი ალერსიანად... ხომ იცი, რომ დღეს არა, ხვალ...

კლეშჩი — ვიცი...

ნატაშა — „ვიცი“. საქმე მარტო ცოდნა როდია... უნდა გესმოდეს კიდევ... სიკვდილზე საშინელი ხომ არა არის რა...

პეპელი — აი, მე არ მეშინია...

ნატაშა — ჰო, ვიცი, რა გულადიც ბრძანდებით...

ბუბნოვი — (სტვენით). ძაფი კი დამბალი ყოფილა...

პეპელი — მართლა არ მეშინია... აი, თუნდაც აიღე დანა და გულში ჩამეცი... მოგვედები — თვალს არ დავახამხამებ... მოგვედები სიხარულით, თუკი შენებრ უმანკოს ხელი მომიღებს ბოლოს.

ნატაშა — (მიღის). ეგ საკენკი თქვენ ქათმებს დაუყარე...

ბუბნოვი — (გაჰიანურებით). ძაფი კი დამბალი ყოფილა...

ნატაშა — (ღერფნის კარებიდან). ანდრეი არ დაგავიწყდეს, ცოტა ხანს მერე მოდი და შენი ცოლი წაიყვანე...

კლეშჩი — კარგი...

პეპელი — რა მშვენიერი გოგონაა.

ბუბნოვი — დიახ, არა უჭირს რა.

პეპელი — განზე რათ იწეფს? უარზეა... სულ ერთია, აქ ხომ დალუპვა არ ასცდება.

ბუბნოვი — შენ დალუპავ...

პეპელი — მე რატომ? პირიქით, მებრალემა.

ბუბნოვი — როგორც მგელს ცხვარი...

პეპელი — სტყუი! ძალიან... მებრალემა... ვიცი, რომ აქ ცხოვრება მისთვის ცუდია... კარგად ვხედავ...

კლეშჩი — მოიცა... ერთი ვასილისა მოგისწრებდეს მაგასთან ლაპარაკის დროს...

ბუბნოვი — ვასილისა? ის მუქთად არავის არას დაუთმობს.. ცეცხლი ქალია...

პეპელი — (ტახტზე წვება). მომწყდით თავიდან... წინასწარ შეტყვევების!

კლეშჩი — აჰა, ვნახოთ...

ლუკა — (სამზარეულოში მღერის). შუა ღამეა, გზა-კვალი არ ჩანს...

კლეშჩი — (ღერფნისაკენ წავა). ოჰო, შენი ღმუილილა გვაკლდა.

პეპელი — მომწყინდა, რათ მომწყინდება ხოლმე ასე? ცხოვრობ, ცხოვრობ, ყველაფერი კარგად მიდის და უცებ, თითქოს შესცივდაო... მოიწყენ და მოიღუშები...

ბუბნოვი — მოიწყენ, არა? ჰჰმ...

პეპელი — ეჰ-ეჰ-ჰე!

ლუკა — (მღერის). ეე... გზა-კვალი არ ჩანს...

პეპელი — შენ ეი, მოხუცო!

ლუკა — (კარებს იქიდან გამოიხედავს). მე შეძახი?

პეპელი — დიახ, შენ! ნუ მღერის!

ლუკა — (შემოდის). არ ვიყვარს სიმღერა?

პეპელი — მიყვარს, როდესაც კარგად მღერიან.

ლუკა — მაშ, როგორცა ჩანს, მე ცუდად ვმღერი?

პეპელი — ალბათ.

ლუკა — ხედავთ! მე კი მეგონა, კარგად ვმღეროდი. მუდამ ასეა, თავისი გაკეთებული საქმე კაცს ღიდი რამე ჰგონია, აჩვენებს ხალხს, და არ მოსწონთ.

პეპელი — (სიცილით). მართალია.

ბუბნოვი — ამბობ, მოწყენილი ვარო და იცინი.

პეპელი — მერე რა შენი საქმეა, შე ყვაავო, შენა!

ლუკა — ეგ რომელია მოწყენილი?

პეპელი — მე. (შემოდის ბარონი).

ლუკა — ხედავთ, იქაც სამზარეულოში, ვილაც ახალგაზრდა ქალი ზის, წიგნს კითხულობს და თან ტირის... ვეკითხები, რა გატირებს-მეთქი? ის კი — მეცოდებაო. ვინა-მეთქი? აი ამ წიგნში ერთი ვინმეა და ისაო... როგორც ეტყობა, ისიც მოწყენილია.

ბარონი — ის სულელია.

პეპელი — ბარონ! ჩაი დალიე?

ბარონი — დავლიე... მერე?

პეპელი — გინდა, ხელდახელ ნახევარი ბოთლი ჩამოვდგა?

ბარონი — რატომაც არა. მერე!

პეპელი — აბა ოთხზე დადექი და ძალღვივით დაიყეფე.

ბარონი — აი, შე რეგვენო, შენა! შენ მოვრალი ხარ თუ ვაქარი?

პეპელი — აბა, იყეფე, ერთი გულიანად გაეციანო... გახსოვს — ერთ დროს ჩემისთანებს, რომ კაცად არა სთვლიდი?..

ბარონი — ჰო, მერე?

პეპელი — მერე ისა, რომ ახლა ძალღვივით უნდა გაყეფო... ხომ დაიყეფებ?..

ბარონი — კარგი, ვიყეფებ... ვთქვათ თვითონვე ვგრძნობ,

რომ შენზე უარესი ვარ, ამითი შენ რა გემატება, შე უტვინო?... მაშინ უნდა აგეყუფებინე, როდესაც შენზე დიდი ვაყავი.

ბუბნოვი — მართალია.

ლუკა — მეც ვგრე ვიტყვი — მართალია.

ბუბნოვი — რაც იყო, წავიდა, გაქრა... აქ ბატონი არავინ არის...

ლუკა — მაშ ყველა თანასწორნი გყოფილვართ... შენ წინათ ბარონი იყავი.

ბარონი — რას ამბობ, შე ჭინკავ, შენა.

ლუკა — (იციხის). გრაფიც მინახავს, თავადიც, მაგრამ ბარონს კი პირველად ვხედავ და იმასაც გასალახანებულს.

პეპელი — (ხარხარებს). ეგ როგორ შემარცხვინე, ბარონ?

ბარონი — ვასილი, დროა ჭკუა მოიკრიფო.

ლუკა — გიყურებთ, ჩემო კეთილნო... და რა არის თქვენი ცხოვრება?... ო-ოჰ!

ბუბნოვი — დიახ, ჩვენი ცხოვრება, არც თუ სიამოვნებაა.

ბარონი — უკეთესი ცხოვრებაც გვინახავს... დიახ, იყო დრო, გაიდვიძებდი თუ არა, ლოგინში ყავას მომართმევდნენ ნაღებით.

ლუკა — ეგ არაფერია... რაც უნდა ითვალთმაქცო და იფაროსეველო, მაინც კაცად ხარ დაბადებული და კაცადვე მოკვდები... ვხედავ, რომ ჭკვიანი ხალხი თანდათან შემაქციევარნი ხდებიან...

ბარონი — მოხუცო, ვინ ხარ, ანდა საიდან მოხველი?

ლუკა — მეე?

ბარონი — მოგზაური ხარ?

ლუკა — ამ ქვეყნად ყველანი მოგზაურნი ვართ... როგორც ამბობენ... თურმე დედამიწაც ცაში მოგზაურობს

ბარონი — (შაკრალ). ეგ ეგრე, მაგრამ პასპორტი ხომ გაქვს?

ლუკა — (აუჩქარებლად). ჯაშუში ხარ?..

პეპელი — (სიხარულით). ყოჩაღ, მოხუცო, ყოჩაღ! გამარჯვება შენია. რაო, ბარონ, შენც მოგხედა, არა?

ბუბნოვი — დიახ. მიიღო ბატონმა.

ბარონი — (გაწვილებული). რა იყო, აბა რა მოხდა ისეთი? მხოლოდ ვიხუმრე... მე-თითონაც არ მაქვს არავითარი ქალაღი...

ბუბნოვი — სტყუი!

ბარონი — არა, ქალაღი კი მაქვს, მაგრამ არაფრად არ მარგია.

ლუკა — მერედა რომელი ქალაღია გამოსადეგი? განა ყველა ზედმეტი არ არის?..

პეპელი — ბარონ, წავიდეთ ტრაქტირში.

ბარონი — მზად ვარ. მშვიდობით, მოხუცო... რომ იცოდე, რა გაქნილი ხარი!

ლუკა — ყველაფერი ხდება, ჩემო კარგო.

პეპელი — (დერფნის კარებიდან). ჰა, მოდიხარ თუ არა? (გაღის, ბარონი საჩქაროდ დაუდევნება).

ლუკა — ეგ კაცი მართალი იყო ოდესმე?

ბუბნოვი — ეშმაკმა იცის მაგის თავი... ბარონი რომ ყოფილა, ეს კი ეტუობა... აი აქაც, ზოგჯერ არც აციებს, არც აცხელებს და დაიწყებს მბრძანებლობას... ეტუობა, ჯერ სულ არ გადაჩვეულა...

ლუკა — მბრძანებლობა სახადივითაა... აი, როგორც ყვავილმა იცის... კაცი მორჩება, მაგრამ ნიშანი კი ისევე ატყვია...

ბუბნოვი — არა, მაინცდამაინც, ცუდი კაცი არ არის, ხანდახან ვირული წიხლი რომ არ იცოდეს, აი, როგორც შენ პასპორტზე მოუვიდა...

ალიოშა — (შემოდის გარმონით ხელში. მთვრალია. სტვენს). ეი, ხალხნო!

ბუბნოვი — რა გაღრიალებს?..

ალიოშა — უკაცრავად... გვაპატიეთ... მე ზრდილობიანი კაცი ვარ...

ბუბნოვი — ისევე გადაჰკარი?

ალიოშა — რამდენიც გინდა. ეს არის ახლა პრისტაის თანამეშვემ, მედიაკინმა გამომაგლო პოლიციიდან და მეუბნება: შენი ლანდი არ დაგინახო ქუჩაშიო... ვერ მოგართვი. მე ერთი თავნება კაცი ვარ... ჩემი ოსტატი კი ზიზლით მიყურებს და დამცინის... მერედა, რა არის ჩემი ოსტატი? ლოთი, შფოთი... სხვა რა არის?... მე კი, აი ისეთი კაცი ვარ... არაფერი არა მსურს... არაფერი არ მინდა... მორჩა და გათავდა... ფული მომეცი და წამიყუა... არაფერი არ მინდა... (სამზარეულოდან ნასტია შემოდის). მილიონიც რომ მომცე, არ მინდა... და ჩემისთანა პატიოსან კაცს, რომ ის ჩემი ლოთი ამხანაგი უბრძანებდეს, არ მინდა... არ მსურს... (ნასტია კარებში დგას, ალიოშას უყურებს და თავს იჩნევს).

ლუკა — (ლმობიერად). ეჰ, ჭაბუკო, წასულია შენი საქმე...

ბუბნოვი — აღამიანური სიბრიყვეა...

ალიოშა — (იბრაქზე გაწევა). მოდი. შემუამე. მე კი — არაფერი არ მინდა... ერთი თავზე ხელაღებული კაცი ვარ... ამიხსენით მაინც, რითი მჯობნიან სხვები? რითი ვარ სხვებზე ნაკლები? მედიაკინი მეუბნება, ქუჩაში აღარ დაგინახო, თორემ თავპირს დაგამტკ-

რევო... თუ ასეა, წავალ და ზედ ქუჩაზე გავწვები... და გამსრი-
სეთ-მეთქი... არაფერი არ მინდა... არ მსურს...

ნ ა ს ტ ი ა — უბედური. რა ახალგაზრდაა და თავს როგორ ილუ-
პავს...

ა ლ ი ო შ კ ა — (ნასტიას დაინახავს და დაიჩოქებს). ახ, მამხელ. პარ-
ლე ფრანსე... პრეის-კურანტ... ცოტა გადაეკარი...

ნ ა ს ტ ი ა — (ჩურჩულით). ვასილისა.

ვ ა ს ი ლ ი ს ა — (სიჩქარით გააღებს კარს და ალიოშკას). შენ ისევ
აქა ხარ...

ა ლ ი ო შ კ ა — ოჰ, ვახლავარ. მობრძანდით.

ვ ა ს ი ლ ი ს ა — შე ძაღლის ლეკვო, შენ არ იყავი, რომ ვითხა-
რი, შენი სახსენებელი აქ არ იყოს-მეთქი? და შენ ისევ მოსულხარ?

ა ლ ი ო შ კ ა — ვასილისა კარპოვნა... გინდა?... სამგლოვიარო
მარში დავუკრა?

ვ ა ს ი ლ ი ს ა — (ხელს ჰკრავს). დაიღუპე აქედან!

ა ლ ი ო შ კ ა — (კარებისაკენ მიიწევს). მოიცა... ეგრეც არ იქნება...
სამგლოვიარო მარში... ახლახან შევესწავლე... ახალთახალი მუსი-
კაა. მოიცათ... ეგრე არ იქნება.

ვ ა ს ი ლ ი ს ა — არ იქნებას გაჩვენებ მე შენ! ახლავე მთელ
ქუჩას თავზე დაგახვევ, შე ურჯულოვ, შენა! აბა ერთი კიდეც ვით-
ქვამს რამე ჩემზე!

ა ლ ი ო შ კ ა — (გარბის). კარგი, წავალ...

ვ ა ს ი ლ ი ს ა — (ბუბნოვს). მაგისი ფეხი აქ არ დავინახო, გეს-
მის?

ბ უ ბ ნ ო ვ ი — მე თქვენი ყარაული არ ვახლავართ.

ვ ა ს ი ლ ი ს ა — ვინცა ხარ, ეგ ჩემი საქმე არ არის. ნუ გავიწყ-
დებ, რომ აქ სამადლოდ ცხოვრობ... რამდენი გამართებს ჩემი?

ბ უ ბ ნ ო ვ ი — (მშვიდად). ჯერ არ მიანგარიშნია.

ვ ა ს ი ლ ი ს ა — მე შენ გაანგარიშებ.

ა ლ ი ო შ კ ა — (კარს შემოაღებს და ყვარის). ვასილისა კარპოვნა.
მე შენი არ მეშინია... იცოდე, არ მეშინია... არა და არა! (იმალება,
ლუკა იცინის).

ვ ა ს ი ლ ი ს ა — შენ ვილა ხარ?

ლ უ კ ა — მგზავრი... მოგზაური...

ვ ა ს ი ლ ი ს ა — აქ საცხოვრებლად მოსულხარ, თუ მარტო ერ-
თი ღამის გასათევად?

ლ უ კ ა — ვნახოთ...

ვ ა ს ი ლ ი ს ა — პასპორტი?

ლ უ კ ა — კეთილი...

ვ ა ს ი ლ ი ს ა — მოიცა...

ლ უ კ ა — მოვიტან... შინ ამოვიტან.

ვ ა ს ი ლ ი ს ა — მოგზაური! გეთქვა, რომ ერთი მაწანწალა ვინ-
მე ხარ. უფრო მართალი იქნებოდა.

ლ უ კ ა — (თხვრით). მძიმე ადამიანი ყოფილხარ, ცუდი. (ვასილი-
სა პუკელის ოთახის კართან მიდის. ალიოშკა საშხარეულოდან გამოიჭყიტება და
ჩურჩულით). წავიდა, პა?

ვ ა ს ი ლ ი ს ა — (მოუბრუნდება). შენ კიდეც აქა ხარ? (ალიოშკა მი-
იმალება და სტვენს. ნასტია და ლუკა იცინიან).

ბ უ ბ ნ ო ვ ი — (ვასილისას). შინ არ არის...

ვ ა ს ი ლ ი ს ა — ვინ?

ბ უ ბ ნ ო ვ ი — ვასკა...

ვ ა ს ი ლ ი ს ა — მერედა, ვინ გეკითხება?

ბ უ ბ ნ ო ვ ი — არა, მაგრამ ისე ათვალეირებ აქაურობას, რომ...

ვ ა ს ი ლ ი ს ა — ვათვალეირებ! ესინჯავ, ყველაფერი რიგზეა,
თუ არა. ეს რა არის, რატომ აქამდის არ დაგიგვიათ? რამდენჯერ
მიბრძანებია თქვენთვის, აქაურობა სუფთად შეინახეთ-მეთქი.

ბ უ ბ ნ ო ვ ი — დღეს მსახიობმა უნდა დაგავოს... იმის ჯგერია...

ვ ა ს ი ლ ი ს ა — ეგ ჩემი საქმე არ არის... იცოდეთ, თუ სანიტ-
რები მოვიდნენ და დამაჯარიმეს... ყველას აქედან გაგყრით...

ბ უ ბ ნ ო ვ ი — (მშვიდად). მერე რითი იცხოვრებ?...

ვ ა ს ი ლ ი ს ა — მტვერის ერთი ნამცეციც არსად დავინახო.
გესმით?... (მიდის საშხარეულოსაკენ. ნასტიას). შენ რაღას აყუდებულხარ
აქ და მოგიბრეცია ეს ცხვირ-პირი? იატაკი დაგავე. ნატალია არ და-
ვინახავს?... აქ არ ყოფილა?

ნ ა ს ტ ი ა — არ ვიცი... არ მინახავს...

ვ ა ს ი ლ ი ს ა — ბუბნოვ. ჩემი და თუ იყო აქ?

ბ უ ბ ნ ო ვ ი — აი... ეს მოიყვანა...

ვ ა ს ი ლ ი ს ა — ის... შინ იყო?

ბ უ ბ ნ ო ვ ი — ვასკა? შინ იყო... კლუშჩს ელაპარაკებოდა...
ნატალია...

ვ ა ს ი ლ ი ს ა — მე როდი გკითხავ, ვის ელაპარაკებოდა-მეთქი.
ყველაფერი სუფთად იყოს, გესმით!.. (საჩქაროდ გადის).

ბ უ ბ ნ ო ვ ი — რომელი მხეცი იქნება მაგ დედაკაცზე უარესი...

ლ უ კ ა — დიახ, მეტად დინჯი ქმნილებაა...

ნ ა ს ტ ი ა — გამხეცდები ასეთი ცხოვრებით, მაშ რა იქნება.
არც არის გასამტყუნარი... შეაუღლე ვინც გინდა ისეთ კაცთან, რო-
გორიც მაგისი ქმარია და...

ბუბნოვი — არა, არც ისე ერთგულად ეწევა უღელს...

ლუკა — ყოველთვის ასე იცის აფეთქება?

ბუბნოვი — ყოველთვის... საყვარელს ეწვია და ის კი შინ არ დაუხვდა...

ლუკა — მაგისტვის გაწყრა, ჰა? ეპ-ეპ! რამდენნაირი ხალხი ბატონობს ამ ქვეყნად და რანაირად არ აშინებენ ერთიმეორეს, მაგრამ წესიერება მაინც არ არის... არც სისუფთავეა სადმე...

ბუბნოვი — წესიერება ყველას უნდა, მაგრამ გონიერება არ ჰყოფნით... ეპ, დროა დავგავით... ნასტია, მოდი ერთი გაისარჯე და აქაურობა დაგავე.

ნასტია — დიახ, როგორ არა... თქვენი მოახლე არ გახლავარ (სიჭუმის შემდეგ). ეპ, წაველ, დავთვრები... ისე დავთვრები...

ბუბნოვი — ეგეც საქმეა...

ლუკა — რატომ? რათ უნდა დათვრე? წელან ტიროდი, ახლ კი უნდა დავთვრეო...

ნასტია — (გამომწვევად). დიახ, დავთვრები და ისეც ვიტორებ... აი!

ბუბნოვი — ცოტა...

ლუკა — რაა მიზეზი ანდა რატომ? მითხარი, უმიზეზოდ ხომ მუწუტიც არ ამოდის. (ნასტია ჩუმად არის და თავს აქნევს).

ლუკა — ეპ, ჩემო კეთილნო, რა არის თქვენი ბოლო? აბა, ცოცხი სად არის, მე მაინც დავგვი...

ბუბნოვი — დერეფანშია, კარებს უკან... (ლუკა დერეფანში გადის).

ბუბნოვი — ნასტია! ნასტენკა!

ნასტია — ჰა?

ბუბნოვი — ვასილისა რათ დაატყდა ასე ალიოშას?

ნასტია — იმიტომ რომ ალიოშკას ულაპარაკნია, ვასკას ვასილისა მობეზრდა, თავს ანებებს და მისი და, ნატაშა უნდა... წავალ აქედან... გავეცლები... სხვაგან გადავალ...

ბუბნოვი — მაინც სად წახვალ?

ნასტია — მომბეზრდა... აქ ზედმეტი ვარ...

ბუბნოვი — (შვილად). ყველგან ზედმეტი იქნები... ყოველმ ადამიანი ზედმეტია ამ ქვეყანაზე... (ნასტია თავს აქნევს. მერე აღგება და წელი ნაბიჯით გადის დერეფანში. შემოდის მერვედვი, მას ლუკა შემოყვება ცოცხით).

მედვედვი — თითქოს... არ გიცნობ...

ლუკა — დანარჩენ ხალხს — ყველას იცნობ?..

მედვედვი — ვინც ჩემ საპოლიციო ნაწილში ცხოვრობს, ყველას უნდა ვიცნობდე... შენ კი ვერა გცნობ.

ლუკა — ეგ იმიტომ, ჩემო ძმაო, რომ მთელი ქვეყანა შენ საპოლიციო ნაწილში ვერ მოთავსდა. მცირე ნაწილი გარეთ დარჩა... (მედის სამზარეულოში).

მედვედვი — (მედის ბუბნოვთან). მართალია, პატარა უბანი მბარია, მაგრამ დიდზე უარესია... აი ახლა, როდესაც მორიგეობა გავათავე და შინ მოსასვენებლად მივდიოდი, მეჩქმე ალიოშკა პოლიციაში წავეყვანე... გაწოლილა შუა ქუჩაში, აქყვიტინებს გარმონს და ყვირის: არაფერი არ მინდა... არაფერი არ მსურსო... ცხენები კი აქეთ-იქით დაჰქრიან და საერთოდ — მოძრაობაა... ხომ შეიძლება, რომ გასრისონ და სხვა... ერთი დამთხვეული ვინმეა. მაშინვე ჩავაველე კისერში ხელი და წარგადგინე პოლიციაში. არ უყვარს წესიერება...

ბუბნოვი — სალამოზე შაშის სათამაშოდ ხომ მოხვალ?

მედვედვი — ჰო, მოვალ... ვასკა რასა იქს?

ბუბნოვი — არაფერს... ისე, როგორც იცი...

მედვედვი — ცხოვრობს, ა!

ბუბნოვი — რატომაც არ იცხოვრებს... მისთვის შეიძლება ცხოვრება...

მედვედვი — (ეპით). შეიძლებაო? (ლუკა დერეფანში გამოჩნდება გვარდით). აქ ვასკაზე რაღაცეებს ლაპარაკობენ... ხომ არაფერი გაგიგია?

ბუბნოვი — ათასგვარი ხმა დადის... რას არ გაიგონებ...

მედვედვი — ვითომ ვასილისა... არ შეგიმჩნევია?..

ბუბნოვი — რა?

მედვედვი — ისე... საერთოდ... ეგებ იცი და სტყუი... ყველამ იცის... (მაცრად). ტყუილები აქ არ იყოს!

ბუბნოვი — რათ უნდა ვიტყუო?

მედვედვი — საქმეც ეგ არის. ძაღლები. ლაყბობენ... ვითომ ვასკა და ვასილისა... მე რა! მე ხომ ვასილისას მამა არა ვარ... ბიძა ვარ... მე რას დამცინიან? (შემოდის კვანია). რა ხალხია... არ შეუძლიათ, რომ ყველას არ დასცინონ... (კვანისას). ოჰო, მოხვედი?

კვანია — ოჰ, ჩემო სულის კლიტე. იცი, ბუბნოვ, წელან საეპროდ რომ ვიყავი, გადამეკიდა, — გინდა თუ არა ჯგარი უნდა დავიწეროთო.

ბუბნოვი — მერე რაღას უყურებ? შენც შეირთე... ფული აქვს და კაცად ჯერჯერობით ჯანხედაც არის...

მედვედვი — მეც! (ცერს უჩვენებს). ასე ვარ, აი.

კ ვ ა შ ნ ი ა — შენ ეი, მაგეებს ნულარ გამახსენებ, ნატკენ ადგილზე ხელს ნუ მახლებ, ეგ უკვე ვცადე... ქალისთვის გათხოვება და წყალში გადავარდნა, ერთია... ერთხელაც მეყო მაგ სისულელის ჩადენა...

მ ე დ ვ ე დ ე ვ ი — მოითმინე, მოითმინე... ქმარიც არის და ქმარიც...

კ ვ ა შ ნ ი ა — ჩემთვის ყველა ერთია... ჩაძალდა თუ არა ჩემი ძვირფასი მეუღლე — აი ძალები დავაკალ იმის სულს! — სიხარულისაგან აღარ ვიცოდი რა შექნა... არც კი მჯეროდა ჩემი ასეთი ბედნიერება...

მ ე დ ვ ე დ ე ვ ი — თუ უმიზეზოდ გცემდა ის შენი ქმარი, რას უყურებდი? პოლიციაში უნდა გეჩივლა.

კ ვ ა შ ნ ი ა — რვა წელიწადი ღმერთს შევჩიოდი და არაფერი არ მიშველა...

მ ე დ ვ ე დ ე ვ ი — ახლა აკრძალულია ცოლების ცემა... ახლა ყველაფერი კანონზე და წესიერებაზეა დამყარებული... უმიზეზოდ არავის ცემა არ შეიძლება... და თუ წესიერება დაარღვიე, მაშინ კი გცემენ წესრიგისათვის.

ლ უ კ ა — (ანა შემოჰყავს). აი, მოვალწიეთ... როცა ეგრე სუსტად ხარ, ვინმე უნდა გშველოდეს... სად არის შენი ადგილი?

ა ნ ა — (ახვეწებს). მადლობელი ვარ...

კ ვ ა შ ნ ი ა — აი გათხოვილი ქალი... აბა შეხედეთ.

ლ უ კ ა — ძალზე დასუსტებულია... დერეფანში ხელით კედელს წასტანებია და მოდის, თან კენესის... რათ უშვებთ მარტოს?

კ ვ ა შ ნ ი ა — უკაცრავად, ძიაკაცო, ვერ შევამჩნიეთ... მაგის შოახლე კი, როგორც ჩანს, სასეირნოდ წასულა.

ლ უ კ ა — შენ იცინი და როდესაც ადამიანი ასე სუსტად არის, მოვლა უნდა... იცოდე, კაცი როგორიც არ უნდა იყოს, თავის ფასს მაინც არ დაჰკარგავს.

მ ე დ ვ ე დ ე ვ ი — თვალყური უნდა ადევნოთ... ერთიც ვნახოთ, მოკვდა... მერე დავიდარაბის თავი აბა ვისა აქვს... ყური უნდა უგდოთ.

ლ უ კ ა — მართალსა ბრძანებთ, ბატონო უნდერ...

მ ე დ ვ ე დ ე ვ ი — ჰმ... დიახ... მართალია ჯერ სრული უნდერი არა ვარ, მაგრამ...

ლ უ კ ა — ჰოო! შეხედულება კი გოლიათის გაქვს და... (დერეფნიდან ვიღაცის ხმა და ყვირილი მოისმის).

მ ე დ ვ ე დ ე ვ ი — უეჭველად ჩხუბია.

ბ უ ბ ნ ო ვ ი — მეც ეგრე ვფიქრობ...

კ ვ ა შ ნ ი ა — წავიდე ერთი ვნახო...

მ ე დ ვ ე დ ე ვ ი — მეც უნდა წავიდე... ეჰ, ჩვენი სამსახური, არა, რათ აშველებენ მოჩხუბრებს, ა? უნდა მიუშვა, ვიდრე ერთმანეთს კარგად დაზღვავდნენ და მერე თვითონ გაშველდებიან... ეგრე ხშირადაც არ იჩხუბებენ, იმიტომ, რომ დაზღვილი გვერდები დიდხანს ეხსომებათ...

ბ უ ბ ნ ო ვ ი — (ჩამოდის ტახტიდან). ამაზე ერთი მმართველობას მოელაპარაკე...

კ ო ს ტ ი ლ ე ვ ი — (შემოადებს კარებს და ყვირის). აბრამ, ჩქარა, ჩქარა! ვასილისას ნატაშა ჰკლავს. (კვაშნია, მედედევი და ბუბნოვი დერეფნისაკენ გარბიან. ლუკა თავის ქნევით გაჰყურებს მათ).

ა ნ ა — ოჰ, ღმერთო, საბრალო ნატაშა!

ლ უ კ ა — ვინ ჩხუბობს?

ა ნ ა — დები, ამ სახლის პატრონები...

ლ უ კ ა — (მივა ანახთან). რა აქვთ გასაყოფი?

ა ნ ა — არ ვიცი... ორივე მაძღარია და ორივე ჯანმრთელი...

ლ უ კ ა — შენი სახელი?

ა ნ ა — ანა... გიყურებ და მამაჩემი მაგონდება... ისიც შესავით მოსიყვარულე, ალერსიანი და ლბილი კაცი იყო...

ლ უ კ ა — იმდენი მთელეს, რომ დავრბილდი, ჩემო კარგო. (ხმა ჩახლენილი იცინის).

ფ ა რ დ ა

მეორე მოქმედება

იგივე მოწყობილობა. საღამოა. სატინი, ბარონი, კრივოი ზობი და თათარი ღუმელის მახლობლად ტახტზე სხედან და ქაღალდს თამაშობენ. კლეშიჩი და მსახიობი თამაშს უცქერიან. ბუბნოვი თავის ტახტზე შედევდევთან შაშს თამაშობს. მწოლარე ანას მახლობლად, ტახურეტზე ლუკა ზის. სადგომს ორი ლამაზი ანათებს: ერთი ქაღალდის მოთამაშეებთან კედელზე კიდეა და მეორე ბუბნოვის ტახტზე დგას.

თათარი — ერთხელაც ვთამაშობ, მეტს აღარ ვითამაშებ...

ბუბნოვი — ზობი! იმორე! (მღერის).

მზე შუქსა ჰფენს არე-მარეს...

კრივოი ზობი — (აყვება). ჩემ საკანში ისევ ბნელა...

თათარი — (სატინს). ქაღალდი აურიე... კარგად აურიე... მე ვიძის შენ როგორი ვარ...

ბუბნოვი და კრივოი ზობი — დღე-ღამ მცველი ჩემს ფანჯარას გარს სულ უვლის ნელ-ნელა.

ანა — ცემა... ლანძღვა... მეტი არაფერი მღირსებია ჩემს სიცოცხლეში...

ლუკა — ნუ ნაღვლობ, ჩემო კარგო, ნუ...

მედვედევი — საით ეწევი, საით?

ბუბნოვი — ა-ა! ჰო, უკაცრავად, უკაცრავად.

თათარი — (სატინს მუშტს მოუღერებს). შენ რათ გინდოს ქაღალდი დამალოს. მე ნახოს...

კრივოი ზობი — დაანებე თავი, ასან... სულერთია... წავაგებთ... აბა, ბუბნოვ, დაიწყე!

ანა — ჩემს სიცოცხლეში არ მახსოვს, რომ ოდესმე მაძლრად გყოფილიყავი... ყოველ ლუკმას დავეკანკალებდი... მეშინოდა, რომ სხვაზე მეტი არა მეჭამა რა.. ჩემს ტანს ძონძების მეტი არა უნახავს რა... რათა? რისთვის?

ლუკა — დაილაღე განა, შვილო? არაფერია, არა გიშავს რა...

მსახიობი — (კრივოი ზობს). სალდათს ჩამოდი... სალდათი... ეშმაქსაც წაუღია ეგ შენი თავი...

ბარონი — ჩვენ ხელმწიფე გვყავს...

კლეშიჩი — რა თქმა უნდა, ესენი გასჭირიან...

სატინი — ჩვენ ასე ვიცით...

მედვედევი — დამა!

ბუბნოვი — აი მეც...

ანა — და აი, ვკვდები...

კლეშიჩი — უყურე ერთი ამას, უყურე... კნიაზ, დაანებე თავი, თავი დაანებე-მეთქი... გუბნები.

მსახიობი — ამას შენი ღარიგება არ სჭირდება...

ბარონი — ეი, ანდრიუშკა! გირჩევენია შენთვის იყო, თორემ... ცხვირ-პირს ამოგინაყავ...

თათარი — აბა ერთიც ჩამოარიგე... გოგა ზღალზე ზავიდა, თავი გატეხა... მეც ეგრე... (კლეშიჩი თავს გაიქნევს და ბუბნოვთან მიდის).

ანა — ღმერთო, ღმერთო! ნუთუ იმ ქვეყნადაც ეს ტანჯვა მომელის?

ლუკა — იქ არაფერი არ იქნება... ნუ შფოთავ... არაფერი არ იქნება... იქ მოისვენებ... ოღონდ მოთმინება იქონიე... ყველასათვის მოთმინებაა საჭირო...

ბუბნოვი — (მღერის). როგორც უნდა მიდარაჯოთ...

კრივოი ზობი — (მღერის). სად წაუვალ მაგ თქვენ ბრჭყალებს... (ორხმად).

როგორ მინდა ლაღად ფრენა,

მაგრამ ვერ ვლევ ბორკილებსა...

თათარი — (ყვირის). შენ რათ დამალოს ქაღალდი სახელოში?..

ბარონი — (გაწბილებული). მაშ რა ვქნა? შენ ცხვირში ხომ არ დავმალავ?

მსახიობი — (ღარწმუნებით). კნიაზ! შეგეშალა... არავინ, არასოდეს...

თათარი — მე ნახოს... ყულიკი! არ მინდა მეტი ითამაშოს.

სატინი — (ქაღალდებს აგროვებს). ასან, გირჩევენია ჩამოგვშორდე... ხომ იცი, რა ხალხიცა ვართ — ყულიკები... რაღად თამაშობ?

ბარონი — ერთი ამ კნიაზს დამიხედეთ. ორი აბაზი წავაგო და სამი მანეთისას ყვირის.

თათარი — (ცხარედ). სუნდუსით უნდა ითამაშო...

სატინი — რათა?

თათარი — როგორ, რათა?

სატინი — ჰო, რათა?

თათარი — არ ვიცის...

სატინი — არა, იცი.

თათარი — (გაბრაზებული გადაფურთხებს, ყველანი იცინიან).

კრივოი ზობი — (ფულავითლად). ახირებული კაცი ხარ, ასან... ამით რომ სინდისიერად იცხოვრონ, ხომ სიმშლით ამოწყდებიან...

თათარი — ჩემი რა საქმეა. სუნდუსით უნდა იცხოვროს...

კრივოი ზობი — გეყოფათ... წავიდეთ, ჩაი დავლიოთ... აბა, ბუბნოვ. (მღერის). ეჰ, ბორკილო, ბორკილო.

ბუბნოვი — რკინავ, ჩემო მკაცრო მცველო.

კრივოი ზობი — წავიდეთ, ასანკა! (სამღერით გადიან). ეაჰმე, ვეღარ რომ ვერ დავლევით...

თათარი — (ბარონს მუშტით დემუქრება და დანარჩენებს გაჰყვება).

სატინი — (ბარონს სიცილით). თქვენ, თქვენო თქვენობავ, ჩვეულებრივ შესტოპეთ აი... განათლებული კაცი ხართ და ერთი ქალადიც ვერ გადამალეთ...

ბარონი — ეშმაკმა იცის, რა მომივიდა... ჰმ...

მსახიობი — საქმე ნიჭია... რწმენა არა გაქვს შენი თავის... უამისოდ კი ვერაფერს ვერ გააწყობ...

მედვედვი — მე ერთი დამა მყავს... შენ ორი...

ბუბნოვი — ერთიც კარგია, თუ ჭკუით ითამაშებ — ითამაშე...

კლეში — წაგებული ხართ, აბრამ ივანიჩ.

მედვედვი — ეგ შენი საქმე არ არის, გესმის? შენ გაჩუმდი.

სატინი — სამი აბაზი და სამი კაპეიკი მოვიგე...

მსახიობი — სამი კაპეიკი მე მომეცი და... მაგრამ, ეჰ, რათ მინდა...

ლუკა — (სამზარეულოდან შემოდის). თათარს ფული მოუგეთ? არცის დასალევად მიდიხართ?

ბარონი — მივდივართ... შენც წამოდი...

სატინი — ერთი მთვრალიც გნახო, როგორი ხარ.

ლუკა — ფხიზელზე უარესი...

მსახიობი — წავიდეთ, მოხუცო... მე შენ იქ ლექსებს წავიკითხავ.

ლუკა — ლექსებს? მერე რათ მინდა ლექსები?

მსახიობი — ხან გავიციანებთ, ხან ვიტირებთ. აი რათ გვირდა...

სატინი — შენ ეი, მელექსევი! მოდიხარ თუ არა? (ვადის ბარონთან ერთად).

მსახიობი — წადით და დაგეწევით. მოხუცო, აი, მაგალითად... ერთ ლექსს წავიკითხავ... ჰმ, ჰმმ... როგორ იწყება... არა, არ მახსოვს... (მუბლზე ხელს ისვამს).

ბუბნოვი — მორჩა... გაქრა შენი დამა... ითამაშე...

მედვედვი — აქეთ რომ არ წასულიყავი?

მსახიობი — მოხუცო, წინათ როცა ორგანიზმი ალკოპოლით ჯერ არ მქონდა მოწამლული, შესანიშნავი მესხიერების კაცი ვიყავი. ახლა კი ყველაფერი გაქრა... ყველაფერი... როდესაც წავიკითხავდი ამ ლექსს... აღტაცებული ხალხი ტაშს მიკრავდა... მაჭებდა... მოხუცო, შენ არ იცი, რა არის მსახიობისათვის ტაში... ქება... დიდება... იცი ეს... ეს... როგორც არაყი... ხშირად... ვამოვდიოდი სცენაზე... გავჩერდებოდი აი ასე... გავჩერდებოდი და... (სიჩუმე). აღარაფერი არ მახსოვს... არცერთი სიტყვა... აღარ მახსოვს... არა... არა... მერე რაჩივ მიყვარდა ის ლექსი... სამწუხაროა განა, მოხუცო?

ლუკა — დიახ, სამწუხაროა იმის დაკარგვა, რაც გიყვარს, რადგან გული იმითი ცოცხლობს.

მსახიობი — მე გული აღარ მაქვს, მოხუცო... დავკარგე, მომიკვდა... და იცი რათ? რწმენა არა მქონდა ჩემი თავის... დაღუპული ვარ, მოხუცო, დაღუპული.

ლუკა — მერე, რაო? შენც იწამლე, ესლა, ძამიავ, ლოთებსაც არჩენენ... უფულოდ წამლობენ... ისეთი საავადმყოფოა გამართული, სადაც მუქთად არჩენენ... დარწმუნებულან, რომ ლოთიც ადამიანია და თურმე სინარულით წამლობენ... აბა, ჩემო კარგო, მოემზადე... წადი იქ...

მსახიობი — (დაფიქრებული). სად?... საით?..

ლუკა — ის ერთ ქალაქშია... რა ჰქვია... სახელად უწოდებენ... ეგ ადვილია, გეტყვი იმ ქალაქის სახელს, ოღონდ აი, რა უნდა გითხრა... სანამ მოემზადები... ძალ-ღონე მოიკრიბე... განმტკიცდი... შენი თავი შენვე დისაკუთრე... და მერე ყველაფერი ადვილი... განიკურნები... ახალ ცხოვრებას დაიწყებ... ახალს და მკვდრეთით აღდგები... კარგია, არა?

მსახიობი — (ილიშება). ახალი ცხოვრება... ახალი... დიახ, ეს კარგია... ახალი... (იცინის). ჰო, დიახ, დიახ, მე შემძლია... მართალია განა? ხომ შემძლია?..

ლუკა — რატომაც არა. ადამიანმა ოღონდ მოიწადინოს და, ყველაფერი შეუძლია.

მსახიობი — (უცებ, თითქოს აწლა გაიღვიძაო). ეჰ, ჩერჩეტი ყო-

ფილხარ, ჩერჩეტი. (სტვენს). მშვიდობით, მოხუცო. (გაღის).

ანა — ბიძია...

ლუკა — რაო, ჩემო კარგო...

ანა — მითხარი რამე...

ლუკა — (მივა მასთან). კეთილი, ვისაუბროთ...

კლეშჩი — (აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედავს, მივა ცოლთან და დაცქერდება. ხელებს ისე ვაშლის, თითქოს რაღაცა უნდა თქვას).

ლუკა — რა იყო, ჩემო ძმაო?

კლეშჩი — (ხმადაბლა). არაფერი. (ნელი ნაბიჯით წავა დერეფნისაკენ, ცოტა ხანს შედგება და შერე გაღის).

ლუკა — (თვალთ გააცილებს). რაღაც ფიქრები აწუხებს შენს ქმარს.

ანა — მე ახლა მაგისთვის აღარ მცხელა...

ლუკა — გცემდა?

ანა — შერედა, როგორ! მაგან არ დამაჟლექა!..

ბუბნოვი — ჩემ ცოლს ერთი საყვარელი ჰყავდა, შაშის მოთამაშე ის იყო აი!..

მედვედევი — მმ-მ...

ანა — ბიძია, მითხარი რამე, გული მიწუხს...

ლუკა — ეგ არაფერია... სიკვდილის წინ მუდამ ასეა, ჩემო კარგო... მოკვდები და მოისვენებ... მაშინ არაფერი არ დაგკირდება... არც კენესა, არც ოხერა... აღარც რისამე შიში გექნება... სიჩუმე... მყუდროება... იწვები შენთვის მოსვენებით... სიკვდილი ყველაფერს ამშვიდებს... სიკვდილი ჩვენთვის სიტკბოებაა. ამბობენ, მოკვდები და მოისვენებ... ეს მართალია, ჩემო კარგო... მაშ, აბა, მითხარი... აბა მითხარი, ამ ქვეყნად, როგორ უნდა დაისვენოს ადამიანი? (შემოადის პეპელი, თმაგაწეწილი და მოლუშული. ცოტა ნახვამია კი-რის მახლობლად ტახტზე ჩამოჯდება და თავს ჩაჰკიდებს).

ანა — იქ, საიქიოსაც ასე უნდა ვიტანჯო?

ლუკა — მერწმუნე, არაფერი იქ არ იქნება... იქ მხოლოდ მოისვენებ... დამშვიდდები... მიგოწვევენ უფალთან და ეტყვიან: უფალო, მოხედე მონასა შენსა ანასა, წარმომდგარსა წინაშე შენსა...

მედვედევი — (მკაცრად). შერედა, შენ რა იცი იქ რას იტყვიან, ჰა?.. (ბეპელი, მედვედევის ხმის გაგონებაზე, თავს აიღებს და ყურს უგდებს).

ლუკა — ალბათ ვიცი, ბატონო უნდერ...

მედვედევი — (რბილად). ჰო, არა... თუმცა ჯერ სრული უნდერი არა ვარ, მაგრამ...

ბუბნოვი — ორი ამყავს.

მედვედევი — აი შეგაჩვენოს ჩემმა განჩენმა...

ლუკა — ამ დროს უფალი გადმოგხედავს მოწყალის თვალთ და იტყვის: მე ვიცნობ ანას... წაიყვათ სამოთხეში... დეე, იქ დაისვენოს... ვიცი, რომ მაგან მთელი თავისი სიცოცხლე ტანჯვა-ვაებაში გაატარა... წაიყვათ სამოთხეში... დაასვენეთ ანა...

ანა — (ოხერით). მოხუცო... საყვარელო მოხუცო... ნეტავი აგრემც იყო... ნეტა. იქ მაინც ვიყო მოსვენებით... იქ მაინც არ ვავიტანჯო...

ლუკა — არ დაიტანჯები... არაფერი იქ არ იქნება... ნურას იღარდებ... მშვიდად განუტევე სული... დამიჯერე, სიკვდილი ჩვენთვის იგივეა, რაც ბავშვისთვის მშობელი დედა.

ანა — იქნება მოვრჩე?.. იქნება განვიკურნო?..

ლუკა — (ჩაიციხებს) რისთვის, სატანჯველად?

ანა — არა... ცოტა კიდევ... ცოტახანიც რომ ვიცოცხლო... თუ იმ სოფლად მოსვენებით ვიცხოვრებ, დეე, აქ დავიტანჯო...

ლუკა — გეუბნები, იქ არაფერი არ იქნება-მეთქი... არაფერი... ერთი სიტყვით.

პეპელი — (წამოადგება). მართალია... შეიძლება არც არის მართალი...

ანა — (შეშინებული). ღმერთო!..

ლუკა — ოჰო, ლამაზო კაცო...

მედვედევი — მანდ ვინ ღრიალებს?

პეპელი — (მივა მასთან). მე! შერე რა?

მედვედევი — ტყუილუბრალოდ ღრიალებ, აი რა! კაცი ყოველთვის თავდაჭერილი უნდა იყოს.

პეპელი — აი, შე მუხის კუნძო, შენა! შერე ბიძასაც გეძახიან...

ლუკა — (ბეპელს, ხმადაბლა). ნუ ყვირი... ავადმყოფს სული ხდება... უშლი...

პეპელი — აი, შენ კი დავიჯერებ, ბიძია! შენ ყოჩალი ხარ... მშვენიერად ახერხებ ტყუილებს... შესანიშნავ ზღაპრებს ამბობ... იცრუე, ნუ გეშინია. ქვეყანა სიცრუეზეა აგებული...

ბუბნოვი — მართლა კვდება ეგ დედაკაცი?

ლუკა — მგონი, არ ხუმრობს...

ბუბნოვი — მაშასადამე, ხელებას თავს დაანებებს... განუწავებელივ ახველებდა... ორი ამყავს...

მედვედევი — ორი ისარი გეცეს მაგ გულში!

პეპელი — აბრამ!

მედვედევი — მე შენი აბრამი არ ვარ...

პ ე პ ე ლ ი — აბრამკა! ნატაშა უჭეიფოდაა?
მ ე დ ვ ე დ ე ვ ი — მერე რა შენი საქმეა?
პ ე პ ე ლ ი — არა, შენ ეს მითხარი, ვასილისამ ძლიერ სცემა?
მ ე დ ვ ე დ ე ვ ი — არც ეგ არის შენი საქმე... ეგ საქმე ოჯახს შეეხება... შენ კი, ვინა ხარ?
პ ე პ ე ლ ი — ვინც უნდა ვიყო... მაგრამ თუ მოვინდომე, ნატაშას თვალით ვეღარ იხილავთ.
მ ე დ ვ ე დ ე ვ ი — (თამაშს თავს ანებებს). რა სტქეი? რას ამბობ? ვინდა, რომ ჩემი ძმის შვილი... უპ, შე ქურდო, შენა...
პ ე პ ე ლ ი — შენ კი... ვერც ერთხელ ვერ დამიჭირე და...
მ ე დ ვ ე დ ე ვ ი — ცოტაც დამაცა, მალე დაგიჭერ...
პ ე პ ე ლ ი — დამიჭერ და, ვაი შენი ბრალო. შენა გგონია, ვამომძიებლის წინაშე ხმას ჩაუიწყვეტ? დიახ, ელოდე! მკითხავენ: ვინ გაჩვენებდა გზას საქურდლად? მიშკა კოსტილევი და მისი ცოლი-მეთქი. ნაქურდულ ნივთებს კინ ყიდულობდა. მიშკა კოსტილევი და მისი ცოლი-მეთქი. ასე ვიტყვი...
მ ე დ ვ ე დ ე ვ ი — ეგ სიცრუეა... არ დაგიჯერებენ...
პ ე პ ე ლ ი — დამიჯერებენ, იმიტომ, რომ ხიძართლეა, შენც... შენც ჩაგხლართავ ამ საქმეში... ყველას დაგლუბავთ, თქვე შეჩვენებულეზო!
მ ე დ ვ ე დ ე ვ ი — ტყუი! და... ცრუობ... როდის რა დაგიშავე, ა? ჩემი ცული გახსოვს რაშიმე, შე ცოფიანო ძაღლო, შენა?...
პ ე პ ე ლ ი — არცთუ სიკეთე მახსოვს შენგან.
ლ უ კ ა — ჭეშმარიტებაა!
მ ე დ ვ ე დ ე ვ ი — (ლუკას). შენ... რას დაგეჩხავი? რა შენი საქმეა?... ეს საქმე ოჯახის საქმეა...
ბ უ ბ ნ ო ვ ი — (ლუკას). თავი დაანებე, სახრჩობელის თოკს ჩვენთვის ხომ არ გრეხენ.
ლ უ კ ა — (შევიდალ). მე რა... მე არაფერი... მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომელ ადამიანსაც ადამიანისათვის სიკეთე არ უქნია, ძლიერ ცუდად მოქცეულა-მეთქი...
მ ე დ ვ ე დ ე ვ ი — (ვერ გაიგო). საქმეც ეგ არის... ჩვენ აქ ყველანი ერთმანეთს ვიცნობთ... შენ კი ვინა ხარ? ჰმ. (გაჯავრებული ვადის).
ლ უ კ ა — გაჯავრდა მათი აღმატებულება? ოპ-ოპ-პო!, ეპ, ჩემნო ძმანო, როგორც ვატყობ, ცუდად არის თქვენი საქმე.
პ ე პ ე ლ ი — ვასილისასთან გაიქცა საჩივლეღად.
ბ უ ბ ნ ო ვ ი — სულელურად იქცევი, ვასილ... აქ ტყუილად ყოყოჩობ და თავს იჩენ... თავის გამოჩენასაც თავისი ადგილი აქვს... აქ არ გამოვადგება... იცოდე, ესენი თავს ცოცხლად წაგგლეჯენ...

პ ე პ ე ლ ი — შენ არხეინად იყავ... ჩვენ, იაროსლაველები, ევრე ადვილად როდი ვნებდებით მტერს... თუ ბრძოლაზე მიდგა საქმე, მაშინ ჩვენ ვიცით.

ლ უ კ ა — მართლად, აქაურობას რომ გასცილდე, ცუდს როდი იზამ.

პ ე პ ე ლ ი — მერედა, სად წავიდე?

ლ უ კ ა — აი, მაგალითად, ციმბირში.

პ ე პ ე ლ ი — ვიდრე სახელმწიფო ხარჯით არ გამგზავნიან, მე ციმბირში წამსვლელი არა ვარ.

ლ უ კ ა — დამიჯერე, წადი... იქ შეგიძლია გზა გაიკვლიო და საჭიროსიც არიან იქ თვისსთანები.

პ ე პ ე ლ ი — ჩემი გზა უკვე გაკვალულია. მამაჩემმა მთელი თავისი სიცოცხლე ციხეში გაატარა... და მეც ეგვეე მიანდერძა... ბავშვობიდანვე ქურდს მეძახიან... ქურდის შვილს...

ლ უ კ ა — ძლიერ კარგი ადგილია ციმბირი. სწორედ რომ ოქროს ქვეყანაა. ვისაც ჭკუა აქვს და ძაღლონე მოსდევს, იმაზე კარგად ადგილს ვერ მონახავს.

პ ე პ ე ლ ი — მოხუცო, სულერთთავად რათ სტყუი, ჰა?

ლ უ კ ა — ჰა?

პ ე პ ე ლ ი — დაყრუვდი?... რათ სტყუი-მეთქი?

ლ უ კ ა — რაში ვტყუი?

პ ე პ ე ლ ი — ყველაფერში... ეს აქ კარგია, ის იქ... მაშ ეს რა არის, თუ არ ტყუილი?

ლ უ კ ა — დამიჯერე, წადი... შენ თითონ ნახე და გაიგებ, ესტყუი თუ მართალს ვამბობ... იცოდე, მაღლობას მეტყვი... რას დასტრიალებ აქაურობას? ან რა ძალიან თავგამოდებით დაეძებ მაგ სიმართლეს?... აბა იფიქრე, ვინ იცის, იქნებ ეგ სიმართლე უფრო უარესიც გამოდგეს შენთვის.

პ ე პ ე ლ ი — ჩემთვის სულ ერთია. უარესია — უარესი იყოს...

ლ უ კ ა — უცნაურია! რათ გინდა, რომ თავი ძალად მოიკლა?

ბ უ ბ ნ ო ვ ი — ვერ გამიგია... რას მიედ-მოედები... ვასკა, რომელ სიმართლეს დაეძებ ან რათ გინდა ეგ სიმართლე, ყველას თავისი სიმართლე აქვს... შენ — შენი, სხვას — სხვისი.

პ ე პ ე ლ ი — მოიცა... ნუ ჭიჭყინებ... დეე, ამან თქვას... გამიგონე, მოხუცო... დემრთი არის? (ლუკა ჩუმად არის, იღიმება).

პ ე პ ე ლ ი — მითხარი, არის?

ლ უ კ ა — (ხმადაბლა). თუ გწამს — არის, თუ არადა — არ არის.

ქვეყნად რაც გწამს, ის არის. (პეპელი უჩიხავოდ დაჟინებით შესცქერის ლუკას).

ბუბნოვი — წავიდე, ერთი ჩაი დავლიო... ტრახტირში არ წამოხვალ?

ლუკა — (პეპელს). რას მიყურებ?

პეპელი — მოიცა... კარგი... ვთქვათ... მაშ...

ბუბნოვი — მაშ მარტო წავალ. (მიდის, მაგრამ კარებში ვასილის გადაყრება).

პეპელი — მაშასადამე, შენ...

ვასილისა — (ბუბნოვს). ნასტია შინ არის?

ბუბნოვი — არა. (ვადის).

პეპელი — აჰა, მოვიდა...

ვასილისა — (ანასთან მივა). ისევ ცოცხალია?

ლუკა — — ნუ შეაწუხებ...

ვასილისა — შენ აქ რალას აკეთებ?

ლუკა — თუ აგრე... წავალ...

ვასილისა — (პეპელის ოთახის კარებისაკენ გაემართება). ვასილი, შენთან საქმე მაქვს. (ლუკა დერეფნის კართან მივა, ვალებს და ისევ მაგრამაჯახუნებს. შემდეგ ტახტიდან ლუმელზე სიფრთხილით ადის).

ვასილისა — (პეპელის ოთახიდან). ვასია, აქ მოდი.

პეპელი — არ მოვალ!

ვასილისა — რატომ? რაზე წყრები?

პეპელი — მომბეზრდა ამდენი ვაივაგლახი.

ვასილისა — მეც მოგბეზრდი?

პეპელი — დიახ, შენც!

ვასილისა — (მხრებზე ხელსახოცს გადმოიჭიმავს და ხელებს გულზე მიიკრავს. მივა ანას საწოლთან, ფარდის იქით შეიხედავს და შემდეგ ისევ პეპელთან დაბრუნდება).

პეპელი — აბა, რას იტყვი?

ვასილისა — რა უნდა ვთქვა? ძალით თავის შეყვარება შეუძლებელია. მეც ჩვეულებად არა მაქვს მოწყალების თხოვნა... გმადლობ სიმართლისათვის.

პეპელი — რომელ სიმართლისათვის?

ვასილისა — რომ თავი მოგაბეზრე... ან იქნება ეს ტყუილია? (პეპელი უსიტყვოდ შეპყურებს).

ვასილისა — (მიუახლოვდება). რას მიყურებ? ვერ მცნობ?

პეპელი — (ამოიოხრებს). ოჰ, რა ლამაზი... რა მომხიბლავი ხარ... (ვასილისა კისერზე ხელს დაადებს, მაგრამ პეპელი მხარს გაიქნევს და ჩამოიცილება)... მაგრამ არასოდეს არ მყვარებიხარ... თუმცა ვცხოვრობდი შენთან, მაგრამ არასოდეს არ მომწონდი...

ვასილისა — (რეა). მაშ ეგრე? ჰა? მერე?

128

პეპელი — მერე არაფერი... ჩამომეხსენი.

ვასილისა — იქნებ სხვა ვინმე მოგივიდა თვალში?

პეპელი — შენი საქმე არ არის... მაჭანკლობას როდი ვთხოვ.

ვასილისა — (მნიშვნელოვნად). და ძალიან ცუდსაც სჩადიხარ. შეიძლება, მე ის შენთან შემეუღლებინა.

პეპელი — (ცვიით), ვინ ის?

ვასილისა — შენც კარგად იცი... რა საჭიროა თვალთმაქცობა? ვასილი, მე პირდაპირი ადამიანი ვარ. (წყნარი ხმით). არას დაგიშალავ. შენ მაწყენინე... იძახდი, მიყვარხარ, მიყვარხარო... და ახლა კი უცებ...

პეპელი — უცებ კი არა, დიდხანია გეუბნები... ერთი უსულგულო არსება ხარ... ქალის მადალ ღირსებას კი სული უნდა შეადგენდეს. ჩვენი მხეცები ვართ... ჩვენი განსწავლა, გაწრთვნა საჭირო... შენ კი, რა შემასწავლე?

ვასილისა — რაც იყო, გაქრა... ვიცი, რომ ადამიანი თავის თავის უფალი არ არის. აღარ გიყვარვარ? კეთილი. დეე, ასე იყოს.

პეპელი — მაშასადამე, ყველაფერი მშვიდობიანად გათავდა. უჩხუბრად და უდავიდარაბოდ დაეშორდი ერთმანეთს... ეს კარგია.

ვასილისა — არა, მოიცა... როცა შენთან ვცხოვრობდი, იმედი მქონდა, რომ ჭაობიდან ამომიყვანდი... მეგონა, ქმარს და ბიძას მომაშორებდი... ამაყდენდი ამ ვაგლას ცხოვრებას... და, სწორედ რომ ვითხრა, შეიძლება, შენ კი არა, სწორედ ეს იმედი იყო, რომ შენ თავს ასე მაყვარებდა. გესმის? ველოდი, რომ აქედან ამომათრევდი...

პეპელი — შენ ლურსმანი და მე ხომ ვაზი არ ვიყავი, რომ ამომეთრიე... მე თვითონ მეგონა, რომ შენ, როგორც ჰკვიანი ქალი... შენ ხომ ჰკვიანი და მოხერხებული ქალი ხარ...

ვასილისა — (მისკენ ახლოს დაიხრება). ვასია, მოდი დავეხმაროთ ერთმანეთს.

პეპელი — როგორ თუ დავეხმაროთ?

ვასილისა — (ხმადაბლა, მაგრამ მძლავრად). ძალიან კარგად ვიცი, რომ შენ ჩემი და მოგწონს...

პეპელი — იმიტომაც სცემ ასე მხეცურად? მიფრთხილდი, ვასკა. თავი დაანებე...

ვასილისა — მოიცა, ნუ ცხარობ... შეიძლება, ყველაფერი მშვიდად და კეთილად დაბოლოვდეს. მოდი, შეირთე ჩემი და... ფულსაც მოგცემ... სამას მანეთს მოგცემ... შესაძლოა, მეტიც მოგცე — თუ მოვაგროვე.

პეპელი — (უკან დაიწევს), აი თურმე რაში ყოფილა საქმე!

ოპო! ეგ ძლიერ მოხერხებულად მოგიფიქრებია. ყოჩაღ! მაშასადამე... ქმარი — კუბოში, საყვარელი კატორღაში და შენ კი...

ვასილისა — რატომ კატორღაში? ვასია, შენ თვითონ ნუ... ამხანაგის შემწეობით... და თუნდ თვითონაც ჩაიძინო ეს საქმე, ვინ რას გაიგებს... ნატალია... ფულები... აბა იფიქრე... წახვალთ საითმე... და მეც სამუდამოდ გამანთავისუფლებ... ჩემი დაც ჩემ გვერდით რომ არ იქნება, კარგია... მე ის დასანახავად მეჯავრება... შენი გულისთვის ვახრჩობ მე იმას, ვაწვალებ... ვაწვალებ, ისე უღმერთოდ, რომ თვითონ მევე მტკივა გული... და მაინც, ვცემ... და მუდამაც ასე მოგიქცევი...

პეპელი — მხეცო! იკვები კიდევ შენ სიმხეცეს?

ვასილისა — კი არ ვიკვები, სიმართლეს ვამბობ... მოიფიქრე, ვასია... აი შენ თვითონვე... ჩემი ქმრის გაუმადლობის გულისთვის, ციხეში ორჯერ იჯექი... და მეც, აგერ ოთხი წელიწადია, რაც სისხლსა მწოვს... ვანა ის ქმარია. ნატაშას ხომ ტანჯავს და ტანჯავს... ყოველ ნაბიჯზე მისძახის — უმაქნისო, მათხოვაროვო... ვანა ის ყველასათვის შხამი და საწამლაღი არ არის?

პეპელი — მოხერხებულად თვალთმაქცობ.

ვასილისა — აბა რაში ხედავ თვალთმაქცობას? მხოლოდ სულელი ან უგნური ვერ გაიგებდა ჩემ აზრებს... შენ კი უნდა მიხედდე... (კოსტილევს შემოდის და წინ ფრთხილად მოიპარება).

პეპელი — (ვასილისას). კმარა, წადი...

ვასილისა — აბა დაფიქრდი... (დაინახავს ქმარს). შენ რა? მე გამომყევი? (პეპელი შეერთება და ველურად შეჰყურებს კოსტილევს).

კოსტილევსი — ეს... მე... მე ვარ... მარტონი ხართ... კმ... მუხაიფობთ, არა? (უეცრივ ფეხებს დააბრაზუნებს და ვანახლებული დაიფვირებს): ვასკა, შე უმსგავსო. საზიზღარო, მათხოვარო! (თავისივე ხმა შეაერთებს, რადგან ვასილისა და პეპელი ხმას არ იღებენ და ადგილიდან არც იძვრიან). ოჰ, ღმერთო, შემინდე შეცოდებანი ჩემნი. ვასილისა. ცოდვაში ნუ მრევ... გეძებე, ყველგან დაგვიძებ... (ვბილების კრეშით). ძილის დროა... ლამპაში ნავთის ჩასხმაც დაგვიწყებია... უჰ, შე მათხოვარო, შე ღორო! (ავანკალბულ ხელს მოუქნევს ვასილისას, ის კი ნელა ნაპიჯით მიდის დერეფნისაკენ და თან პეპელისაკენ იხედება).

პეპელი — (კოსტილევს). შენ, ეი! გასწი... მომშორდი...

კოსტილევსი — (ყვირის). მე აქ სახლის პატრონი ვარ. შენ თვითონ გასწი... შე ქურდო, შენა!

პეპელი — (ყრუდ). მიშა, მომშორდი-მეთქი!

კოსტილევსი — ხმა ჩაიწყვიტე!.. მე აქ... მე შენ... (პეპელი კოსტოში ხელს ჩაავლებს და ანჯღრევს. ღუმელიდან ხმაურობა და მოქნარება მოის-

მის. პეპელი ვანათავისუფლებს კოსტილევს, რომელიც ყვირით დერეფნისაკენ გაიქანება).

პეპელი — (ტახტზე შეხტება). ვინ არის აქ? ვინა ხარ ღუმელზე? ლუკა — (თავს გადმოჰყოფს). ჰა?

პეპელი — შენა ხარ?

ლუკა — (შშვილად). მე ვარ... თვით მე... ოჰ, მაცხოვარო! წმინდაო ქრისტე!

პეპელი — (დერეფნის კარს მიხურავს. ურდულს ეძებს და ვერ უპოვს). უჰ, წყუელნი! მოხუცო, ჩამოეთრიე მაქედან!

ლუკა — ახლავე... ჩამოვალ...

პეპელი — (მოღუშული). მანდ რათ შემძვრალხარ?

ლუკა — მამ სად უნდა შევძვრალიყავი?

პეპელი — აკი დერეფანში გახვედი?

ლუკა — დერეფანში, ძმაგ, მოხუცი ვარ და შემცივა...

პეპელი — ყველაფერი გაიგონე?

ლუკა — დიახ, გავიგონე... როგორ არ ვაგიგონე... ყრუ ხომ არა ვარ. ბედი გქონია, ბედი.

პეპელი — (შპით). რა ბედი ან რაში მქონია ბედი?

ლუკა — აი მე რომ ღუმელზე შევძვრე...

პეპელი — მერე, იქ რათ ასტეხე ხმაურობა.

ლუკა — იმიტომ, რომ დამცხა... კიდევ კარგი, რომ შენდა საბედნიეროდ მოგიფიქრე და არ დაგახრჩობინე მოხუცი...

პეპელი — დიახ, ადვილი შესაძლებელი იყო ეგ ჩამედინა... შე ის მძულს... მეზიზღება...

ლუკა — მართალია... და არც გასაკვირველია... მაგგვარი შემთხვევა ხშირად მოხდება ხოლმე.

პეპელი — (ლიმილით), გეტყობა, შენც დაგმართნია ასეთი რამ...

ლუკა — ყური დამიგდე რას გეტყვი... ის დედაკაცი მოიშორე თავიდან... ახლოს არ გაიკარო... თავის ქმარს ის შენზე კარგად უჩვენებს თავის გზას... იმ ალქაჯს ნურაფერს ნუ გაუგონებ... აი, ხომ ხედავ, თავზე თმა აღარა მაქვს... მერე რისგან? ვისგან? მხოლოდ დედაკაცებისაგან... რამდენი დედაკაციც მინახავს და დავახლოვებივარ, იმდენი თმა არა მქონია ამ გაშიშვლებულ თავზე... ეგ დედაკაცი კი...

პეპელი — არ ვიცი მადლობა გითხრა, თუ შენც...

ლუკა — გამიგონე-მეთქი... თუ ნატაშა მოგწიანს... მოკიდე ხელი და წადი, გაშორდი აქაურობას...

პ ე პ ე ლ ი — ვერ მიცვნიო ეს ხალხი... კეთილს და ბოროტს ვერ ვარჩევ... ვერაფერი ვერ გამიგია...

ლ უ კ ა — რა არის აქ გაუგებარი? ადამიანი დღენიადავ იცვლება... დღეს კეთილია, ხვალ ბოროტი... და თუ ნატაშა მართლა მოგწონს, წაიყვანე და წადი... ან არა და, მარტო წადი... ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ... ქალებს ბევრს იშოვი...

პ ე პ ე ლ ი — (მხარზე ხელს დაადებს). არა, შენ ეს მითხარი... ყველა მაგას რისთვის მელაპარაკება?

ლ უ კ ა — მოითმინე... დამაცა, ერთი ანას დავხედო... რაღაც ძალიან ხრუტუნებდა... (ანას საწოლთან მიდის, ფარდას გადასწევს, დაჰყურებს და ხელს შეახებს. პეპელი დაფიქრებული და თავგზააბნეული შესცქერის). ყოვლად მოწყალეო, იესო მაცხოვარო. განუხვევნი სულსა მიცვალებულისა მონისა შენისა ანასა.

პ ე პ ე ლ ი — (ხმადაბლა) მომკვდარა. (შორიდან გადახრილი დასცქერის საწოლს).

ლ უ კ ა — დიახ, აღესრულა... ამისი ქმარი სად წავიდა?

პ ე პ ე ლ ი — ტრახტირში იქნება.

ლ უ კ ა — უნდა შევატყობინოთ.

პ ე პ ე ლ ი — (შეკრთება). არ მიყვარს მიცვალებული...

ლ უ კ ა — (კარებისაკენ მიდის). მკვდარი რა შესაყვარებელია... ცოცხალი უნდა გიყვარდეს და არა მკვდარი.

პ ე პ ე ლ ი — მეც წამოვალ...

ლ უ კ ა — გეშინია?

პ ე პ ე ლ ი — არ მიყვარს... საზარელია. (საჩქაროდ გადის. სიჩუმე და სიცარიელე. დერეფნის კარებთან ლაპარაკი ყრულ და გაუგებრად მოისმის. შემოდის მსახიობი).

მ ს ა ხ ი ო ბ ი — (კარების ზღურბლთან გაჩერდება. ორივე კარს აქეთ-იქით ხელს ჩაკიდებს და ყვირის). ეი, მოხუცო, სადა ხარ? გამახსენდა. აბა, ყური დამიგდე. (ბარბაცით გადმოდგამს ორ-სამ ნაბიჯს, გამომეტყველ სახეს მიიღებს და ლექსს ამბობს):

თუ რომ ქვეყანას არ შეუძლია

პოვნა წმინდისა სიმართლის გზისა,

დიდება უგუნურს, რომელიც მოპვგრის

კაცობრიობას ოქროს ტყბილ ძილსა.

(კარებში გამოჩნდება ნატაშა და მსახიობის უკან გაჩერდება).

მ ს ა ხ ი ო ბ ი — მოხუცო!

რომ მოხდეს და ხვალ მზეს დაავიწყდეს

გზის განათება დედამიწისა,

ხვალვე ქვეყანას სხივებს მიმოჰქვენს,

აზრები ვინმე უგუნურისა.

ნ ა ტ ა შ ა — (იციხის). თავცარიელი... გაღეშილა...

მ ს ა ხ ი ო ბ ი — (მისკენ მიბრუნდება). ოჰ, შენა ხარ? მოხუცი სად-ღაა? ჩემი ძვირფასი მოხუცი. როგორც ჩანს, არავინ აქ არ არის... მშვიდობით, ნატაშა, მშვიდობით!

ნ ა ტ ა შ ა — (ოთახში შემოდის). ჯერ არ მომსალმებხარ და მე-მშვიდობები?

მ ს ა ხ ი ო ბ ი — (გზას გადაუღობავს), მივდივარ... მივემგზავრები... დადგება გაზაფხული და აქ ველარ მნახავთ...

ნ ა ტ ა შ ა — გზა მომე... საით მივემგზავრები?

მ ს ა ხ ი ო ბ ი — იმ ქალაქის საპოვნელად... მოსარჩენად... შენც წადი, ოფელია, მონასტერში წადი, მონასტერში... იცი, თურმე არსებობს სამკურნალო ორგანიზმისა... სადაც ლოთებს არჩენენ... შესანიშნავი სამკურნალოა... მარმარილოს იატაკი... სინათლე... სისუფთავე... საკმელ-სასმელი... სულ მუქთად... დიახ, მარმარილოს იატაკი... მე მას ვიპოვე... განვიკურნები... და ისევ ხელახლა შევუდგები ცხოვრებას... ნატაშა, ხომ გახსოვს მეფე ლირის სიტყვები... ჩემი სახელი სვერჩოვ ზავოლესკი იყო სცენაზე... ახლა კი არავინ ეს არ იცის... არავინ... აღარ მაქვს სახელი... აღარ... იცი, რა ძნელია სახელის დაკარგვა?... ძალღებსაც კი აქვთ თავისი სახელი... (ნატაშა მსახიობს გვერდით ჩაუვლის, შივა ანას საწოლთან და დააქვერდება).

მ ს ა ხ ი ო ბ ი — არ არის სახელი — არ არის კაცი.

ნ ა ტ ა შ ა — აბა დახედე! მომკვდარა!

მ ს ა ხ ი ო ბ ი — (თავს იქნევს). შეუძლებელია!

ნ ა ტ ა შ ა — ლმერთს გეფიცები... აბა ნახე...

ბ უ ბ ნ ო ვ ი — (კარებიდან). რა უნდა ნახოს?

ნ ა ტ ა შ ა — ანა მომკვდარა.

ბ უ ბ ნ ო ვ ი — მაშასადამე, ხველებას გადუვლია... (მიდის ანასთან, დააქვერდება და ისევ უკან წამოვა). კლემენტს უნდა შევატყობინოთ... მოუაროს...

მ ს ა ხ ი ო ბ ი — მე მივდივარ... ვეტყვი... დაიკარგა სახელი... (გადის).

ნ ა ტ ა შ ა — (ოთახის შუაში დგას). მეც ოდესმე ასე, სარდაფში მიგდებულს...

ბუბნოვი — (თავის ტახტს რალაქ ძონძს გადაადარებს). რაო, რას ბუბნუტებ?

ნატაშა — ისე, ჩემთვის...

ბუბნოვი — ვასკას ელი? უფრთხილდი, თორემ მე ვიცი, ერთხელ არის, კისერს მოგტეხავს...

ნატაშა — მაინც არ ამცდება და სულერთია, დეე ისევ იმან მომტეხოს.

ბუბნოვი — (წამოწვება). კარგი შენ იცი...

ნატაშა — მოკვდა და მოშორდა უბედურებას, მაგრამ მაინც მებრალბა. ღმერთო, რისთვის ცხოვრობს ადამიანი?

ბუბნოვი — ყველა ასეა... იბადებიან, ცხოვრობენ და კვდებიან... მეც მოგვკვდები, ისიც, შენც და სხვაც... რა საჭიროა მებრალბა? (შემოდიან: ლუკა, თათარი, კრივოი ზობი და კლემი. კლემი ყველაზე უკან შემოდის, მობუზულია).

ნატაშა — სსს... ანა...

კრივოი ზობი — გავიგეთ... ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს.

თათარი — (კლემს). უნდა გავიტანოს... დერეფანი გავიტანოს... მკვდარი აქ არა... აქ სოსხალი უნდა დაიზინოს...

კლემი — (ხმადაბლა). გავიტანთ. (ყველანი საწოლთან მივლენ. კლემი ყველაზე უკან დგას და ცოლს ისე დასცქერის).

კრივოი ზობი — (თათარს) შენ გგონია, სუნს გაუშვებს? სუნი აბა საიდან ექნება, როცა ცოცხლადვე გახმა.

ნატაშა — ღმერთო! ებრალებოდეთ მაინც, ერთს მაინც ეთქვა რაიმე წესიერი ოპ, თქვე...

ლუკა — შენ, გოგონავ, ნუ ჯავრობ... ეს არაფერია. აბა სად შეგვიძლია, რომ მკვდრები შევიბრალოთ... ეჰ, ჩემო კეთილო! ცოცხლები არ გვებრალბა... სად გვცალია, მკვდრების შესაბრალბლად...

ბუბნოვი — (ამოქნარებს). კიდევაც ვიტყვი: სიკვდილს ხმაურის არ ეშინია... ხმაურის ავადმყოფობას ეშინია და არა სიკვდილს...

თათარი — (ჩამოშორდება). პოლიზია უნდა...

კრივოი ზობი — უეჭველად უნდა შევატყობინოთ პოლიციას... კლემი, პოლიციაში გამოაცხადე...

კლემი — არა... დამარხვა უნდა... მე კი ორი აბაზის მგტი არა გამაჩნია რა...

კრივოი ზობი — რადგან ასეა საქმე, ისეხე... ან არა და, შევაგროვოთ... ზოგი თითო შაურს მოგცემს... ზოგი... ვისაც რა შეუძლია... პოლიციაში კი გამოაცხადე... დაეჩქარე. თუ არ გამოაცხადე...

ხადე, ეგონებათ, ან შენ მოჰკალი, ან არა და... (მიდის ტახტთან და თათართან დასაწოლად ემზადება).

ნატაშა — (ბუბნოვის ტახტისაკენ გაიწევს). ახლა სულ სიზმარში უნდა ვხედავდე, ძილში... სულ ერთთავად მიცვალებულებს ვხედავ სიზმარში... მარტო ვერ წავსულეარ... მეშინია... დერეფანში ბნელა...

ლუკა — (უკან მისდევს). მკვდრების ნუ გეშინია... შენ ცოცხლებს ერიდე... ცოცხლებს უფრთხილდი...

ნატაშა — ბიძი, გამაცილე.

ლუკა — გაგაცილეა... წავიდე. (გადასწავს).

კრივოი ზობი — ოპ-პო-პო-პო! ასან! ჩქარა გასაფხული დადგება, მეგობარო, და თბილად ვიცხოვრებთ... ახლა გლეხები სოფლად გუთანსა და სახნის-საკვეთს ამზადებენ... სახნავად ემზადებიან... ჩვენ? ჩვენ რაღას ვუყურებთ?.. ასან? დასძინებია ამ წყვეულ თათარს...

ბუბნოვი — თათრებს ძილი უყვართ.

კლემი — (ღამის სათევის შუა ადგილას დგას და წინ გარინდებული იქიბება). რაღა გქნა ახლა?..

კრივოი ზობი — დაწეკი და დაისვენე... სხვა არაფერი...

კლემი — (ნელა). ამას... ამას რა ეშველება? (პასუხს არაფერს არ ამცდევს. შემოდიან მსახიობი და სატინი).

მსახიობი — (ყვირის): მოხუცო, აქეთ, ჩემო ერთგულო კენტ...

სატინი — მიკლუხა-მაკლაი მოდის... ხო-ხო!

მსახიობი — გათავდა. მორჩა. მოხუცო! სად არის ის ქალაქი?.. ან შენ სადა ხარ?

სატინი — ფატა-მორგანა! მოგატყუა მოხუცმა, მოგატყუა... არაფერიც არ არის... არაფერი... არც ქალაქი... არც ხალხი... არაფერი არ არის...

მსახიობი — სტყუი!

თათარი — (წამოხტება). პატრონი ზადა ვარ, ა? პატრონი ზავიდოს... აგ ვერ დაიზინოს... ფული არ მოგცოს... მგვდარი, მდგრალი კაცი. (საჩქაროთ გადის, სატინი სტვენით გააცილებს).

ბუბნოვი — (ნამოხარევი ხმით). დაწეკით, ყმაწვილებო, ნუ ხმაურობთ... ღამეს ძილი უნდა.

მსახიობი — დიახ... აქ მიცვალებულია... „ჩვენსა ბადესა მიცვალებული მოუთრევი“... ლექსი ბ-ბერანყერისა. ჩუმიად... აქ მიცვალებულია.

სატინი — (ყვირის). მიცვალებულებს არაფერი არ ესმით. მიცვალებულნი არაფერს არ გრძნობენ. იყვირე, იღრიალე. მიცვალებულებს არაფერი არ ესმით. (ყარბში ლუკა გამოჩნდება).

მისამე მოკმელება

დაუსახლებელი ადგილი. ათასგვარი ნამტვრევე-ნალეწებით სავსე. ეზო ბა-
ლახ-ბულახითა მოფენილი. სცენის სიღრმეში აგურის მაღალი ყრუ კედელია,
რომელიც ცას ჰფარავს, მის მახლობლად — დუღველის ბუჩქნარი, მარჯვნივ —
ჩაშავებული ძელის კედელი რაღაც შენობისა — ფარდულის ანუ საჯინიბოსი.
მარცხნივ ნაცრისფერი კედელი კოსტილევების სახლისა, სადაც ღამის სათევია
მოწყობილი და რომელსაც ალაგ-ალაგ შერჩენია გაჯის ნალესი. ეს კედელი
აღმაცერად დგას. ასე რომ უკანა კუთხე ამ დაუსახლებელი ადგილის თითქმის
შუაგულს უსწორდება. ამ კედლისა და აგურის წითელ კედლის შუა ვიწრო
გასავალია. ნაცრისფერ კედელს ორი საკმელი აქვს დატანებული. ერთი მიწის
პირად და მეორე ორი ადლით აგურის კედლის მახლობლად. ამ კედელთან
ყრამალა გადაბრუნებული მარხილი და ოთხიოდე ადლის ბოძის ჩამონაკვერი
აქვია. მარჯვენა კედელთან დაგროვილია ძველი ფიცრები, ლატნები და კოჭე-
ბი, საღამოა. ჩამუვალი მზე წითლად ანათებს ქვეითკირის კედელს. გაზაფხულს
პირი ახლად უჩანს. ცოტა ხნის წინათ თოვლი მოდიოდა. დუღველის გაშავებუ-
ლი ტოტები ჯერ ისევ უკოროა. ბოძზე მწყრივად სხედან ნატაშა და
ნასტია, ხოლო შეშის ნამტვრევეებზე ლუკა და ბარონი. კლეშჩი
წამოწოლილია მარჯვნივ კედელთან მიყრილ ხეებზე. მიწის პირად რომ ფანჯარაა,
იქიდან ბუბნოვი მოჩანს.

ნასტია — (თვალები დახუჭული აქვს, ყოველ სიტყვაზე თავს იქნევს
და ისე ლაპარაკობს, თითქოს ვაღობსო). შუალამეა. აი, ის პირობისამებრ
მოდის ჩემთან ფანჩატურში... მე დიდი ხანია რაც მას ველი და
გცანცახებე შიშისა და დარდისაგან. ისიც ჩემ მდგომარეობაშია. სახე
ცარცივით გასთეთრებია და ხელში რევოლვერი უჭირავს...

ნატაშა — (მზესუბიარას ანატუნებს). ვერ უყურებთ! მაშ მარ-
თალი ყოფილა, რომ ამბობენ — სტუდენტები თავზე ხელადებულ-
ნი არიანო.

ნასტია — მოდის და მეუბნება საშინელი ხმით: ჩემო ძვირ-
ფასო და საყვარელოო...

ბუბნოვი — ხო-ხო! ძვირფასოო?

ბარონი — მოიცა! თუ არ მოგწონს, აქედან მოშორდი.
ტყუილის თქმა კი დააცა. მერე?

ნასტია — ჩემო თვალის ჩინო და საყვარელო... მშობლები
ჯვარწერის ნებას არ მადლევენ და სამუდამო წყევა-კრულვას
მპირდებიან შენი სიყვარულისთვისო. ჩემ სიცოცხლეს ბოლო უნდა
მოვულო... მეტი არა დამრჩენია რაო... ხელში კი ვეებერთელა რე-
ვოლვერი უჭირავს... ათი ტყვიით გატენილი. მშვიდობით, ჩემო
ძვირფასო, ჩემი ტანჯული გულის თანამგრძნობო. გადავწყვიტე...
უშენოდ სიცოცხლე არ ძალმიძსო... და მე ვუპასუხე: ჩემო დაუ-
ვიწყარო მეგობარო, რაულ...

ბუბნოვი — (გაკვირვებული). რაო? როგორ? ყარაულოო?

ბარონი — (იციხის). ნასტენკა, იმ დღეს არა სთქვი, რომ გას-
ტონს ეძახიანო...

ნასტია — (წამოხტება). გაჩუმიდით... ოჰ, თქვე უბედურნო.
თქვე მაწანწალა ძაღლებო! განა თქვენ შეგიძლიათ მიხედეთ, გაი-
გოთ, რა არის სიყვარული, ჭეშმარიტი სიყვარული? და მე კი გამოვ-
ცადე... დიახ, გამოვცადე ნაშდვილი, ჭეშმარიტი სიყვარული. (ბარონს).
შე არარაობავ, უმაქნისო! ვითომ განათლებული კაცი ხარ... იძახი,
ყავას წამოწოლილი მივირთმევედიო...

ლუკა — მოითმინეთ... ხელს ნუ უშლით... პატივი ეცით ადა-
მიანს... საქმე სიტყვები კი არ არის, არამედ ის, თუ რაზე ამბობს
ამ სიტყვებს... აი რაშია საქმე... გვიამბე, გოგონი, გვიამბე. არა-
ფერია...

ბუბნოვი — ყვავო, ფრთები ლამაზად დაიმშვენე, ხომ?...
მიდი... დაფქვი.

ბარონი — ჰო, მერე?

ნატაშა — მაგათ ყურს ნუ უგდებ, ჩემო კარგო... ეგ შურით
მოსდით... თავის თავზე არა აქეთ რა სათქმელი და...

ნასტია — (ისევ ჩამოჯდება). არ მსურს... მეტს აღარაფერს არ
ვიტყვი... თუკი არ სჯერათ. თუ დამცინიან... თუკი... (ერთბაშად ხმას
ჩაიწყვეტს და რამდენიმე წამს ჩუმად არის. შემდეგ ისევ დახუჭავს თვალებს და
კვლავ განაგრძობს თავის ამბავს. მსურვალედ და ხმაშაღლა, ხელების მოძრაობას
სათქამ სიტყვას ისევ უფარდებს და ისე, თითქოს მუსიკა შორეულ ხმას
ყურს უგდებსო). და აი, მეც ვუპასუხე: ჩემო სიცოცხლე, ნუგეშო-
მეთქი. ჩემო თეთრად მოელვარე მთვარევე. არც მე შემიძლია უშე-
ნოდ სიცოცხლე-მეთქი... როგორ მიყვარხარ, თავგანწირვით და გა-
გიყვებით, ასევე მეყვარები, ვიდრე მკერდქვეშ გული მიცემს-მეთქი...
ოლონდ... ნუ... ნუ მოისპობ შენ ნორჩ სიცოცხლეს... ეგ სიცოცხლე
საჭიროა შენი ძვირფასი მშობლებისათვის. შენ ხარ მათი ნუგეში...
შენა ხარ მათი სიხარული... დამტოვე. დეე, ისევ მე დავიღუპო-მეთ-
ქი... დეე, ისევ მე მომკლას შენზე დარდმა და ნაღველმა... მე მარტო

ვარ... ერთი ვარ... ჩემი ბუნება ასეთია... დეე, ისეე მე... მე დავიღუპო... სულერთია... მე არაფერში არა ვარ გამოსადეგი... და არც არა გამაჩნია-მეთქი... სრულიად არა გამაჩნია რა... (სახეს ხელებით დაიფარავს და უჩუმრად ტირის).

ნ ა ტ ა შ ა — (მხარს შეაქცევს და ხმადაბლა). ნუ სტირი... აბა ტირილი რა საჭიროა... (ლუკა იღიმება და ნასტიას თავზე ხელს უსვამს).

ბ უ ბ ნ ო ვ ი — (ხარხარებს). ერთი უყურეთ ამ ჭინკის ბლარტს!

ბ ა რ ო ნ ი — (ესეც იციწის). ბიძია, იქნებ ყველა ეგ მართალი გვონია?... მაგ ამბავს, „საბედისწერო სიყვარულის“ წიგნი რომ აქვს, იქიდან ამოიკითხავდა... ყურს ნუ უგდებ მაგის რომვას...

ნ ა ტ ა შ ა — მერე შენ რა? გირჩევნია გაჩუმდე, თორემ...

ნ ა ს ტ ი ა — (გულმოსული). ოჰ, შე უსულო ლეშო! გრძნობადახშულაო. შენ ხომ გული, სული არ გაგაჩნია!

ლ უ კ ა — (ნასტიას ხელს მოჰკიდებს). წავიდეთ, ჩემო კარგო. ნუ ჯავრობ, არაფერია... მე ვიცი... მჯერა. შენ მართალი ხარ... ესენი ტყუილიან... თუ გწამს, რომ ის, რაც შენ გამოცადე, ჭეშმარიტი სიყვარული იყო, მაშასადამე, ყოფილა კიდევ... დიახ, ყოფილა. (ბარონს უჩვენებს). ამ ადამიანზე კი ნუ ჯავრობ... ეს შეიძლება შურითაც იცინის... შეიძლება, მას თავის დღეში არ უნახავს ნამდვილი, არაფერი არ უნახავს... წამო, წავიდეთ.

ნ ა ს ტ ი ა — (გულზე ხელებს მაგრად მიიკრავს). ბიძია, ღმერთს გეფიცები... ყოველივე ეს ნამდვილად მოხდა... ის ერთი ფრანგი სტუდენტი იყო. სახელად გასტონი ერქვა... შეაწვერა... მალაყელიან ბრჭყვიალა ჩექმებს იცვამდა ხოლმე... ოჰ, რატომ მეხი არ ჩამოვარდება და მიწაში არ ჩამიტანს... მერე ისე ვუყვარდი... ისე ვუყვარდი, რომ...

ლ უ კ ა — ვიცი... ვიცი... ეგ არაფერი... მე მჯერა. მამ ბრჭყვიალა ჩექმებს იცვამდა, ჰა? ვერ უყურებთ! იმას უყვარდი... ჰო, მერე? შენც გიყვარდა. (გაღიან).

ბ ა რ ო ნ ი — რა სულელია ეს ქალი... კეთილი გულისაა, მაგრამ აუტანლად სულელია.

ბ უ ბ ნ ო ვ ი — ადამიანს სიცრუე ძლიერ უყვარს... თითქოს გამომძიებლის წინ დგასო, ცრუობს და ცრუობს...

ნ ა ტ ა შ ა — ჩანს, სიცრუე სიმართლეზე სასიამოვნოა... მეც...

ბ ა რ ო ნ ი — რა შენც?... მერე?..

ნ ა ტ ა შ ა — ვფიქრობ... ვფიქრობ და ვუცდი...

ბ უ ბ ნ ო ვ ი — რას უცდი?

ნ ა ტ ა შ ა — (მკრთალი ღიმილით). ისე... ყოველთვის ვფიქრობ, რომ დღეს თუ არა, ხვალ მოვა ვინმე, განსაკუთრებული თვისების

ადამიანი... და სრულიად ახალი რამ მოხდება... ხანგრძლივად, მუდმივ ველი. მაგრამ ამაოდ... ანდა მართლაც — რას უნდა მოველოდე. (პაუზა).

ბ ა რ ო ნ ი — (სიცილით). მე კი არაფერს... არაფერს არ მოველი... გადასახადი გადამხდა... მორჩა... გათავდა... მერე?

ნ ა ტ ა შ ა — ზოგჯერ წარმოვიდგენ, რომ ხვალ უეტრად უნდა მოგვკდე... და გული სევდით მეგებდა... ზაფხულის დროს კარგია სიკვდილზე ფიქრი... ზაფხულობით მეხი ხშირად ვარდება... მეხით სიკვდილი ყოველთვის შესაძლოა...

ბ ა რ ო ნ ი — მწარე ცხოვრებაა შენი ცხოვრება... შენ დას აღქაჯის ხასიათი აქვს.

ნ ა ტ ა შ ა — ყველა მწარედ ცხოვრობს...

კ ლ ე შ ჩ ი — (რომელიც აქამდე უძრავად იწვა და საუბარში მონაწილეობას არ იღებდა, შეატრეო წამოხტება). ყველა? სტყუი! ყველა არა! ასე, რომ იყოს. რა უშავდა... ასე რომ იყოს, საწყენი არც არაფერი იქნებოდა... დიახ. საწყენი არ იქნებოდა...

ბ უ ბ ნ ო ვ ი — რა დაგემართა? რა შავი ჭირი გეცა? ვერ უყურებთ, როგორ აღრიალდა! (კლუში ისევ დაწვება თავის ადგილას და ბუზუნებს).

ბ ა რ ო ნ ი — წავალ და ნასტიას შეგურიგდები, თორემ გადასაყლურწავად ფულს აღარ მომცემს.

ბ უ ბ ნ ო ვ ი — მმ. ხალხს სიცრუე უყვარს... ნასტიას საქმე ამკარაა... პირისახეს ხომ სულ იგლეჯავს?... შეჩვეულია... ახლა სულის წაგლეს-წამოგლესაც სწადია... მაგრამ სხვები? სხვები რაღად სჩადიან ამგვარ საქმეს? აი, მაგალითად, ლუკა... ძლიერ ბევრს ცრუობს... მერე სულ უსარგებლოდ... მოხუცი კაცია და რად იქცევა ასე?

ბ ა რ ო ნ ი — (სიცილით, ჩამოსცილდება). სულზე ყველას ნაცრის ფერი აქვს და აღისფრად შეცვლა სწადია...

ლ უ კ ა — (კუთხიდან შემოდის). შენ, ჩემო ბატონო, რად აწუხებ იმ ქალს? რად უშლი? დეე, იტიროს და მით გაერთოს... ის ხომ თავის სიამოვნების გულისათვის აფრქვევს ცრემლებს... შენ რა გაკლდება?

ბ ა რ ო ნ ი — სისულელეა. მოხუცო, თავი მოგვაბეზრა... დღეს — რაული, ხვალ — გასტონი... და ყოველთვის კი ერთი და იგივე... თუმცა სულ ერთია, შესარიგებლად მივედივარ მასთან. (გაღის).

ლ უ კ ა — წადი და მიუალერსე. ადამიანის მიაღერება ცუდი როდია...

ნ ა ტ ა შ ა — რა კეთილი ხარ, მოხუცო! რად ხარ ასეთი კეთილი?

ლ უ კ ა — კეთილიო, ამბობ? ძალიან კარგი, თუკი ასეა... დიან... (აფურის წითელ კედლის იქიდან გარმონის ხმა და სიმღერა წყნარად მოისმის). საჭიროა, რომ ამქვეყნად კეთილი კაციც არსებობდეს, ქალიშვილო... ხალხი უნდა გებრალეობდეს... აი, ქრისტეს ყველა ებრალეობდა და ჩვენც ასევე დაგვაგალა... მერწმუნე, შვილო, რომ თავის დროზე ადამიანის შებრალეობა... ძლიერ კარგია... აი, მაგალითად, ერთხელ აგარაკზე დარაჯად ვმსახურობდი... ინჟინერთან ვიყავი, ქალაქ ტომსკის მახლობლად... კეთილი და პატიოსანი... აგარაკი ტყეში იყო გაშენებული... მიყრუებულ ალაგას... ზამთარია და აგარაკზე მარტოდმარტო ვარ... ძალიან კარგი... ერთხელ, ვნახოთ, მოძვრებიან.

ნ ა ტ ა შ ა — ქურდები?

ლ უ კ ა — სწორედ ისინი. მოძვრებიან... დიან. ავიღე თოფი და გამოველ. ვუყურებ, ორნი არიან... გაღებენ თანჯარას და ისე გაერთობიან საქმეში, რომ ვერც მამჩნევენ... ვუყვარი: აი თქვე... დაიკარგეთ აქედან. ისინი კი, რასაკვირველია, ცუდით მოიწვევენ ჩემზე... მე წინდაწინვე ვუცხადებ, ჩამომეხსენით-მეთქი... თორემ ახლავე გესვრით. მიჭირავს თოფი და ხან ერთს ვუმინებ და ხან მეორეს. ისინი მუხლებზე დაეცნენ და მეზვეწებიან, გაგვიშვიო. მე კი... ისე... ვჯავრობ... ცულს ეწვდი, გესმის? და ვეუბნები: მე თქვენ გაგდებდით და არ წახვედით, თქვე აეზაკებო, თქვენა-მეთქი. და ახლა კი, რადგან ასეა, დაამტერიოს ერთ-ერთმა თქვენთაგანმა წიკპლები... მოამტერიეს. კეთილი. ახლა... ვუბრძანე, რომ ერთი დაწვეს და მეორემ გაწკეპლოს-მეთქი... ასე და ამგვარად, ჩემი ბრძანებით, ერთმანეთი კარგად გაწკეპლეს... გაწკეპლის შემდეგ მეუბნებიან: ბიძია, ქრისტეს გულისთვის პატარა პური მოგვეცი, 'მორი გზიდან მშიერ-მწყურვალნი მოვდივართო... ესეც შენი ქურდები, ჩემო საყვარელო... (იცინის). ესეც შენი ცულმომარჯვებული ქურდები... დიან... ორივე მშვენიერი ბიჭები აღმოჩნდნენ... ვეუბნები: თქვე ქაჯებო, არ სჯობდა, პირდაპირ გეთხოვნათ-მეთქი... ისინი მიპასუხებენ: მოგვებურდა, ბიძიავ, ამდენი თხოვნა... დადიხარ, ეხვეწები, სთხოვ და არავინ არაფერს იმეტებს... საწყენია... მთელი ზამთარი ორივემ ჩემთან გაატარეს. ერთს სტეფანე ერქვა... წამოავლენდა ხელს თოფსა და დაეშვებოდა ხოლმე ტყისაკენ... მეორეს — იაკობი... ერთთავად უქეიფოდ იყო და ახველებდა... მაშასადამე, სამნი ვდარაჯობდით აგარაკს... გაზაფხული დადგა და მითხრეს, ახლა მშვიდობით, ბიძია, მივდივართო... და წავიდნენ კიდევ. რუსეთისკენ გასწიეს...

ნ ა ტ ა შ ა — ისინი კატორიდან იყვნენ გამოქცეულნი?

ლ უ კ ა — სწორედ იქიდან. მე რომ ისინი არ შემბრალეობდა,

შესაძლოა მოვეკალი... ან კიდევ სხვა რამ ასეთი ჩაედინათ... და ამას მოჰყვებოდა სასამართლო, ციხე და ციმბირი... მერე რა სარგებლობა მოაქვს ყველა ამ სისაძაგლეს? ციხე და ციმბირი ადამიანს სასიკეთოს ვერას ასწავლის... ადამიანს ადამიანის გაწრთენა კი ძლიერ ადვილად შეუძლია... დიან, ადამიანს შეუძლია სიკეთისა და სათნოების მოძღვარი იყოს. (პაუზა).

ბ უ ბ ნ ო ვ ი — მმ-დიან. აი, მე კი არ შემიძლია ვუტყუო... რა მაქვს მოსარიდებელი? ჩემი აზრით, სიმართლე პირდაპირ უნდა ითქვას, აშკარად... დაურიდებლად.

კ ლ ე შ ჩ ი — (უცებ ისევ წამოხტება, როგორც მახვილწაკრავი და ღრიალებს). რომელი სიმართლე? სად არის სიმართლე? (დავლავილ ტანსაცმელს ხელით წეწავს). აი — სიმართლე! ყველგან უფსკრული... და არსაიდან ხსნა და შველა... შიმშილით სიკვდილი — აი სიმართლე. ქაჯო, წყეულო, რა საჭიროა ჩემთვის სიმართლე? სულს ნუ მიხუთავ! მომეცი ნება თავისუფლად ამოვისუნთქო. ამოსუნთქვის ნება მომეცი... რა დანაშაული მიმიძღვის? რა საჭიროა ჩემთვის სიმართლე? ცხოვრება არ შეიძლება, შე სატანავ! სიცოცხლე მოწამულ-მოშხამულია. აი სიმართლე!

ბ უ ბ ნ ო ვ ი — ხედავთ, რა ალიაქოთი ატეხა?

ლ უ კ ა — ყოვლად ძლიერო იესო! გამიგონე, ჩემო კარგო... შენ...

კ ლ ე შ ჩ ი — (ბრაზისაგან კანკალებს). ილაპარაკეთ სიმართლე! მოხუცო, ყველას ამშვიდებ... ანუგეშებ... იცოდე, რომ მეზიზღებიან ყველა ესენი... და ეგ სიმართლეს იყოს წყეული და შერისხული! გაიგე! წყეულიმც იყოს და შერისხული... (გარბის, თან უკან იხედება).

ლ უ კ ა — აი-აი-აი! როგორ გაცხარდა... ნეტა სად გაიქცა?

ნ ა ტ ა შ ა — თითქოს შეიშალა.

ბ უ ბ ნ ო ვ ი — ძლიერ მიუშვა. როგორც თეატრში, ისე გაითამაშა. ეგ ზმირად მოხდება ხოლმე... ჯერ ცხოვრებას არ შესჩვევია...

პ ე პ ე ლ ი — (ნელი ნაბიჯით შემოდის). მშვიდობა პატიოსან კრებას. რაო, მომჯადოებელი მოხუცო? სულ სხვადასხვა ამბებს ამბობ, ჰა?

ლ უ კ ა — რომ გენახა, როგორ აღრიალდა აქ ერთი კაცი.

პ ე პ ე ლ ი — კლემში ხომ არა? რა დაემართა? თავში დაკრულივით გარბოდა.

ლ უ კ ა — შენც გაიქცევი, თუკი გულს ისე მოგიკლავენ...

პ ე პ ე ლ ი — (ჯდება). არ მიყვარს ის კაცი... ამაყია და ამასთანავე ბოროტი... (ღღუშს აჯავრებს). „მე მუშა კაცი ვარ“. ყველას თავის თავზე დაბლა აყენებს... იმუშავე, თუ ეგრე მოგწონს... რა არის აქ

თავმოსატანი? თუ ადამიანს მუშაობისდა მიხედვით დავაფასებთ, მაშინ ყოველ ადამიანზე მაღლა ცხენი უნდა დავაყენოთ. ის ყველაზე მეტს მუშაობს და ერთთავად ჩუმად არის... ნატაშა, თქვენები შინ არიან?

ნატაშა — სასაფლაოზე წავიდნენ და მერე ეკლესიაში უნდა შეიარონ...

პეტელი — მაგიტომაც ხარ ასე თავისუფლად... ეს იშვიათი მოვლენაა.

ლუკა — (დაფიქრებული, ბუზნოვს). აი, შენ ამბობ — სიმართლეო. სიმართლე ყოველთვის როდი არჩენს ჭრილობას... სიმართლე ყოველთვის როდი კურნავს სულს. მაგალითად, ერთხელ ასეთი შემთხვევა მოხდა: ერთ კაცს ვიცნობდი, რომელსაც მართალთა ქვეყანა სწამდა...

ბუზნოვი — რა სწამდა?

ლუკა — მართალთა ქვეყანა. ამ სოფლად უთუოდ უნდა იყოს მართალთა ქვეყანა, სადაც სულ სხვაგვარი ხალხი ცხოვრობენო... ჩინებული ხალხნი. იმათ ერთმანეთი უყვართ... ერთმანეთს ყველაფერში ეხმარებიან... ერთი სიტყვით, მათში ყველაფერი ჩინებულად არის მოწყობილიო... და აი, ეს კაცი ყოველთვის ემზადებოდა წასასვლელად, რომ მართალთა ქვეყანა ეპოვნა. ის კაცი დარიბი იყო... საცოდავად ცხოვრობდა... ხშირად ისეთ საცოდავ მდგომარეობაში ჩაეარდებოდა ხოლმე, რომ სიკვდილი ათას წილად ერჩინა, მაგრამ გულს მაინც არ იტყებდა... პირიქით, ჩაიცივებდა და იტყოდა ხოლმე: არადერია, მოვითმენ. ცოტასაც დავიცდი... მერე მივატოვებ ამ ცხოვრებას და წავალ მართალთა ქვეყანაშიო... ერთადერთი მისი სატრფიალო საგანი ეს ქვეყანა იყო.

პეტელი — მერე? წავიდა?

ლუკა — და აი, იმ ადგილას — ეს საქმე ციმბირში მოხდა — ერთი ნასწავლი კაცი გადმოასახლეს... გადმოასახლეს თავისი წიგნებით... გეგმებით და სხვადასხვა ეშმაკებით... ეს კაცი მივრდება და ეტყვის ამ ნასწავლს: მოწყალეობა მოილე და მასწავლე მართალთა ქვეყნის გზა. ნასწავლი კაცი მაშინვე წიგნებს გადაშლის, გეგმებს ჩაათვალიერებს... სინჯავს, ჩხრეკს და ხედავს, რომ მართალთა ქვეყანა არსად არ არის... ყველაფერი სწორია, ყველა ქვეყნები ნაჩვენებია, მაგრამ მართალთა ქვეყანა კი არსად არ არის.

პეტელი — (ხმადალა). არ არის, ჰა? (ბუზნოვი უცინის).

ნატაშა — ნუ უშლით... მერე, ბიძია?

ლუკა — ის კაცი არ უჯერებს. უთუოდ უნდა იყოსო... კარვად მონახე... თუ მართალთა ქვეყანა არ აღმოჩნდა, შენი წიგნები

და გეგმები არაფრად არ ვარგებულაო... ნასწავლს ეწყინება; ჩემი გეგმები ყველაფერს სწორედ აჩვენებენ. მაგრამ მართალთა ქვეყანა არსად არისო... აქ კი ეს კაციც გაწყრა — როგორ თუ არ არის? ეცხოვრობდი, ყველაფერს ვითმენდი, ყოველთვის მჯეროდა, რომ მართალთა ქვეყანა არსებობს... და შენი გეგმები კი აჩვენებენ, რომ არ არისო? მძარცველო! მიაძახებს ეს კაცი ნასწავლს... აი, შე არამხადავ, შენაო! შენ გარყვნილი, ფლიდი კაცი ხარ და არა ნასწავლიო... და მოსცხებს ერთს ყურის ძირას... მოსცხებს მეორეს... (დაჩუმდება): ყოველივე ამის შემდეგ, წავა შინ და თავს ჩამოიხრჩობს... (ყველა ჩუმად არის. ლუკა ღიმილით შესცქერის პეტელს და ნატაშას).

პეტელი — (ხმადალა). ეშმაკმა წაიღოს... ვერაფერი სასიხარულო ამბავია...

ნატაშა — ტყუილი ვერ მოუთმენია...

ბუზნოვი — (მოლუშული). ყოველივე ეგ ზღაპარია და სხვა არაფერი...

პეტელი — ესეც შენი მართალთა ქვეყანა... მაშასადამე, არ აღმოჩნდა, ჰა?

ნატაშა — ის კაცი მეცოდება...

ბუზნოვი — ტყუილია-მეთქი ყოველივე ეგ... გამოგონილი ამბავია... მართალთა ქვეყანა. კარგი ზღაპარი გცოდნია... მაგრა შეინახე. ხა, ხა, ხა! (ფანჯარას მიეფარება).

ლუკა — (თავის გაქნეით, ბუზნოვის ფანჯარაზე აჩვენებს). რომ დამცინის კიდევ! ენე-ხე. (პაუზა). ეპ, ყმაწვილებო. იცხოვრეთ კარგად და კეთილად. ჩქარა გაგშორდებით.

პეტელი — ახლა საით მიემგზავრები?

ლუკა — ხაზოლებში... გავიგე, რომ იქ ახალი საარწმუნოება აღმოუჩენიათ. უნდა დავხედო... დიახ, ხალხი ყოველთვის ეძებს და ეძებს... ხალხს უნდა, რომ ყველაფერი უკეთ იყოს... ღმერთო, შენ მიეც მოთმინება.

პეტელი — როგორ გგონია, იპოვნის?

ლუკა — ხალხი? რასაკვირველია... ვინც ეძებს, იპოვნის... ვინც სულითა და გულით არის მოწადინებული, იპოვნის.

ნატაშა — რაცა სწადდათ, რომ ეპოვნათ... უკეთეს რასმეს გამოიგონებდნენ.

ლუკა — და გამოიგონებენ კიდევ... მხოლოდ დახმარებაა საჭირო, გოგონა... დახმარება და პატივისცემა...

ნატაშა — მე საიდან შემიძლია დახმარება, როდესაც თვითონ ასე უმწეო ვარ.

პეტელი — (დაღწევით). ნატაშა, ისევ გიმეორებ... აი, ამას-

თან გეუბნები... ამან ყველაფერი იცის... ნატაშა, უარს ნუ მეუბნები... გამოძევი...

ნ ა ტ ა შ ა — სად? ციხეში?

პ ე პ ე ლ ი — ხომ გეუბნები, მივატოვებ-მეთქი ქურდობას. ღმერთს გეფიცები, მივატოვებ. რადგან ვთქვი, ავასრულებ კიდეც. წერა-კითხვა ვიცი... ვიმუშავებ... ეს ამბობს, ციხეში შენი ნებით წადიო... ძალიან კარგი... წავიდეთ, ნატაშა, შენ გგონია, ჩემი ცხოვრებით კმაყოფილი ვარ? ეჰ, ნატაშა. მე ვიცი... ვხედავ მხოლოდ იმითლა ვიმშვიდებ თავს, რომ სხვები ჩემზე მეტად ქურდობენ და მაინც პატიოსნად ცხოვრობენ... სულერთია, ეს ვერ მიშველის. ეს ის არ არის, რაც მე მწადა. არ დაგიმალავ, სინდისს არა მწამს რა... ერთს კი ვგრძნობ, სხვაგვარი ცხოვრებაა საჭირო... უკეთესი ცხოვრება... ისეთი ცხოვრება, რომ ჩემ თავს პატივს მევე ვცემდე.

ლ უ კ ა — მართალია. ჩემო კარგო! ღმერთმა მოგახიჯოს ეგ სიკეთე. იესო ქრისტემ აგისრულოს ეგ სურვილი... მართალია, ადამიანმა თავისი თავის პატივისცემა უნდა იცოდეს...

პ ე პ ე ლ ი — ბავშვობიდანვე ქურდი ვარ... ყველგან და ყოველთვის მომძახოდნენ — ქურდო ვასკა, ქურდის შვილო ვასკაო... რახან ასეა, ძალიან კარგი. მართლაც ქურდად გადავიქცევი-მეთქი, ვიფიქრე და ასეც ჩავიდინე... დაფიქრდი, შეიძლება ჯიბრმა და ბოროტებამ გარდაემქმნა ქურდად? შეიძლება, იმიტომა ვარ ქურდი, რომ ჩემ სიცოცხლეში სხვა სახელი არ დაუძახნიათ ჩემთვის... ნატაშა! შენ მაინც ნუ მომექცევი ასე. შენ მაინც სხვა სახელით მომმართე.

ნ ა ტ ა შ ა — (ნაღლიანად). როგორღაც არ მჯერა... არაფერი არ მჯერა... რაღაც ცუდად ვგრძნობ თავს... გული ისე შემომკენის, თითქოს რაღაცას მოველი... ეჰ, ვასილი, ტყუილად ჩამოაგდე დღეს ამ საგანზე სიტყვა...

პ ე პ ე ლ ი — მაშ როდისღა? პირველად ხომ არ გეუბნები?..

ნ ა ტ ა შ ა — არც ისე ძლიერ მიყვარხარ და აბა, რა საჭიროა, რომ გამოგყვე. ზოგჯერ მომწონხარ და ზოგჯერ, რომ შემოგხედავ, მეზიზღები. ჩანს, არ მიყვარხარ. ვინც უყვართ, მასში ცუდს არას ხედავენ და მე კი ვხედავ.

პ ე პ ე ლ ი — ნუ გეშინია — შეგიყვარდები... შევეჩვევით ერთმანეთს... შენ მხოლოდ დამეთანხმე. წელიწადზე მეტია გაკვირდები და გატყობ, რომ მკაცრი ხასიათის ქალი ხარ... კარგი და სანდო. მას შემდეგაა, რომ შეგიყვარე და მიყვარხარ! (სარკმელში გამოჩნდება ვასილისა. მორთულ-მოკაზმულია. მათ ლაპარაკს ყურს უგდებს).

ნ ა ტ ა შ ა — მაშ ასე... მე გიყვარვარ და ჩემ დას კი...

პ ე პ ე ლ ი — (არეული). ჰო, რა შენ დას?

ლ უ კ ა — ეგ არაფერია, გოგონი... უპურობაზე თათაბოს ჭამენ... თუკი პური არ არის...

პ ე პ ე ლ ი — (შებლუქუხუნელი). შემებრაღე! რა სიცოცხლე ჩემი სიცოცხლე? ეს მგლური ცხოვრება არ მახარებს. თითქოს საფლობში ვიხრჩობიო. რასაც ხელს მოვკიდებ, დამპალია... შენი და... მე მგონი, შენი და, ასეთი ძუნწი რომ არ იყოს, იმის გულისათვის ყველაფერს ჩავიდენდი... ოლონდ სრულიად ჩემი გამხდარიყო... მაგრამ მას ჩემზე უფრო ფული უყვარს და ამასთანავე თავისუფლებაც უნდა... დიან, თავისუფლება, რომ გარყვნილების მორეეში უფრო ჩაიფლას. მას ჩემი შველა არ შეუძლია.

ლ უ კ ა — მეც ვირჩევ, გაჰყევი მაგას, გოგონი, რა უშავს, კარგი ყმაწვილია, შენ ოლონდ ხიირად მოაგონე ხოლმე, რომ კარგი ყმაწვილია... ნუ დააიწყებ... და სხვა ნურადრის ნუ გეფიქრება. დაგიჯერებს... შენ ოლონდ ხშირად მოაგონე: ვასია, არ დაგაიწყდეს, რომ კარგი ყმაწვილი ხარ-თქო. აბა, იფიქრე, სხვას ვის უნდა გაჰყევი, თუ არ მაგას? შენი და მხეცზე უარესია. იმის ქმარზე ლაპარაკიც ხომ შედეგია... ერთი სიტყვით, აქ ცხოვრებას, ჯოჯოხეთში ცხოვრება სჯობია... აბა, სხვა სადღა უნდა წახვიდე, თუ არ მაგასთან?

ნ ა ტ ა შ ა — გზა არ არის... ვიცი... მიფიქრია... ოლონდ აი... არავისი არა მჯერა რა... წასასვლელი გზა კი არა მაქვს...

პ ე პ ე ლ ი — არის ერთი გზა... მოგკლავ და იმ გზით არ გაგიშვებ...

ნ ა ტ ა შ ა — (ღმილით). აი, ჯერ ჯვარი არ დაგვიწერია და მოკვლასაც მიპირებ...

პ ე პ ე ლ ი — (მოხვევა). ნატაშა, დაანებე მაგეებს თავი, სულ ერთია!..

ნ ა ტ ა შ ა — (ეკრის). მხოლოდ ერთს გეტყვი, ვასილ, ღმერთს გეფიცები, რა წაშააც გამარტყამ, ან მაწყენინებ... იცოდე, არაფერს არ დავერიდები და მაშინვე ან თავს ჩამოვიხრჩობ ან...

პ ე პ ე ლ ი — უწინამც გახმეს ეს მარჯვენა, თუკი ბოროტად დაგაკარო...

ლ უ კ ა — ნურადრის ეჭვობ, ჩემო კეთილო... შენ უფრო საჭირო ხარ მაგისათვის, ვიდრე ეგ შენთვის.

ვ ა ს ი ლ ი ს ა — (სარკმელიდან). ესეც შენი ნიშნობა! გისურვებთ ხანგრძლივ სიყვარულს.

ნ ა ტ ა შ ა — მოსულან! ოჰ, ღმერთო ჩემო, დამინახეს... ეჰ, ვასილი...

პეპელი — რის გეშინია? ახლა არავის შეუძლია ხელი გახლოს...

ვასილისა — ნუ გეშინია, ნატალია. ეგ შენ არა გცემს... მაგას არც ცემა შეუძლია და არც სიყვარული... მე ეს ძალიან კარგად ვიცი...

ლუკა — (ხმადაბლა). ოპ შე კუდიანო!.. შე შხამიანო გველოშენა!

ვასილისა — ეგ მხოლოდ სიტყვებით ყოყოჩობს... საქმით კი...

კოსტილევი — (შემოდის). ნატაშა! აქ რას აკეთებ, შე მუქთახორავ?.. ჭორის გუდას ხსნი და შენიანებზე სჩივი განა? რატომ სამოვარი არ დაგიდგამს? მაგიდა რატომ არ მოვისუფთავებია?

ნატაშა — (მიდის). აკი ეკლესიაში გინდოდათ შეველა...

კოსტილევი — რაც გვინდოდა, ეგ შენი საქმე არ არის. შენი საქმე უნდა აკეთო... ნაბრძანები უნდა შეასრულო...

პეპელი — ციცი! ვერ მოგართვეს! ეს შენი მოსამსახურე აღარ არის. ნატაშა, ნუ წახვალ, ნურაფერს ნუ გააკეთებ...

ნატაშა — ბრძანებას თავი დაანებე... ჯერ ადრე გახლავთ. (გაღის).

პეპელი — (კოსტილევს). გეყოფათ! რაც დასცინეთ და დაამცირეთ. ისიც კმარა! ახლა მე შეკუთვნის, ჩემია.

კოსტილევი — შენი? ჰა, ჰა, ჰა როდის იყიდე! რა მიეცი? (ვასილისა ხმაძალა იცინის).

ლუკა — ვასია! წადი...

პეპელი — თქვენ, ეი ფრთხილად! ეგ სიცილი ტირილად არ გადაგიქცეთ!

ვასილისა — ოპ, როგორ შეშინია! ოპ, როგორ ვკანკალე!

ლუკა — ვასილ, წადი-მეთქი. ხედავ, როგორ გაგულიანებს ის დედაკაცი... უნდა წაგაჩხუბოს — გაიგე?

პეპელი — დიახ... ააა! სტყუის!.. სტყუი! რაც შენ გინდა, ის არ მოხდება.

ვასილისა — რაც მე არ მინდა, ისიც არ მოხდება.

პეპელი — (მუშტო დაეჭურება). ენახოთ! (გაღის).

ვასილისა — (სარკმელს მიეფარება). მე შენ სხვანაირ ქორწილს გაგიმართავ.

კოსტილევი — (ლუკასთან მივა). რაო, ბებრუხუნა?

ლუკა — არაფერი, ბებრუხუნა.

კოსტილევი — დიახ... ამბობენ, მიდისო...

ლუკა — დროა.

კოსტილევი — საით?

ლუკა — საითაც ფეხები წამიყვანენ...

კოსტილევი — სამაწანწალოდ, არა? ერთ ადგილას ვერ ისვენებ, არა?

ლუკა — ნათქვამია, მდებარე ქვის ქვეშ წყალიც არ გადისო.

კოსტილევი — ის ქვა არის. ადამიანი კი ერთ ადგილას უნდა ცხოვრობდეს. ხალხს ბალღინჯოებივით ცხოვრება არ შეჰფერის, უგზოუკვლოდ რომ დაძვრებიან... ადამიანმა თავის განსაზღვრული ბინა უნდა იქონიოს და არა ამაოდ იხეტიალოს...

ლუკა — მაშ იმან რა ქნას, ვისაც ყველგან აქვს ბინა?

კოსტილევი — მაშასადამე, მაწანწალოა, და უსარგებლო კაცი... ადამიანს რაიმე სარგებლობა უნდა მოჰქონდეს... უნდა მუშაობდეს...

ლუკა — ერთი ამას დამიხედეთ?

კოსტილევი — სწორედ. მაშ რა გგონია?.. რა არის... მოგზაური? უცნაური კაცი, რომელიც სხვებს არაფერში არ ემსგავსება... თუ ის ნამდვილი მოგზაურია და ქვეყნად რამ გაეგება... თუ ისეთი რამ გაიგო... რაც არავისათვის გამოსადეგი არ არის, თუნდაც სიმართლე იყოს... ასეთი სიმართლე არავის არ ესაჭიროება... დიახ, თავისთვის უნდა შეინახოს და არ უნდა თქვას... ყოველგვარი სიმართლე როდია საჭირო... და გაჩუმდეს... თუ ის ნამდვილი მოგზაურია, უნდა გაჩუმდეს... ჩუმად არის ან არადა ისე უნდა თქვას, რომ ვერაფერს ვერ გაიგოს... ასეთ მოგზაურს თვითონ არა უნდა რა... არაფერში ის არ ერევა. ხალხს ტყუილა-უბრალოდ გზა-კვალს არ ურევს... როგორ ცხოვრობენ ადამიანები, მისი საქმე ეს არ არის. მართალთა ცხოვრებას უნდა მისდევდეს... ტყე-ღრეებსა და ნაპრალებში უჩინრად უნდა ცხოვრობდეს... არავის ხელს არ უშლიდეს და არც კიცხავდეს... ყველასთვის ლოცულობდეს... ამქვეყნიურ ცოდვათათვის ცრემლებს მარად უნდა აფრქვევდეს. შენთვის, ჩემთვის და ყველასათვის... აი, ამიტომ არის, რომ ის ამქვეყნიურ ამოცანებს გაურბის... გაურბის, რომ ლოცვაში გაატაროს თავისი დღენი... ასეა, მაში! (პაუზა). შენ კი... აბა რა მოგზაური ხარ. პასპორტიც კი არა გაქვს... წესიერ კაცს პასპორტი უნდა ჰქონდეს... ყოველ რიგიან კაცს პასპორტი აქვს... დიახ!

ლუკა — არიან ხალხნი და არიან სხვანი — ადამიანები...

კოსტილევი — შენ ეი! მაგ სიბრძნეებს თავი დაანებე! აქ გამოცანებს ნუ მეუბნები. შენი მასხარა კი არა ვარ... რა არის ხალხი და ადამიანები?

ლუკა — აბა სად ხედავ აქ გამოცანას? მე ვამბობ, რომ ზოგი

მიწა სათესად უფარვისია... ზოგიც ვარვისი... ნოყიერი... რასაც დას-
თეს, იხეირებს... აი, ამგვარად...

კოსტილევო — მერე? რად ამბობ მაგას?

ლუკა — აი, მაგალითად, შენ... თვითონ მაღალმა ღმერთმაც
რომ ვითხრას: მიხეილ, იყავ ადამიანიო, სულ ტყუილია! შენში
ხეირს მაინც ვერ ნახავს... რაცა ხარ, ებადე დარჩები..

კოსტილევო — შენ ეი! გესმის? ხომ იცი, ჩემი ცოლის ბი-
ძა პოლიციელია და თუ...

ვასილისა — (შემოდის). მიხეილ ივანიჩ, წამო, ჩაი დაე-
ლიოთ.

კოსტილევო — (ლუკას). შენ კი, იცი, რას გეტყვი? დაიკარ-
გე აქედან! მოგვეშორდი. ჩემ სახლში მეტი არ დაგინახო!

ვასილისა — დიახ, მოგვეშორდი, მოხუცო. მეტისმეტად წა-
გიგრძელებია ეგ ენა... ანდა, ვინ იცის.. შეიძლება კატორიდან გა-
მოქცეული ვინმეც ხარ?

კოსტილევო — დღესვე შენი სახსენებელიც არ იყოს აქა.
გაიგე? თორემ...

ლუკა — თორემ რა? შენი ცოლის ბიძას დაუძახებ, არა? კე-
თილი, დაუძახე. თუკი ჩემისთანა კატორიდან გამოქცეულ ტუსასღ
დაიჭერს, უეჭველია, ჯილდოს მიიღებს... სამიოდე კაპიკს.

ბუბნოვი — (ფანჯრიდან თავს გამოჰყოფს). რაო, რას ჰყიდით?
რაში აძლევთ სამ კაპიკს?

ლუკა — შემუქრებიან, გაგყიდითო.

ვასილისა — (ქმარს). წამო, წავიდეთ.

ბუბნოვი — სამ კაპიკად? არ მიკვირს... უფრთხილდი, მოხუ-
ცო, თორემ ეგენი კაპიკადაც არ გაგყიდიან.

კოსტილევო — (ბუბნოვს). შენ ეი! ჭინკასავით რომ გამო-
გიყვია მანდედან თავი. ჩუმაღ ეგდე! (მიდის ცოლთან ერთად).

ვასილისა — ღმერთო, რამდენი ბნელი ხალხია ამ ქვეყნად
და ათასნაირი ავაზაკი!

ლუკა — ვისურვებთ კარგ მადას.

ვასილისა — (მობრუნდება). ენა დაიმოკლე-მეთქი... შე გა-
დამირძვალო ქოფაკო, შენა! (გაღის ქმართან ერთად).

ლუკა — ამაღამ წავალ.

ბუბნოვი — მით უკეთესი. დროზე გაცლა სჯობია.

ლუკა — მართალს ამბობ.

ბუბნოვი — გამოცდილი მაქვს. ერთხელ კატორღას ამით
ავცდი, ფათერაკს რომ დროზე გავეცალე...

ლუკა — მართლა?

ბუბნოვი — სწორედ! ეს ასე მოხდა: ჩემი ცოლი ერთ ოს-
ტატს დაუკავშირდა... გამოტეხით უნდა ვთქვა, ერთობ კარგი ოსტა-
ტი იყო. ძლიერ ხელოვნურად ლეზავდა ძაღლის ბეწვს — ენოტისად,
კატისას—კენგურუსებურად, მთხივისებურად და სხვადასხვად... ყო-
ჩალი კაცი იყო. ასე და ამგვარად დაუკავშირდა მას ჩემი ცოლი...
მათ ისე მტკიცედ შეუყვარდათ ერთმანეთი, რომ მეგონა, ან მომწამ-
ლავდნენ, ანდა ამ სოფლიდან ამბარგავდნენ... მე ცოლს ვცემდი,
ოსტატი კიდევ მე მცემდა... კარგი მოკრივე კაცი იყო. ერთხელ
ნახევარი წვერი ჩამომავლიჯა და გვერდებიც ლაზათიანად დამიზი-
ლა. ბოლოს ძლიერ გაეზბოროტდი... ავიღე რკინის ადლიანი და ჩემ
ცოლს გოგრაში ჩავცხე. ატყდა ერთი აურზაური... ვატყობ, რომ
სასიკეთო არა მომივა რა... ისინი მჯობნიან... ვიფიქრე, ვიფიქრე და
ბევრი ფიქრის შემდეგ, ცოლის მოკვლა გადავწყვიტე... მაგრამ გონს
მოვედი და გამოვიქეცი.

ლუკა — ძალიან კარგად მოქცეულხარ. დეე, იმათ იქ ძაღლე-
ბი ენოტებად გადააქციონ...

ბუბნოვი — ოღონდ... ქარხანა ჩემი ცოლის სახელზე იყო...
და აი, ასეთი დავრჩი, როგორსაც მხედავ. თუმცა, სიმართლე რომ
ვთქვა, იმ ქარხანას აქამდე შევჭამდი. შენც იცი, გალოთებული ვარ.

ლუკა — გალოთებული? ა-ა!

ბუბნოვი — აუტანელად ვარ გალოთებული. როგორც კი
დავიწყებ ლოთობას, ტყავის მეტს არაფერს ზედ არ შევირჩენ ხოლ-
მე... ზარმაცოცა ვარ. ჭირივითა მძულს მუშაობა. (სატინი და მსახიობი
გაჯავრებულნი შემოდიან, რაღაცას დავობენ).

სატინი — სისულელეა! ვერსადაც ვერ წახვალ... ყოველივე ეგ
თვალთმაქცობაა და სხვა არაფერი. მოხუცო, რა ჩასჩურჩულე ყურ-
ში ამ საცოდავ ჩენჩოს?

მსახიობი — ტყუი! ბიძია, უთხარი, ჩაავონე მაგას, რომ
ტყუის. მე კი მივდივარ. დღეს ვიმუშავე... ქუჩა დავგავე... არაყი კი
წვეთიც არ დამიღვევია, როგორია, ა? აი ფული და მაინც ფხიზელი ვარ.

სატინი — ეგ სიბრძევეა და სხვა არაფერი! მოიტა, დავხარ-
ჯოთ. ან არადა, მომე ქაღალდში წავაგო...

მსახიობი — მომშორდი! გზის ფულად მინდა.

ლუკა — (სატინს). ერთი ეს გამაგებინე, რად უხლართავ მაგ
ადამიანს გზა-კვალს?

სატინი — „მითხარი, ბედის გამომცნობელო, რა გადამხდება
მე ცხოვრებაში“. წავაგე, ჩემო ძმაო, მაგრამ ჯერ მთლად არ დაე-

ლუპულვარ. ბიძია, ქვეყნად ბევრი შულერია, მე რომ ყველაფრით მჯობნის.

ლ უ კ ა — დღეს რაღაც ძალიან მხიარულად ხარ, ჩემო კონსტანტინ...

ბ უ ბ ნ ო ვ ი — (მსახიობს). შენ ეი! მოდი აქ. (მსახიობი მიდის მასთან და ჩაუხრტული ჯდება, ბუბნოვი და ის ხმადაბლა ლაპარაკობენ).

ს ა ტ ი ნ ი — როდესაც ახალგაზრდა ვიყავი, შრომა მიყვარდა... კარგია წარსულის მოგონება... კობტა ხალათი მეცვა. მშვენიერი ცეკვა ვიცოდი, სცენაზე ვთამაშობდი... მიყვარდა ხალხის გამხიარულება... დიდებული რამ იყო...

ლ უ კ ა — მერე როგორ მოხდა, რომ გზა-კვალს ასცდი და ასე წაიბორძიკე?

ს ა ტ ი ნ ი — რა ცნობისმოყვარე კაცი ხარ, მოხუცო! ყველაფერი გინდა იცოდე... და მერე რად?

ლ უ კ ა — მინდა კაცობრიობის ავ-კარგი გავიგო... აი, შენი კი ვერა გამიგია რა... ასეთი გამბედავი, ასეთი მამაცი ხარ, ჩემო კონსტანტინ... და ამავე დროს... ვისი ბრალისა?

ს ა ტ ი ნ ი — ციხისა, ბიძია, ციხის! ოთხი წელიწადი და შვიდი თვე ციხეში ვიჯექი. შემდეგ კი — გამოსავალი არა მაქვს...

ლ უ კ ა — ოჰო-ჰო! მერე რა მიზეზით იყავი დაპატიმრებული?

ს ა ტ ი ნ ი — ერთი ფლიდი არამზადის გულისათვის... გაანჩხლებულ-გაბრაზებულ გულზე შემომაკვდა ის შეჩვენებული... ბანქოს თამაშიც ციხეში ვისწავლე...

ლ უ კ ა — ის კაცი ქალის გულისთვის მოჰკალი, არა?

ს ა ტ ი ნ ი — დიახ, ჩემი დის შეურაცხყოფისათვის... მოდი, ჩამომეხსენი... არ მიყვარს, როდესაც ჩემ თავგადასავალს მეკითხებიან... დიდხნის ამბავია... ჩემი და მოკვდა... აგერ, ცხრა წელიწადია. რაც მოკვდა... კარგი, კეთილი ადამიანი იყო...

ლ უ კ ა — ძალიან მარჯვედ ხედები ცხოვრების ზვირთებს... რომ გენახა, წელან როგორ აღრიალდა ზეინკალი... ოჰ-ოჰ-ჰო!

ს ა ტ ი ნ ი — კლეშჩი?

ლ უ კ ა — სწორედ ის... ყვიროდა, სამუშაო არ არის, არაფერი არ არისო...

ს ა ტ ი ნ ი — არაფერია, მიეჩვევა... არ ვიცი, ხელი რას მოგკიდო?

ლ უ კ ა — (ჩუმად). ხედავ? მოდის... (ნელი ნაბიჯით შემოდის კლეშჩი. თავჩაქინდრულია).

ს ა ტ ი ნ ი — ეი, ქვრივო, რას ჩამოგიშვია ეგ ჩიჩვირი? რის გამოგონებას აპირებ?

კ ლ ე შ ჩ ი — ვფიქრობ, რა გავაკეთო-მეთქი. სამუშაო იარაღი არ გამაჩნია... ყველაფერი ჩემი ცოლის დაკრძალვას დასჭირდა...

ს ა ტ ი ნ ი — ერთ რჩევას მოგცემ: ნუ იმუშავებ... იარე და თელე ეს მიწა...

კ ლ ე შ ჩ ი — კეთილი, მაგრამ ხალხის მრცხვენია...

ს ა ტ ი ნ ი — მერე ხალხს რატომ არ სცხვენია, რომ შენ ძალზე უარესად ცხოვრობ? დაანებე თავი მაგ სისულელეს... აბა იფიქრე... ვთქვათ, ასე მოხდა: არც შენ მუშაობ, არც მე, აპობით, ათასობით არ მუშაობენ... გესმის? ყველა თავს ანებებს მუშაობას... არც ერთი კაცი არა მუშაობს. რა მოხდება მაშინ?

კ ლ ე შ ჩ ი — ყველანი სიმშლით ამოწყდებიან...

ლ უ კ ა — (სატინს). მაგ ქადაგებით ლტოლვილებს მიმართე... ერთგვარი ხალხია... ლტოლვილებს ეძახიან...

ს ა ტ ი ნ ი — ვიცი... სულელები როდი არიან... (კოსტილევის არკმელიდან ნატაშას ყვირილი მოისმის: „რათა?“. „მოიცა!“ — „რისთვის?“).

ლ უ კ ა — (შეწუხებული). ნატაშა? ის ყვირის. ჰა? ოჰ, შე... (კოსტილევის ოთახიდან მოისმის ხმაური, ალიაქოთი, დამტვრეული ქურჭლის ძლიერი და კოსტილევის მხანავანა ხმა: „ა-ა... მტანჯველო... მწვალბელო“).

ვ ა ს ი ლ ი ს ა — დადექ... დამაცა... მე მავას... აი... აი...

ნ ა ტ ა შ ა — მცემენ! მკლავენ!

ს ა ტ ი ნ ი — (სარკმელში შესძახის). თქვენ, ეი!

ლ უ კ ა — (ფატიფუციო). ვასილის, ვასილის დაეუძახოთ... ოჰ. ომერთო!. ძმანო!.. ყმაწვილებო, დაუძახეთ!..

მ ს ა ხ ი ო ბ ი — (გარბის). ახლავე დაეუძახებ...

ბ უ ბ ნ ო ვ ი — ძალიან კი მოუხშირეს მაგ ქალის ცემას!

ს ა ტ ი ნ ი — მოხუცო, წავიდეთ მოწმედ დავესწროთ...

ლ უ კ ა — (სატინს გაჰყვება). შენც რა მოწმე გამომნახე? ვასილის დაეუძახოთ... ბევრად სჯობია...

ნ ა ტ ა შ ა — (გარუდან). დაო!.. დაო! ვაი!

ბ უ ბ ნ ო ვ ი — პირზე ხელს აფარებენ... წავიდე ერთი შევხედო... (კოსტილევის ოთახში ხმაური თანდათან მიწყდა. ეტყობათ, ოთახიდან დერფანში გავიდნენ. მოისმის მოხუცის ყვირილი: „დადექ!“ კარს მაგრად ჰიოჯახუნებს. კარის ხმა ამ ყვირისას ერთბაშად ფარავს. სცენაზე სიწყნარია. წყველილი მეფდება).

კ ლ ე შ ჩ ი — (შეშების გროვაზე ზის და არაფერში მონაწილეობას არ იღებს, ხელებს ისრეს და თან რაღაცას დუღუნებს. პირველად გაუჩიბარია მისი სიტყვები, მერე აშკარად გაისმის). მაშ როგორ უნდა ვი-

ცხოვრობთ?... (ხამაღლა). დასაყრდენი ადგილია საჭირო... დასაყრდენი კი არ არის... არაფერი არ არის. მარტოდმარტო... ობლად ვარ მიტოვებული... არსაიდან შეველა... არსაიდან ხსნა... (წელში მოხრილი ნელი ნაბიჯით გადის. რამდენიმე წუთის სულშემხუთავი სიჩუმეა. ცოტა ხანს შემდეგ სადღაც გასავალში არაუღ-ღარეული ხმაურობა და უთავბოლო ერთმეორე ვაისმის. ეს ხმაური მატულობს და ახლოვდება. ისმის ცალკეული ხმები).

ვასილისა — მე მაგის და ვარ! გაუშვი...

კოსტილევი — რა უფლება გაქვს?

ვასილისა — ავაზაკო...

სატინი — ვასკას დაუძახე... ჩქარა! ზობ, მოსცხე მაგას! (პოლიციელის სასტვენო).

თათარი — (შემორბის. მარცხენა ხელი ჩამობმული აქვს). ეს სად? როგორი განონი ვარ... დღე გაცი მოგლას?

კრივოი ზობი — (შემოდის, უკან მოსდევს შედედევით). ერთი ისეთი ლაზათიანი ვუთავაზე, რომ...

მედვედევი — რა ნება გაქვს, რომ ჩხუბობ?

თათარი — შენ? შენ შენი საქმე ვიძის?

მედვედევი — (კრივოი ზობს გამოუდგება). შესდგე! მომე სასტვენო... სასტვენო მომე...

კოსტილევი — (შემორბის). აბრამ! დაიჭი... დაიჭი-მეთქი... თორემ მოკლა... (კვანისას და ნასტიას თმაგაწეწილი ნატაშა შემოჰყავთ. სატინი უკან დასდევს ვასილისას. ვასილისა ცდილობს, რომ ნატაშას გაართკას, მაგრამ სატინი ხელს ჰკრავს. ალიოშკა ვასილისას ირგვლივ ქაჯივით დახტის, სტვენს, ყვირის და ღრიალებს. შემდეგ რამდენიმე ტანისამოს შემოფლეთილი ქალი და კაცი გამოჩნდება).

სატინი — (ვასილისას). საით, შე დაწყევლილო ბაიყუშო?

ვასილისა — მომშორდი, ავაზაკო! სიცოცხლეს გავწირავ და გავგლეჯ. ცოცხლად დაეფლეთ!

კვაშნია — (ნატაშას ცალკე გაიყვანს). კმარა, კარბოვნა... გრცხვე-ნოდეს! ასე რამ გაგამხეცა?...

მედვედევი — (სატინს დაიჭერს). ააა! დაგიჭირე თუ არა!..

სატინი — ზობ, მოსცხე! დაჰკა... ვასკა! ვასკა მოდის. (ყველა-ნი წითელი კედლის მახლობლად, გასავალთან შეჯგუფდებიან. ნატაშას მარჯვნივ წაიყვანენ და შეშის გროვავზე დასვამენ).

პეპელი — (ქუჩაბანდიდან გადმოხტება და უსიტყვოდ, ძლიერი მოძრაობით ვაპობს ხალხს). ნატალია სად არის?

კოსტილევი — (უთხეში იმალება). აბრამ! ვასკა დაიჭი... ძმანო, მიშველეთ! დაიჭით ვასკა, ეგ ქურდი... ეგ მძარცველი...

პეპელი — ოპ, შე დამყაყებულო!.. შე ქოფაკო ძაღლო, შენა!..

(მძლავრად გაართკამს. კოსტილევი ისე წაიჭყვეა, რომ კუთხეში მისი ტანის ნახევარილა მოჩანს. პეპელი ნატაშას მივარდება).

ვასილისა — ვასკას დაჰკარით! ჩემო კეთილნო!.. დაჰკათ მაგ ქურდს.

მედვედევი — (სატინს უყვირის). შენ უფლება არა გაქვს... ეს ოჯახური საქმეა... ნათესავეები არიან... და შენ ვინა ხარ?

პეპელი — როგორ... რითი შეგეხნო? დანით?

კვაშნია — დახე, რა მხეცები არიან... აღუღებული წყლით ქალს ფეხები დაუფუფქეს!

ნასტია — ცხელი სამოვარი გადააქციეს ზედ...

თათარი — იქნებ არ უნდოდეს და ისე მოხდოს... უნდო გარგა გაიგოს... ისე არ ილაზარაგოს...

ნატაშა — (თითქმის ვულწასული). ვასილი... წამიყვა... წამიყვანე, და დამმარხე...

ვასილისა — ღმერთო ძლიერო! მიშველეთ! მომკვდარა! მოჰკლეს! (ყველანი გასასვლელს მიაწელებიან, სადაც კოსტილევის გეში აგდია. ბუზნოვი ბრბოს გამოარდევს და ვასკასთან მიდის).

ბუზნოვი — (ხმადაბლა). ვასკა! მოხუცს ანდერძი აეგო?..

პეპელი — (გაუგებრად შეჰყურებს). წადი... დაუძახე... საავადმყოფოში წაიყვანონ... მაგათ მე გავუსწორდები!

ბუზნოვი — გეტბნები, მოხუცი ვილაცამ გაგუდა-მეთქი... (სცენაზე ხმაური ისე მიწყდება, თითქოს კოცონს წყალი დაასხესო. სხვადასხვა სიტყვები ხმადაბლა ვაისმის: „მართლა?“ „არა!“ „წაივით, ძმაო!“ „ეგ ეშმაკის კერძი!“ „ახლა ნახე!“ „გაგიჭყვეთ, ვიდრე პოლიცია არ მოსულა!“ ბრბო თხელდება, თანდათან გადიან. ბუზნოვი, თათარი, ნასტია და კვაშნია კოსტილევისაკენ გაეჭანებიან).

ვასილისა — (წამოიწევს და ხამაღლა კივის). მოჰკლეს! ქმარი მომიკლეს... ამან მოჰკლა... ვასკამ მოჰკლა! მე თვითონ ვნახე, მე თვითონ. რაო, ვასია? ახლა რას იტყვი? პოლიციას დაუძახო თუ არა?

პეპელი — (ნატაშას ჩამოსცილდება). გამიშვი! მომშორდი! (კოსტილევის დახედავს). გიხარია განა? (გვამს ფეხს წაკრავს). ჩაკვდა. ქოფაკი ძაღლი... ისე მოხდა, როგორც გსურდა... მაგრამ არც შენ დაგტოვებ ასე... (მივარდება. სატინი და კრივოი ზობი საჩქაროდ დაიჭერენ. ვასილისა ქუჩაზანდის იქით იმალება).

სატინი — გონს მოდი!

კრივოი ზობი — ტპრუუ! საით მიდიხარ?

ვასილისა — (გამოჩნდება). რაო, ჩემო საყვარელო მეგობარო,

ვასილი... ბედს ვერ წაუხვალ... პოლიცია! აბრამ, ხმა მიე... დაუსტივი-
ნე...

მ ე დ ვ ე დ ე ვ ი — სასტვენნი ჩამომწყვიტეს ამ ქაჯებმა.

ა ლ ი ო შ კ ა — აი სასტვენნი! (სტვენს. შედეგადევი დაედევნება).

ს ა ტ ი ნ ი — (პეპელს ნატაშასთან მიიყვანს). ვასკა, ნუ გეშინია...
ჩხუბში რომ კაცი შემოგაკვდეს... მაგდენი არაფერია... მძიმე სას-
ჯელს არ მოგისჯიან.

ვ ა ს ი ლ ი ს ა — ვასკა დაიჭირეთ! მაგან მოჰკლა... მე თვითონ
ვნახე.

ს ა ტ ი ნ ი — მეც გავარტყი სამიოდეჯერ მოხუცს... მაგას ბევრი
ხომ არ უნდოდა! ვასკა, მოწმედ დამასახელე...

პ ე პ ე ლ ი — მე თავის გამართლება არა მსურს... მინდა ვასი-
ლისაც თან ჩავეთრიო. და ჩავეთრევი კიდევ... მაგას ეს უნდა. ეგ
მაგულიანებდა. ეგ ჩამძახოდა, ჩემი ქმარი მოჰკალიო.

ნ ა ტ ა შ ა — (უცებ ხმამალა). ა-ა!.. ახლა ყველაფერი ცხადია. მაშ
აგრე, ვასილი?.. კეთილნო ხალხნო! ეგენი შეთქმულები არიან. ჩემი
და და ეგ შეთქმულები არიან. ყოველივე ეს მაგათ მოაგვარეს... მაშ,
აგრე, ვასილი?.. ამას წინათ იმიტომ მელაპარაკებოდი, რომ მაგას
ყველაფერი გაეგო, არა? კეთილნო ხალხნო! ჩემი და მაგის საყვარე-
ლია. ეს თქვენც იცით... ეს ყველამ იცის... ეგენი შეთქმულები
არიან... ჩემმა დამ, სწორედ ჩემმა დამ ჩააგონა, რომ ჩემი ქმარი მოჰ-
კალიო... ის მაგათ ხელს უშლიდა... მე, მეც ხელს ვუშლიდი... და
იმიტომაც დამასახიჩრეს.

პ ე პ ე ლ ი — ნატალია!

ს ა ტ ი ნ ი — აი, ეშმაკმა გზიდოს, აჰა!

ვ ა ს ი ლ ი ს ა — ცრუობ! სიცრუეს ამბობს. ამან! ვასკამ მოკლა!

ნ ა ტ ა შ ა — ეგენი შეთქმულები არიან. პირი-პირსა აქვთ მიცე-
მული. წყეულიმც იყავით! წყეული!

ს ა ტ ი ნ ი — გაიმართა თამაში. ვასილი, ფრთხილად, თორემ,
იცოდე, წაგლეკავენ...

კ რ ი ვ ო ი ზ ო ბ ი — გაუგებარი საქმეა... ეშმაკმა იცის რა ამ-
ბავია...

პ ე პ ე ლ ი — ნატალია! ნუთუ მართლა... ნუთუ მართლა გჯე-
რა, რომ მე მაგასთან...

ს ა ტ ი ნ ი — ღმერთს გეფიცები, ნატაშა, რომ შენ... აბა თვი-
თონ დაფიქრდი.

ვ ა ს ი ლ ი ს ა — (ქუჩაბანდის იქით). ქმარი მომიკლეს... თქვენო
კეთილშობილებავ... ვასკა პეპელი ქურდია... მაგან მოკლა... ბატონო
ბოქაულო! მე თვითონ ვნახე... ამათაც ნახეს... ყველამ ნახა...

ნ ა ტ ა შ ა — (შფოთავს. თითქმის გრძობადაკარგულია). კეთილნო ხალ-
ხნო, ამათ მოჰკლეს... ჩემმა დამ და ვასკამ მოჰკლა... გამიგონეთ...
ჩემმა დამ მოაკვლევინა... მაგან ასწავლა... მაგან წააქეზა თავისი
საყვარელი, აი ეს დაწყევლილი! მაგათ მოჰკლეს. წამიყვანეთ ეგენი...
ვაასამართლეთ... მეც! მეც წამიყვანეთ... ციხეში წამიყვანეთ. ღვთის
გულისათვის, წამიყვანეთ, ციხეში წამიყვანეთ!

ფ ა რ ლ ა

მეოთხე მოქმედება

პირველი მოქმედების მორთულობა. პეპელის ოთახი აღარ არის და მისი ტიხრული დარღვეულია. იქ, სადაც კლეში იჯდა, გრდემლი აღლიათ. კუთხეში, პეპელის ნათახარ ადგილას, თათარი წევს, შფოთავს და ხანგაშოშვებით გმინავს, კლეში მაგიდასთან ზის და გარმონს აკეთებს. ზოგჯერ სინჯავს. მაგიდის მეორე ბოლოში სხედან: სატინი, ბარონი და ნასტია. წინ ერთი ბოთლი არაყი, სამი ბოთლი ლუდი უდგათ და შავი პურის ვეებერთელა ნაჭერი უდევთ. მსახიობი ღუმელზე შფოთავს და ახველებს. ღამეა. სცენას მაგიდაზე ანთებული ღამა ანათებს. გარეთ ქარი ქრის.

კლეში — დიახ... სწორედ იმ ალიაქოთის დროს გადაიკარგა...

ბარონი — დაუძვრა პოლიციას... განქრა ვითარცა განქრების კვამლი ცეცხლისაგან პირისა.

სატინი — ასევე განქრებიან ცოდვილნი მართალთა წინაშე.

ნასტია — კარგი ვინმე კი იყო მოხუცი... თქვენ კი... თქვენ ხალხნი როდი ხართ... ყველას შხამ-გესლითა გაქვთ გული სავსე.

ბარონი — (სვამს). შენი სადღეგრძელო იყოს, ლედი.

სატინი — ძლიერ ცნობისმოყვარე მოხუცი იყო... დიახ... აი, ნასტენკას შეუყვარდა კიდეც... შეყვარებულია...

ნასტია — დიახ, შემიყვარდა და შეყვარებულიცა ვარ... მართალია... ყველაფერი უნახავს... ყველაფერი გამოუტეხია... ყველაფერი იცოდა...

სატინი — (სიცილით). და, საერთოდ... ბევრისთვის ისეთი იყო ის მოხუცი... როგორც პურის გული უკბილოსათვის...

ბარონი — (სიცილითვე). როგორც მალამო მუწუკისათვის...

კლეში — შემბრალებ გული ჰქონდა... თქვენ კი შემბრალება არა გაქვთ...

სატინი — რა მოგემატება, რომ შეგიბრალო?...

კლეში — შენ შეგიძლია... არა, არამცთუ სიბრალო... არ შეგიძლია, ვინმეს აწყენინო...

თათარი — (ტახტზე ჩამოჯდება და ნატყენ ხელს ბავშვივით არწევს). ბებერი გარგი ილო... განონის სული ჰქუნდა... ვისაც განონი სულში ვარ, გარგია... ვისაც განონი დაგარგა, დაიღუპა...

ბარონი — როგორი კანონი, თავადო?

თათარი — ეგეთი... სხუა და სხუა... ვიცის როგორი...

ბარონი — მერე?

თათარი — გაცი არ აწყენინო, აი განონი!

სატინი — მაგასა ჰქვია „დებულეზა სისხლის სამართლისა და გამასწორებელ სასჯელთა შესახებ“.

ბარონი — და კიდეც: „წესდება მომრიგებელ მოსამართლე-თაგან დადგენილ სასჯელთა შესახებ“.

თათარი — ყურანი ერქოს... ჩვენი ყურანი განონი უნდა ილოს... ყურანი სულში უნდა ილოს...

კლეში — (გარმონსა სინჯავს). ჰყვიტინებს ეს საოხრე... თავადი მართალს ამბობს... კანონიერად უნდა იცხოვრო... როგორც სახარებაში წერია...

სატინი — იცხოვრე...

ბარონი — სცადე...

თათარი — მაჰმადმა მოგცა ყურანი და უთხრა: აი განონი გაგეთე, როგორც დაძვროს, მერე დრო დადგეს... ყურანი დაძველდეს... ყველა დრო თავის განონი მოგცეს... ახალი... ყველა დრო თავის ყურანი მოგცოს.

სატინი — ჰო, რასაკვირველია... მოვიდა დრო და მოგცა: „დებულეზა სასჯელთა შესახებ“... ეს მაგარი კანონია... ჩქარა ვერ გასცევთ...

ნასტია — (მაგიდაზე ჰქიქს დაარტყამს). რისთვის, რად ვცხოვრობ იქ? თქვენთან? წავალ საითმე... დედამიწის კიდურზე წავალ...

ბარონი — ფეხშიშველა, ლედი?

ნასტია — მთლად შიშველი... სულ ბობღვით ვივლი...

ბარონი — მშვენიერი სანახაობა იქნება, ლედი... თუ ბობღვით წახვალ.

ნასტია — დიახ, წავალ, რომ მოვშორდე შენი ნავსი სახის მხერას! ახ, ყველაფერი შემძაგდა... მთელი ცხოვრება... მთელი ხალხი...

სატინი — თუ წახვიდე, მსახიობიც თან წაიყვანე... ისიც იქით მოდის... გაუგია, რომ დედამიწის კიდის იქიდან, სულ ნახევარი ვერსის მანძილზე, საავადმყოფო აუგიათ ორგანონებისათვის.

მსახიობი — (ღუმელიდან თავს გადმოპყფს). ორგანი-ზმისათვის. სულელო!

ს ა ტ ი ნ ი — ოლკოგოლით მოწამლულ ორგანონისათვის.
მ ს ა ხ ი ო ბ ი — დიახ ის წავა. წავა... აი, ნახავთ...
ბ ა რ ო ნ ი — ვინ ისა, სერ?
მ ს ა ხ ი ო ბ ი — მე!
ბ ა რ ო ნ ი — ქალღმერთის მსახურო... რა ქვიან?... დრამათა და
ურალედიათა ქალღმერთს რა ერქვა?
მ ს ა ხ ი ო ბ ი — მუზა, შე ბრიყვო! ღმერთი კი არა, მუზა!
ს ა ტ ი ნ ი — ლახეზა... პერა... აფროდიტე... ატროპა... ეშმაკი
ვერ გაარჩევს. ეს სულ იმ მოხუცმა გადარია. გესმის, ბარონ?
ბ ა რ ო ნ ი — ის მოხუცი სულელი იყო.
მ ს ა ხ ი ო ბ ი — უმეცრებო! ველურო მხეცებო! მეღ-პო-მენა.
უსულგულო არსებანო! აი, დაინახავთ რომ წავა... „პირქვე დაემხე...
ბნელო გონებაე...“ ლექსი ბერანუერისა... დიახ... ის იპოვნის თავის-
თვის ბინას... სადაც არ არის... არ არის...
ბ ა რ ო ნ ი — სადაც არაფერი არ არის, სერ?
მ ს ა ხ ი ო ბ ი — დიახ. არაფერი. „სამარე ჩემი ეს ღრმა ორ-
ძოა... ვკვდები უძღური და უბედური...“ რისთვის ცხოვრობთ, რის-
თვის?
ბ ა რ ო ნ ი — შენ ეი! „კინი ხარ თუ გენიოსობა და სალახანო-
ბა...“ რაღაცა... აქ ნუ ღრიალებ...
მ ს ა ხ ი ო ბ ი — მიჰქარავ! უნდა ვიდრიალო!
ნ ა ს ტ ი ა — (მაგიდიდან თავს აიღებს და ხელებს ასავსებებს). იყვი-
რე! დეე, გაიგონ!
ბ ა რ ო ნ ი — რათა, რა მოსაზრებით, ლედი?
ს ა ტ ი ნ ი — თავი დაანებე, ბარონ. ჯანდაბას მაგათი თავი.
აყვირონ... თავები იმტვირონ. დაანებე თავი... ეგ უაზრობა არ
არის... ნურაფერს დაუშლი ადამიანს, როგორც მოხუცი იტყოდა ხოლ-
მე. ეს იმან, სიმყავეთა დედამ დაგვამყავა მასთან მცხოვრებნი და...
კ ლ ე მ ზ ი — და თვითონ კი სადღაც გაჰქრა... გზაც არ გვიჩ-
ვენა.
ბ ა რ ო ნ ი — ის მოხუცი არამზადაა.
ნ ა ს ტ ი ა — სტყუი! შენ თვითონა ხარ არამზადა!
ბ ა რ ო ნ ი — ციც, ლედი!
კ ლ ე მ ზ ი — სიმართლე არ უყვარდა მოხუცს... ძლიერ იყო
მხედრებული სიმართლის წინააღმდეგ... ეგრეც უნდა! მართალია!
რა საჭიროა სიმართლე? უამისოდაც სული გვხდება... აი თავადი...
ჰუშაობის დროს ხელი დაუშავდა... მთელი ხელის მოხერხვა დას-
ჭირდება... ესეც შენი სიმართლე!

ს ა ტ ი ნ ი — (მაგიდას ხელს დაარტყამს). ხმა ჩაიწყვიტეთ! თქვენ,
ყველანი პირუტყვები ხართ... დაეხსენით მოხუცს! (მშვიდად). ბარონ,
შენ ყველაზე უარესი ხარ. არაფერი არ გესმის... და ცრუობ. მოხუცი
არამზადა არ არის... რა არის სიმართლე? ადამიანი — აი სიმართლე.
მოხუცს ეს ესმოდა. თქვენ კი არ გესმით. თქვენ უგრძობელნი
ხართ. მე მესმის მოხუცს რა უნდოდა... დიახ... ის ცრუობდა, მაგრამ
ებრალეზოდით და რატომ ცრუობდა, ეშმაკმა წავიღოთ! თქვენი
სიბრალულის გამო ცრუობდა. არიან ხალხნი, რომელნიც მოყვასის
სიბრალულის გამო ცრუობენ... მე ეს ვიცი. წამიკითხავს... მშვენივ-
რად, შთამაგონებლად, ამაღელვებლად ცრუობენ... არის სიცრუე
მანუგეშებელი, სიცრუე შემარიგებელი, სიცრუე ამართლებს იმ
ტვირთს, რომელმაც მუშას მარჯვენა გაუსრისა... და ამტყუნებს
იმათ, რომელთაც სიმშვილით სული ხდებათ... მე ვცნობ სიცრუეს...
ვინც სულით დატაკია და სხვისი ოფლით ცხოვრობს, იმათ სჭირდე-
ბათ სიცრუე... ზოგს ეხმარება, ხოლო ზოგნი კი ამ სიცრუეს ზურგს
უკან ეფარებიან... ვინც თავის თავის ბატონია, ვინც დამოუკიდებელია
და სხვა ლუკმას სტაკებს, რა საჭიროა მისთვის სიცრუე? სიცრუე—
რელიგიაა მონებისა და ბატონების... სიმართლე ღმერთია თავისუ-
ფალი ადამიანისა.

ბ ა რ ო ნ ი — ვაშა! მშვენივრად მსჯელობ! გეთანხმები! შენ ისე
ლაპარაკობ, როგორც რიგიანი ადამიანი.

ს ა ტ ი ნ ი — რატომ შულერს არ შეუძლია ზოგჯერ რიგიანი
ლაპარაკი?... თუკი რიგიანი ხალხი... შულერებივით ლაპარაკობენ.
დიახ, მე ბევრი რამ დამავიწყდა, მაგრამ ცოტაოდენი კიდევ ვიცი...
მოხუცი! ეს ჰკუთის კოლოფია. როგორც სიმყავე მოქმედობს დაყან-
გულ ფულზე, ასევე იმოქმედა მოხუცმა ჩემზე... დავლიოთ მისი
საღლეგრძელო. დაასხი!.. (ნასტია ჭიქაში ლუღს დაასხამს და სატინს მიაწე-
ვს).

ს ა ტ ი ნ ი — (სიცილით). მოხუცი თავისი თავით ცხოვრობს...
ყველაფერს თავისი თვლით ზომავს... ერთხელ ვკითხე: ბიძია რის-
თვის ცხოვრობს ხალხი-მეთქი? (ცდილობს ლუკას ლაპარაკს და მიმოხვრას
შიშხადოს). „უკეთესისათვის, ჩემო კარგო, უკეთესისათვის. აი, ვთქვათ,
ცხოვრობენ ღურგლები და სხვა ამგვარი დაბალი ხალხი... ამათგან
იზადება ღურგალი... ისეთი ღურგალი, რომლის მსგავსი ჯერ დედა-
მიწას არ უნახავს... ყველას აჭარბებს და მისი ბადალი საღურგლო
საქმეში არავინ არის... თავის ხელობას აყვავებს, სახიერებას ანიჭებს
და საქმეს მთელი ოცი წლით წინა სწევს... ასევე არიან სხვანიც...
ზეინკალი, მეწაღე, სხვადასხვა ხელობის ხალხი და გლეხობა... თვით
ბატონებიც უკეთესისათვის ცხოვრობენ... ყველას ჰგონია ჩემი თა-

ვისთვის ვცხოვრობო, მაგრამ ირკვევა, რომ უკეთესისათვის ცხოვრობენ, ჩემო კარგო“ (ნასტია დაჟინებით შეჰყურებს სატინს: კლემში გარმონის კეთებას თავს ანებებს და ყურს უგდებს, ბარონი თავდახრილია და მაგიდაზე ოდნავ აკავუნებს თითებით. მსახიობს ლუმელიდან თავი გადმოჰყვია და სიფრთხილით ტახტზე გადმოსვლას აპირებს).

ს ა ტ ი ნ ი — ყველა, ჩემო კარგო, ყველა უკეთესისთვის ზრუნავს, ამიტომაც ყოველ კაცს პატივი უნდა ვცეთ... ჩვენ ხომ არ ვიცით, ეს ან ის ვინ არის, რისთვის დაიბადა და რის კეთება შეუძლია?... ვინ იცის, იქნებ ჩვენდა საბედნიეროდ დაიბადა... ჩვენდა სასარგებლოდ. განსაკუთრებით, ბავშვები უნდა გვიყვარდეს... ახალგაზრდები. ახალგაზრდობას ფართო გზა უნდა მივცეთ... ბავშვებს სიცოცხლეს ნუ შეუზღუდავთ... გიყვარდეთ ბავშვები.

ბ ა რ ო ნ ი — (დაფიქრებული). მმ-დიახ... უკეთესისთვის... მაგ სიტყვებზე ჩვენი ოჯახი მაგონდება... ძველი გვაროვნება... ეკატერინეს დრო... თავდაზნაურები... მეომარნი... საფრანგეთიდან გადმონხვეწილნი... მსახურობდნენ... მაღალ ხარისხამდე აღიოდნენ... ნიკოლოზ პირველის დროს, პაპაჩემს, გუსტავ დებილს... მაღალხარისხოვანი ადგილი ეჭირა... სიმდიდრე... ასობით ყმა... ცხენები... მზარეულები...

ნ ა ს ტ ი ა — ცრუობ! მაგდაგვარი არა ყოფილა რა!

ბ ა რ ო ნ ი — (წამოხტება). რაო? მერე.

ნ ა ს ტ ი ა — მაგდაგვარი არა ყოფილა რა!

ბ ა რ ო ნ ი — (ყვირის). სასახლე მოსკოვში. სასახლე პეტერბურგში. კარეტები. ღერბიანი კარეტები. (კლემში გარმონს აიღებს, ადგება და გვერდზე გადადის, საიდანაც ამ სცენას თვალს ადევნებს).

ნ ა ს ტ ი ა — არ ყოფილა!

ბ ა რ ო ნ ი — ციც! მე შენ გეუბნები... ათობით ხელზე მოსამსახურე-მეთქი!

ნ ა ს ტ ი ა — (სიამოვნებით). არც ერთი ეგ არ ყოფილა!

ბ ა რ ო ნ ი — მოგკლავ!

ნ ა ს ტ ი ა — (გასაქცევად ეშვება). არავითარი კარეტა არ გქონიათ... ტყუილია!

ს ა ტ ი ნ ი — თავი დაანებე, ნასტენკა. ნუ აბოროტებ მაგ კაცს.

ბ ა რ ო ნ ი — დამაცა... საძაგელო, პაპაჩემი...

ნ ა ს ტ ი ა — არც პაპა ყოფილა... არაფერი არ ყოფილა. (სატინი იცინის).

ბ ა რ ო ნ ი — (ბრზისაგან დაქანცული სკამზე ჩამოჯდება). სატინ, უთხარი მაგ ნათრევს, რომ... შენც იცინი? არც შენ გჯერა? (მაგიდაზე

ხელს დაარტყამს და სასოწარკვეთით დაიყვირებს). ეშმაკსაც წაუღია თქვენი თავი! ყოველივე ეს იყო...

ნ ა ს ტ ი ა — (გახარებული). ა-ა, აენტე? ხომ გაიგე, რა ემართება ადამიანს, როდესაც მას არ უჯერებენ?

კ ლ ე მ შ ი — (მაგიდასთან მიდის). მეგონა, ჩხუბი მოხდება-მეთქი...

თ ა თ ა რ ი — ახ, ბრიყვი ხალხი!.. ეს ზალიან ცუდია...

ბ ა რ ო ნ ი — მე არ შემიძლია დაცინვის ატანა. მე ამის დამამტკიცებელი საბუთები მაქვს... წერილობითი საბუთები, შე ალქაჯო, შენა!

ს ა ტ ი ნ ი — სადმე გადაყარე! და იმ პაპიშენის კარეტაც დაივიწყე... იმ კარეტით ველარსად წახვალ...

ბ ა რ ო ნ ი — არა, როგორა ბედავს, რომ...

ნ ა ს ტ ი ა — ხედავ, როგორ ბედავსო... არა, თუ ღმერთი გწამს, მართლა?

ს ა ტ ი ნ ი — ხომ ხედავ, რომ ბედავს. რითა ეგ შენზე უარესი? თუნდაც იმიტომ რომ მაგას წარსულში, არამცთუ შენსავით კარეტა და პაპა, უეჭველია, დედ-მამაც კი არ ჰყოლია...

ბ ა რ ო ნ ი — (დამწვიდდება). ეშმაკმა იცის... შენ შეგიძლია მშვიდი ლაპარაკი და მე კი ასეთი ხასიათი არა მაქვს...

ს ა ტ ი ნ ი — არ გაქვს და შეიძინე... გამოგადგება. (პაუზა). ნასტია! საავადმყოფოში თუ დადიხარ?

ნ ა ს ტ ი ა — რისთვის ან ვისთან?

ს ა ტ ი ნ ი — ვისთან და ნატაშასთან.

ნ ა ს ტ ი ა — დროზე არ მოგავონდა? რამდენი ხანია გამოეწერა საავადმყოფოდან... გამოვიდა და დაიკარგა... აღარსადა ჩანს... აი რა მოხდა.

ს ა ტ ი ნ ი — სულ წავიდა?

კ ლ ე მ შ ი — საყურადღებოა, ვინ ვის შებოჭავს? ვასკა — ვასილისას, თუ ვასილისა ვასკას?

ნ ა ს ტ ი ა — ვასილისა თავს როგორმე დაიძვრენს... მეტად გაქნილი ვინმეა. ვასკას კი კატორლისაკენ გაასვირნებენ.

ს ა ტ ი ნ ი — ჩხუბში კაცის მოკვლა ციხით თავდება.

ნ ა ს ტ ი ა — სამწუხაროა... კატორლაში რომ გაეგზავნათ, ისა სჯობდა... ყველანი იქ ხართ გასაგზავნი... უნდა შეგაქუჩონ ნაგავივით და სადმე ორმოში ჩაგყარონ.

ს ა ტ ი ნ ი — (ფაჟვირებული). რა ღმერთი გაგიწყრა? ხომ არ გაცოფდი?

ბ ა რ ო ნ ი — დამაცადეთ ერთი მაგ სისულელისთვის სილა გაქაწნა...

ნასტია — აბა სინჯე, ხელი მახლე!

ბარონი — დიახაც ვსინჯავ.

სატინი — თავი დაანებე. ხელი არ ახლო... ნუ აწყენინებ ადამიანს... ის მოხუცი თავიდან აღარა მშორდება... (იცინის). ნუ აწყენინებ ადამიანს. და თუკი მე ერთხელ მაწყენინეს და იმით სიცოცხლე მომიწამლეს? როგორ მოვიკე? შეეუენდო? არავის მოვეითხო? არავის... არაფერი...

ბარონი — (ნასტიას). უნდა გახსოვდეს, რომ მე შენი ტოლი არავარ. შენ... შე მეურტალო...

ნასტია — იპ, შე უბედურო! შენ ხომ ჩემით ისევე იცვებები, როგორც მატლი — ვაშლით. (ყველას ერთხელად წასკდება სიცილი).

კლეშიჩი — აი, შე სულელი! შე მართლა ვაშლო, შენა!

ბარონი — გაჯავრებაც კი ვერ მომიხერხებია... რა რეგენია!

ნასტია — იცინით? მიჰქარავთ! არა, რომ არ გეცინებათ?

მსახიობი — (მოღუშული). მიდი, არ მოეშვა! აგრე მაგათ!

ნასტია — ერთი შეშეძლოს... მე თქვენ... (მაგიდიდან ჭიქას აიღებს და იატაკზე დაანარცხებს). აი რა!

თათარი — ჯურჯელი რად გადესო? ე-ე... შტერო!

ბარონი — (წაძოდგაბა). დამაცათ... მე მაგას ვასწავლი ჭკუას!

ნასტია — (გაოქცევა). ეშმაკსაც წაუღია თქვენი თავი!

სატინი — (ნასტიას). კმარა! ვის აშინებ? რა მოხდა? რა დაგე-მართა?

ნასტია — მგლებო! ჩაძაღღდით! ჩაძაღღდით, აპა!

მსახიობი — (მოღუშული). ამინ! ამინ!

თათარი — უუ... ურუსის ქალი... ანჩხლი ვარ. თათარი არა... თათარი ქალი განონი ვიცის...

კლეშიჩი — მაგას ერთი დაბეგვა უნდა.

ბარონი — საძაგელი!

კლეშიჩი — (გარბონს სინჯავს). მზად არის. პატრონი კი არ ჩანს...

სატინი — გეყოფა... ახლა მოდი და დალიე...

კლეშიჩი — გმადლობთ. დროა დავიძინოთ.

სატინი — თანდათან გვეჩვევი, არა?

კლეშიჩი — (დაღევს და კუთხეში ტახთან მივა). არა უშავს რა... ყველგან ხალხია... პირველად ვერ ამჩნევ ამას... მერე, თვალს გაა-ზელ და დაინახავ, რომ ყველგან ხალხია... არა უშავს რა...

(თათარი ტახტზე რადაცას გაშლის, დაიჩოქებს და ლოცულობს).

ბარონი — (სატინს თათარზე უთითებს). უყურე.

სატინი — თავი დაანებე. კარგი ყმაწვილია. ხელს ნუ უშლი. (იცინის). მე დღეს ძალიან კარგ გუნებაზე ვარ... მერედა, რად? ეშ-მაკმა იცის.

ბარონი — შენ ყოველთვის კეთილი და ჭკვიანი ხარ, როდესაც დაღევ.

სატინი — როდესაც დაღვევ... როდესაც მთვრალი ვარ... ყვე-ლაფერი მომწონს... ჰო, დიახ... ის ლოცულობს. ძალიან კარგი... ადამიანი რწმენას აირჩევს თუ ურწმუნოებას, მისი საქმეა. ადამიანი თავისუფალია. ყველაფრის პასუხისმგებელიც თვითონ არის... რწმენისთვის თუ ურწმუნოებისთვის, სიყვარულისთვის თუ უჭკობის-თვის. ყველაფერზე თვითონ აგებს პასუხს და ამიტომაც არის ადამიანი თავისუფალი. ადამიანი — აი ჭეშმარიტება. რა არის ადამიანი? ეს არც შენა ხარ, არც მე და არც ისინი... არა! მაშინ არის ადამიანი? შენ, მე, ისინი, მოხუცი, ნაპოლეონი, მაჰმადი... ყველა ერთად. (თითებით პაერში კაცის აგებულებას გამოხატავს). გესმის?.. ეს დიდებულთა! ამაშია ყველაფრის დასაწყისი და დასასრულიც. ყველა-ფერი ადამიანშია... ყველაფერი ადამიანისთვისაა.. არსებობს მხო-ლოდ ადამიანი და სხვა ყველაფერი მისი მარჯვენის და გონების სამოქმედარია. ადამიანი! ეს ბრწყინვალეა... ამყად ჟღერს ადამიანი.. თაყვანი ეცით ადამიანს... ნუ შეიბრალებთ... ნუ დაამცი-რებთ სიბრაღულით... არა! მას პატივი უნდა სცეთ... ბარონ! დაე-ლიოთ ადამიანის სადღეგრძელო! (დგება). კარგია, როცა თავს ადამიანად გრძნობ. მე კი? ნატუსადარი, კაცის მკვლეელი და შულერი ვარ... ჰო, დიახ! როდესაც ქუჩაზე გავივლი, ხალხი ისე მიყურებს, როგორც ავაზაკს და გათახსირებულ ადამიანს... მერიდებიან... მათ-ვალეირებენ... და ხშირად მომძახიან კიდევ „არამზადა. გარყვნი-ლო. იმუშავე!“ ვიმუშაო?! რად? რისთვის? იმიტომ რომ მაძ-ღარი ვიყო? (იცინის). მე ყოველთვის მძულდა ის ხალხი, რომელიც მხოლოდ იმაზე ზრუნავს, რომ მუდამ მაძღარი იყოს... არა, ბარონ! საქმე ეს კი არ არის... არა, არა და არა! ადამიანი უფრო მაღლა დგას, ბარონ! ადამიანი კუჭზე მაღლა დგას!..

ბარონი — (თავის ქნევით). მშვენივრად მსჯელობ... უეჭველია, ყოველთვის ვე სევდას გიქარავებს და გულს გეშეება... მე არა მაქვს თავისი ნიჭი... არ შემძლია... ვერ ვახერხებ... (გარშემო იყურება, ჩუმად და ფრთხილად). მე, ჩემო ძმაო, მეშინია, გესმის? ვკანკალებ... ვცახცა-ხებ...

სატინი — (დაღის). სისულელეა! რის უნდა ეშინოდეს ადამიანს?

ბარონი — იცი... რაც თავი მახსოვს, გონება მუდამ

დანისლული მაქვს... მუდამ არა მესმოდა რა... ეს როგორღაც უხერხულია... მე მგონია, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე, მხოლოდ ტანსაცმლის ცვლაში ვიყავი და სხვას არაფერს ვაკეთებდი. მერე და რისთვის? არ ვიცი ესწავლობდი, თავდაზნაურთა ინსტიტუტის მუნდირი მეცვა... რას ესწავლობდი? აღარ მახსოვს... ჯვარი დავიწერე... ჩავიცვი ფრაკი, მერე — ხალათი... ცოლად ყოვლად უვარგისი ქალი შევირთე. და მერე რად? არც ეს ვიცი... რაც კი გამაჩნდა, შემომეხარჯა... ჩავიცვი რაღაც ნაცრისფერი პიჯაკი და ყვითელი შარვალი... ჩემი დაცემა და განადგურება ვერ შევამჩნიე... სახაზინო პალატაში ვმსახურობდი... მუნდირი, კაკარდიანი ქუდი... სახაზინო ფულეები გავფლანგე... ჩამაცვეს ტუსალის ხალათი... მერე ეს ტანსაცმელი ჩავიცვი... თითქოს ყველა ეს სიზმარია... ან... ჰა? სასაცილოა?..

ს ა ტ ი ნ ი — არც ისე, ეს უფრო სიბრყველა.

ბ ა რ ო ნ ი — დიახ, მეც მგონია, რომ სიბრყველა... მაგრამ ხომ რაიმესთვის დავიბადე, ჰა?

ს ა ტ ი ნ ი — (სიცილით). ალბათ... ადამიანი უკეთესისთვის იბადება... (თავს აქნევს). დიახ... კარგია...

ბ ა რ ო ნ ი — ეხ, ჩვენი ნასტენკა სად გაიქცა? წავიდე ერთი ვნახო... რაც უნდა იყოს, ის ჩემი... (გადის. პაუზა).

მ ს ა ხ ი ო ბ ი — (თათარს). ძმაო, გამიგონე... (პაუზა). თავადო! (თათარი თავს მისკენ მიიბრუნებს).

მ ს ა ხ ი ო ბ ი — ილოცე... ჩემთვის...

თ ა თ ა რ ი — რაო?

მ ს ა ხ ი ო ბ ი — (წელა). ილოცე... ჩემთვის...

თ ა თ ა რ ი — (გაჩუმდება). თუთონ ილოცოს...

მ ს ა ხ ი ო ბ ი — (საჩქაროდ ჩამოდის ლუმელიდან, მაგიდასთან მივა და აქანკალბული ხელით დაისხამს არაყს, დალევს და თითქმის სირბილით გადის დერეფანში). წავიდა.

ს ა ტ ი ნ ი — ჰეი, ველურო! საით? (სტევენს. შემოდინ ბუზნოვი და მედედევი. მედედევეს ქალის ზედატანი აცვია. ორივენი ოდნავ ნახევამები არიან, ბუზნოვს ცალ ხელში კანაფზე ასხმული კრენდლები უჭირავს, მეორეში — რამდენიმე ცალი ტარანი. ერთი ბოთლი არაყი ილიაში აქვს ამოდებული და მეორე — პიჯაკის ჯიბეში უდევს).

მ ე დ ვ ე დ ე ვ ი — აქლემი... რაღაც ვირის მსგავსი ცხოველია, ოლონდ უყურო...

ბ უ ბ ნ ო ვ ი — დაეხსენ. შენ თვითონა ხარ ვირი.

მ ე დ ვ ე დ ე ვ ი — აქლემს ყურები არა აქვს, მაგრამ ნესტოებით გრძნობს ყველაფერს...

ბ უ ბ ნ ო ვ ი — (სატინს). მეგობარო! შენს ძებნაში ყველა სამიკიტნო, ღუქანი ჩამოვიარე... ჩამომართვი ბოთლი... ხომ ხედავ, ხელი-ხელთ არა მაქვს.

ს ა ტ ი ნ ი — კრენდლები სუფრაზე დააწყე და ცალი ხელი გაგინთავისუფლდება.

ბ უ ბ ნ ო ვ ი — რაც მართალია-მართალია. შენ ეი, ამრევო! ხედავ, რა ჭკვიანია!

მ ე დ ვ ე დ ე ვ ი — ავაზაკები ჭკვიანები არიან... მე ვიცი! უჭკუოდ ვერ იცხოვრებენ... კარგი კაცი, სულელიც რომ იყოს, მაინც კარგია. ცუდ კაცს კი უსათუოდ ჭკუა უნდა ჰქონდეს... რაც შეეხება აქლემს, სტყუი... ის მოსიარულე პირუტყვია... არც რქა აქვს... არც კბილები... დიახ...

ბ უ ბ ნ ო ვ ი — სად არის ხალხი? რატომ აქ არ არიან? მოდიო!.. მე გპატიჟობთ... ვინ არის მანდ?..

ს ა ტ ი ნ ი — მალე გაფლანგავ სმაში მთელ შენ ქონებას. ჰაი, შე საფრთხობელის გუდაე!

ბ უ ბ ნ ო ვ ი — მალე, მალე. ამხელად ცოტაოდენი კაპიტალი შეევაროვე... ზობ! სად არის ზობი?

კ ლ ე შ ი — (მაგიდასთან მიდის). აქ არა ჩანს.

ბ უ ბ ნ ო ვ ი — უ-უ-რრრ! ბოთვერ! ბრრიუ, ბლუ, ბლუ, ინდაუ-რო! ნუ ჰყეფ, ნუ ღრინავ, თორემ... დალიე, ცხვირი რას ჩამოგიშვია... ყველას გპატიჟობთ. მიყვარს ხალხის გამასპინძლება... მე რომ მდიდარი ვყოფილიყავი, უფასო სამიკიტნოს გავხსნიდი... ღმერთმანი. მუსიკა, მომღერალთა გუნდი მეყოლებოდა. მოდი, ჰამე, სვი, სიმლე-რა მოისმინე და სული მოიბრუნე! ღარბიო ძმაო, მოდი ჩემთან უფასო სამიკიტნოში. სატინ, მაშინ შენ... იცი თუ არა, შენ?.. აი, ჩემი ქონების ნახევარი... აი, საქმე ასეა...

ს ა ტ ი ნ ი — რაც ფული გაქვს სულ მომეცი... ახლავე...

ბ უ ბ ნ ო ვ ი — მთელი ქონება? ისიც ახლავე? აჰა! ეს მანეთი... აი კიდევ ორი აბაზიანი... შაურთანები... ორკაპიკიანები... სულ...

ს ა ტ ი ნ ი — ძალიან კარგი... მთლად მე მებარება... ამ ფულე-ბით ქაღალდს ვითამაშებ.

მ ე დ ვ ე დ ე ვ ი — მე მოწმე ვარ... ფული მიბარებულობა შესა-ნახად... სულ რამდენია?

ბ უ ბ ნ ო ვ ი — შენ? შენ აქლემი ხარ... ჩვენ მოწმეები არ გეინდა...

ა ლ ი ო შ კ ა — (შემოდის ფეხშიშველი). ძმებო, ფეხები დავის-
ველე...

ბ უ ბ ნ ო ვ ი — მოდი და ახლა ეგ ყელი ჩაისველე... მორჩა და
გათავდა. ჩემო კარგო... შენ მშვენიერად მღერი და თამაშობ... ეგ
ძალიან კარგია. სმით კი ტყუილად სვამ. ეგ, ჩემო ძმაო, მავნებე-
ლია... სმა მავნებელია...

ა ლ ი ო შ კ ა — ზედ არ გეტყობა! როცა დათვრები, მხოლოდ
მაშინა ჰგაგებარ ადამიანს. კლემში, გარმონი გააკეთე? (მღერის და თამა-
შობს).

ჩემო ღინგო, რომ არ იყო
ლამაზი და კარგი მეტად,
სულაც არ ვეუვარებოდი
მაშინ ძვირფას ნათლიდედას!

გავიყინე და ეს არის, ძმებო, მცივა.

მ ე დ ვ ე დ ე ვ ი — არ შეიძლება გკითხოთ, ვინ არის ეგ შენი
ნათლიდედა?

ბ უ ბ ნ ო ვ ი — დაეხსენ ერთი!.. შენ ახლა, ჩემო ძმაო, ტიუ-
ტიუუ... გათავებული საქმეა. შენ აღარც მათი მფარველი ხარ და
აღარც ბიძა...

ა ლ ი ო შ კ ა — არამედ, უბრალოდ, დედის ქმარი...

ბ უ ბ ნ ო ვ ი — ხომ იცი, ერთი შენი დისწული ციხეშია... მეო-
რე კი კვდება.

მ ე დ ვ ე დ ე ვ ი — (აზაყად). სტყუი. ის არ კვდება. მხოლოდ
უკვალოდ დაკარგე. (სატიანი იცინის).

ბ უ ბ ნ ო ვ ი — ეგ სულ ერთია, ჩემო ძმაო! რაკი დისწულები
აღარა გყავს. აღარც ბიძა ხარ.

ა ლ ი ო შ კ ა — თქვენო აღმატებულებავ, ვირთხების უსტა-
ბაშო!

თუმცა იმ ჩემს ნათლიდედას
ბლომდა აქვს ოქრო, ფული,
მაგრამ მეც ვარ ბიჭად ბიჭი,
კარგი ვარ და მხიარული.

ცივა. ცივა. (შემოდის ზობი. შემდეგ მოქმედების დასასრულამდე შემოდის
რამდენიმე ქალი და კაცი; ტანთ იხდიან, ტახტზე მოთავსდებიან და ზოზინობენ).

კ რ ი ვ ო ი ზ ო ბ ი — ბუბნოვ, რად გამოგვექეცი?

ბ უ ბ ნ ო ვ ი — აქ მოდი! დაჯექ... შემოვძახოთ, ძმაო, ჩვენი საყ-
ვარელი სიმღერა...

თ ა თ ა რ ი — ღამე ზილი უნდოს... სიმღერა კი დღე უნდოს.

ს ა ტ ი ნ ი — არა უშავს რა, თავად... შენც აქ მოდი.

თ ა თ ა რ ი — როგორ არა უშავს რა?.. ღვირილი იქნება... როცა
ამღეროს... ხმაური ილოს...

ბ უ ბ ნ ო ვ ი — (მიდის მასთან). კნიაზ, ხელი როგორა გაქვს?
მოგჭრეს?

თ ა თ ა რ ი — რად მოჯრას... დავისადოს... იქნება მოჯრა არ
უნდა... ხელი რგინა არ არის... მოჯრას დიდი დრო არ უნდა...

კ რ ი ვ ო ი ზ ო ბ ი — ცუდად არის შენი საქმე, ასანკა. უხე-
ლოდ არაფრად არ ვარგისხარ. ჩვენი კაცი ხელითა და ზურგიტ ფას-
დება. უხელოდ კაცი, კაცი არ არის. მორჩა და გათავდა.

კ ვ ა შ ნ ი ა — (შემოდის). ჩემო კეთილო და საყვარელო მეგობ-
რებო. აბა ერთი გარეთ გაიხედეთ... გარეთ! სიცივეა, თოვლ-ჭყაპი...
შენ, ეი!

მ ე დ ვ ე დ ე ვ ი — აქა ვარ!

კ ვ ა შ ნ ი ა — ისევ ქალის ტანისამოსს დაათრევე! თითქოს გადა-
გიკრავს კიდევ... ეს რა ამბავია?

მ ე დ ვ ე დ ე ვ ი — ეს ბუბნოვის სახელწოდების დღეობის გამო
ძონდა... ცივა კიდევ, გარეთ თოვლ-ჭყაპია...

კ ვ ა შ ნ ი ა — შენ ეი, მიფრთხილდი! გარეთ თოვლ-ჭყაპია. წა-
დი, დაიძინე...

მ ე დ ვ ე დ ე ვ ი — ძილი — შემიძლია... მეძინება... დროც არის...
(გაღის სამზარეულოში).

ს ა ტ ი ნ ი — რა ძალიან მკაცრად ექცევი?

კ ვ ა შ ნ ი ა — სხვაფრივ არ შეიძლება, ჩემო კარგო. მაგნაირ
კაცს მკაცრად უნდა მოექცე... მე ეგ ჩემთან საცხოვრებლად ავიყვა-
ნე. მეგონა მისგან რაიმე სარგებლობას ვნახავდი... რადგან სამხედრო
კაცია... თქვენ თავს ეგ ვარჩიე... თახედი, აუტანელი ხალხი ხართ...
მე კი... დედაკაცი ვარ. გასაგებია? რაც შეეხება სმას...

ს ა ტ ი ნ ი — ცუდი ხელქვეითი ამოგირჩევი, ცუდი.

კ ვ ა შ ნ ი ა — უკეთესი რომ არ არის!.. შენ ჩემთან ცხოვრებას
არ ინდომებ... და რომ იცხოვრო კიდევ. ერთ კვირასაც ვერ გაძლებ!
ქალაღმში წამაგებ მთელი ჩემი ჩიუიპიყეებით.

ს ა ტ ი ნ ი — (ხარხარებს). მართალი ხარ, ქალბატონო! ქალაღმში
წამაგებ!

კ ვ ა შ ნ ი ა — ჰო და, საქმეც ეგ არის. ალიოშკა!

ა ლ ი ო შ კ ა — აი, მეც აქ გახლავართ.

კვაშნია — შენ ჩემზე რაეზსა უბედობ, ჰა?

ალიოშკა — მე? ყველაფერს! ღმერთმანი! საკვირველი, გასაოცარი დედაკაცია-მეთქი, ვამბობ ხორცი, სიმსუქნე, ძვლები — ათი ფუთი აქვს და ტუნი კი ერთი მოხალისე არ გამოუვა-მეთქი.

კვაშნია — მაგას კი სტყუი! ტუნი საკმაო მაქვს. არა, შენ ვითქვამს, ვითომც მას ვცემდე...

ალიოშკა — მე მეგონა ცემდი, როდესაც თმით დაათრევდი...

კვაშნია — (სიცოცხლით). სულელო!.. ვითომც ვერ ხედავ! ჩვენი ოჯახის ნაგავი კარში რად უნდა გავიტანოთ? იმას ეგ მეტად სწყენია... და გაჯავრებულმა ხელახლა დაიწყო სმა...

ალიოშკა — მაშ, მართალი ყოფილა, რომ ამბობენ, ქათამიც სვამსო... (სატინი და კლეშჩი ხარხარებენ).

კვაშნია — უჰ, შე ღრეკიავ! ერთი მითხარი, რა კაცი ხარ?

ალიოშკა — მე პირველი და უმადლესი ხარისხის კაცი ვარ. ყველაფერში ხელი მაქვს. საითაც თვალი გაიხედავს, გონებაც იქით მიმირბის.

ბუბნოვი — (ტახტთან არის. ფათარს). წავედეთ. სულერთია, არ დაგაძინებთ. ვიმღეროთ... მთელი ღამე ვიმღეროთ... ზობ!

კრივოი ზობი — სიმღერა? შეიძლება...

ალიოშკა — მე კი დავუკრავ...

სატინი — ჩვენ კი მოვისმენთ...

თათარი — (ღიმილით). აბა, შაითან ბუბნა... მოიდა ღვინო... ღვინო დალიოს, ჯავრი დალიოს, როცა სიკუდილი მოვიდოს, სული დალიოს...

ბუბნოვი — დაუსხი, სატინ! ზობ, დაჯექი! ეჰ, ძმებო! კაცისთვის განა ბევრი რამეა საკირო? აი, დავლიე და კიდევ გავმხდარულდი. ზობ, დაიწყე!.. ჩვენი საყვარელი სიმღერა... ვიმღერებ და ავტირდები...

კრივოი ზობი — (მღერის).

მზე შუქსა ჰფენს არე-მარეს...

ბუბნოვი — (ჩამოართმევს).

ჩემ საკანში ისევ ბნელა...

(საჩქაროდ კარი გაიღება).

ბარონი — (კარის ზღუდესთან დგას და ყვირის). ეი!.. ხალხნო! აქ მოდიეთ! იქ... მსახიობს... თავი ჩამოუხრჩვია... (სიჩუმე. ყველანი ბარონს შესცქერიან. მის ზურგს უკან ნასტია გამოჩნდება და თვალდაკეპრული, ნელი ნაბიჯით, მაგიდასთან მიდის).

სატინი — (ხმადაბლა). ეხ... სიმღერა გაგვიფუტა... სულელი!